

მ ა ი ს ი



რედაქცია სთხოვს აგენტებს და ხელის მომწერლებს დაახელოონ  
ხუდრი ფულის გამოკვანა, რომ ქერნალის  
გაკვანა არ შესწედეს.

**შინაარსი:** 1) ჰ. ჯესგაფტი. სკოლის მნიშვნელობა—**ლ. ბოცვაძე**. 2) სინათ-  
ლე და ელექტრონი—**პ. ქარუმიძე**. 3) ართმეტიკის გაკვეთილი—, მოცემული სიდიდის  
სწორი ნაწილების ზონა—**კახაბერი**. 4) უურადღება და ინტერესი სწავლის საქმეში—  
**მასწ. პროკლე ტაბიძე**. 5) სიმპატიური გრძობის აღზრდა ბავშვში ცხოველთა და მცე-  
ნარეთადმი—**ი სინარულიძე**. 6) შირველ-დაწეებითი განათლება ბოლგარიაში—**კატო  
ბაქ—ძე**. 7) სამშობლოს სიყვარული (ისტორიული ლეგენდა მესხთა ცხოვრებიდან—  
**ილ. ალხაზიშვილი**. 8) უფროსი მუბადის ნაამბობი, ანტ. ჩეხოვისა—**ივ. გომელაუ-  
რი**. 9) ბედისწერა—**ილ. გოგია**. 10) რისთვის!?!—**დ. თურდოსპირელი**. 11) გა-  
ზაფხული—**ლ. ძიძიგური**. 12) ჩემი ლექსი—**გ. ლეონიძე**. 13) საათი—**გულგა-  
ტხილი**. 14) სახალხო განათლების მოღვაწენი II—ნინო შარაშიძისა—**ნარინი**. 15)  
თავ. გრ. ორბელიანი და რომანტიული მიმართულება ქართულს ზოგნაში—**ილ. ფერაძე**.  
16) რეაქციონური ნაბიჯი—**ვ. ოზჩელი**. 17) განგაში საერობო სკოლების გარშემო—  
**ლადო ბზვანელი**. 18) უცხოეთი. სკოლა ახალშენები ტუეში (ორი სურათით). 19)  
მასწავლებელთა საზოგადოების სანიმუშო წესდება. ფორმები განცხადებისა საზოგადოების  
დაარსების შესახებ. არსებული კანონი საზოგადოების დაარსების შესახებ. 20) კრიტიკა და  
ბიბლიოგრაფია. მცენარენი და ცხოველნი, მეცნიერების დღევანდელი თვალსაზრისით, 21  
სურათით, შედგენილი ვ. ი. რცხილაძის მიერ—**ილ. ალხაზიშვილი**.

**დამატება:** ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა: 1) ზუგ-  
დიდის განუყოფილების ანგარიში 1913 წლისა. 2) მაჩხანის განუყოფილების მოქმედების  
1913 წ. ანგარიში.

მიიღება ხელის მოწერა საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „**ბატუმის გაზეთი**“

(წელიწადი მეოთხე)

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ. ერთი წლით 3 მან. ნახევარი წლით 1 მ. 50 კ.  
3 თვით 75 კ. ერთი თვით 25 კ. აღრესის გამოცვლა 20 კაპ.

წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ პრემიათ ექვსს წიკნს

1) ერთ-ერთ ახალგაზდა მგონის ლექსების კრებულს, ავტორის ბიოგრაფიით და სურა-  
თით. 2) ერთ-ერთ ახალგაზდა ბელეტრისტის მოთხრობათა კრებულს და დანარჩენსაც სხა  
და სხვა ღარგის წიკნებს.

ფოსტის აღრესი: Батумъ, Шереметьевская ул. д. Барона-Фитингофа, № 18  
Редакция Газ. „Батумисъ Газети“.

# განათლება

(წელიწადი მეშვიდე)

V	მ ა ი ს ი	1914 წ.
<p>ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან. ნახევარი წლით : 3 მან. სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მან.</p>	<p>ცალკე ნომ- რის ფასი</p> <hr/> <p>40 კაპ.</p>	<p>ხელის მოწერა მიიღება <b>თბილისში</b> „წერა- კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად- რესით: <b>Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія: Л. Г. Боцвадзе.</b></p>

## კ. ლუსგაფტი

### სკოლის მნიშვნელობა

საზოგადოების ყოველ გვარს გაუმჯობესებას ყოველთვის სკოლის გაუმჯობესებასთან აქვს დამოკიდებულება. საჭიროა ახალი ხალხი, ახალი ძალები— ისინი სკოლამ უნდა მოგვცეს. ღადაც საზოგადოებრივ ცხოვრებას განსაზღვრული ფორმა მიუღია, იქ სკოლაც შესაფერისად არის მოწყობილი, იგი სავსებით ეგუება და ანგარიშს უწევს საზოგადოების აზრს. ამის უტყუარს საბუთს თვისი სკოლებითა და საზოგადო წესწყობილებით ინგლისი გვაძლევს. დღეს ჩვენში სკოლების რიცხვი შესამჩნევად მატულობს, კერძო თაოსნობასაც მეტი უნარი ეტყობა; აუცილებელ საჭიროებად მიჩნიათ ხალხის გონებრივი

განვითარება, გაფანტვა იმ წყვედიადისა, რომლითაც მოცულია ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა. ჩვენი სკოლები კი ნამდვილად მოშლილ წისკვილსა ჰგავს, ყველგან ამჩნევთ განათლებულ კაცთა სიმცირეს, იშვიათად ხედავთ შემოქმედებითს აზრსა და ცოცხალს მუშაობას. მართალია, აქა იქ იხსნება ახალი ტიპის სკოლები, ცდილობენ სასკოლო საქმეში ახალი ცვლილება შეიტანონ და ნორმალური სკოლა დაამყარონ; მაგრამ თავდაპირველად საჭიროა საკითხის გადაწყვეტა სკოლის მნიშვნელობის შესახებ, რომ ადვილად შეგვეძლოს სჯა-ბაასი ნორმალურს სკოლაზე.

საზოგადოთ ბევრი ასე სჯიან: სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს მოწაფეს, რომ მან შეიძინოს ისეთი ცოდნა, რომელიც ცხოვრებაში გამოადგება. ეს მეტის-მეტად ცალმხრივი და ვიწრო შეხედულობაა. ცოდნის შეძენა უსკოლოდაც შეიძლება, როგორც ცხოვრებისადმი დაკვირვებით, აგრეთვე წიგნების საშუალებითაც. მაგრამ, ვსთქვათ, ყმაწვილმა შეიძინა ყველა ცოდნა, რაც მისთვის ცხოვრებაში საჭიროა, — შეუძლიან კი მას ამ ცოდნით დასძლიოს ყველა ის დაბრკოლებანი, რომელნიც მას ცხოვრებაში წინ გადაედობება? არა. ცოდნის შეძენით ადამიანის ნიჭის მხოლოდ ერთი მხარე ვითარდება, — მებსიერება; მებსიერების განვითარებით ახალგაზრდა მხოლოდ მიღებული ცოდნის გამოკრებას ეჩვევა, თვითონ კაცი კი ამასთან არა სჩანს. არც შეიძლება მებსიერების საშუალებით ადამიანმა ყველაფერი შეიძინოს, რაც მას ცხოვრებაში დასჭირდება, და თუ ხშირად არ გაიმეორა, მებსიერების საშუალებით შეძენილი ცოდნა მალე სრულს დავიწყებას მიეცემა, და საჭიროების დროს ყოველთვის უნაკლოდ მებსიერებას დაეყრდნობა, და იმით ხელმძღვანელობს, იგი თავისთავად არ მოქმედებს, არამედ იმეორებს მხოლოდ წინად ნასწავლს. თავისი „მე“ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოჩნდება, როცა ესა თუ ის მოქმედება საკუთარი აზრის შედეგია, მისი განუყრელი ნაყოფია. სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს მოწაფეს ინდივიდუალური ნიჭის განვითარებაში, ამას კი შეეძლებოდა მხოლოდ განყენებულ აზროვნებაში ვარჯიშობით. აქედან ასეთი დასკვნა შეიძლება, რომ სკოლის მთავარი დანიშნულება განყენებული აზროვნების განვითარებაა, ადამიანის პიროვნების მნიშვნელობის შეგნება და შეგნებულებით

მუშაობაა. ასეთი დანიშნულება უნდა ჰქონდეს ყველა სკოლას — დასაწყისს, საშუალოს და უმაღლესს.

ზოგნი ფიქრობენ — დასაწყისი სკოლის დანიშნულება წერა-კითხვის სწავლებააო, ამიტომ ყოველი სავარჯიშო მექანიკური კითხვისა და, ცოტად თუ ბევრად, მართლწერის გარშემო ტრიალებს, მაშინ როდესაც არც ერთს საზოგადო განათლების სკოლაში და საზოგადოთ არც ერთს სხვა ტიპის სკოლებშიაც მექანიკური მუშაობა არ უნდა იყვეს, არამედ ყოველგვარს საშუაოს ბავშვის აზრის განვითარებაც თან უნდა მოჰყვეს. სასკოლო დრო თვითოეულის ცხოვრებაში ისეთი ხანაა, რომ ამ დროს ყველაფერი ხელს. უნდა უწყობდეს ადამიანობის კაცურ-კაცობის განვითარებას. ყველაზე ადრე ბავშვს ეტყობა მისწრაფება თავის სხეულის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ; იგი ეგოისტურად ცდილობს დაიკმაყოფილოს თავისი პირუტყვეული მოთხოვნილებანი. კაცად რომ შეიქმნეს, ბავშვმა უნდა ისწავლოს, შეიგნოს, შეადგინოს წარმოდგენილება ადამიანის პიროვნების მნიშვნელობის შესახებ და ამისდა მიხედვით მუშაობასაც შეეჩვიოს.

პედაგოგიკის ისტორიიდან ვიცით, რომ მეთოთხმეტე საუკუნეში იტალიელ ჰუმანისტებმა შექმნეს ეროვნული ლიტერატურა და „აღმოაჩინეს კაცი“. იმათ მიაქციეს ყურადღება, რომ თავდაპირველად ყველაზე უფრო საჭიროა დაუკვირდე თავის თავს, შეისწავლო და შეიგნო შენი თავი, შეიგნო პიროვნების მნიშვნელობა, შეიმუშავო ადამიანის იდეალი. ყველა ჰუმანისტები: ფრანსუა რაბლე, მონტენი, ჯონ ლოკი, რუსსო, აგრეთვე ენციკლოპედისტებიც სხოლასტიკის ძლიერი მტრები იყვნენ. როგორც ამბობს ერთი იმათი

ბიოგრაფი, იმათ დასწერეს: „უფრო ადამიანური ტრაქტატები აღზრდის შესახებ“. მათ შორის მონტენმა თავის თავზე გამოსცადა კლასიკური განათლების სრული გავლენა. ახლად მოვლენილი ჰუმანიზმის გავლენით მონტენის მამამ მოინდომა საუკეთესოდ აღეზარდა თავისი შვილი, ამისთვის არავითარს საშუალებას არ ზოგავდა. მთელი მისი გონება მიჰყრობილი იყო მხოლოდ იმ საგნისკენ, რომ ხელი შეეწყოს კეთილ და ინტელიგენტ ადამიანის განვითარებისათვის. თავისს პირველ აღზრდას მონტენი ასე აგვიწერს: „მამა ჩემი ასე მოიქცა: ჯერ კიდევ ძიძას არ ვიყავი მოშორებული, ენა ამოვიდგი. თუ არა, მამამ აღსაზრდელად მიმცა ერთს გერმანელს, რომელიც ბოლოს ცნობილი ექიმი იყო პარიზში და იქ გარდაიცვალა. ჩემი აღმზრდელი ფრანგულად სრულიად არ ლაპარაკობდა, მაგრამ ლათინური კი ჩინებულად იცოდა. მამამ იგი განგებ დაიბარა ჩემდა აღსაზრდელად, ფულს არ ზოგავდა ჩემის აღზრდისათვის, და ჩამაგდო მისს ხელში. ამ აღმზრდელს კიდევ ორი თანაშემწე ჰყავდა, იმათ ჩემზე თვალყური ეჭირათ რეხმარებოდნენ ჩემს აღმზრდელს. ამასთან სასტიკად იყო ნაბრძანები, რომ ჩემთან ყველას მხოლოდ ლათინურად ელაპარაკნა. ყველანი—ჩემს გარშემო მყოფნი, დედა ჩემი, მოსამსახურენი, რაც კი შეეძლოთ ლათინურად უნდა დამლაპარაკებოდნენ, ისინიც მხოლოდ ამის გულისთვის სწავლობდნენ ლათინურს. მართლაც საოცარი წარმატება ეტყობოდათ, ჩემმა მშობლებმა ისე შეისწავლეს ლათინური, რომ ესმოდათ ყველა სიტყვები და ლაპარაკიც შეეძლოთ. ასე იქცეოდნენ მოსამსახურენიც“. მონტენი სოფელში იზრდებოდა მშობლის მამულში; ბავშვი ექვსი

წლისა იყო და ჯერ არ გაეგონა არც ფრანგული და არც ადგილობრივი ენა.

მონტენი მართლა ღრმა მოაზრე იყო, მაგრამ ძლიერ უკმაყოფილოც იყო თავისი აღზრდისა: „უეჭველიაო, ამბობდა იგი,—ბევრი მშვენიერი და კარგი რამ არის ბერძნულსა და ლათინურს ენებშიო, მაგრამ ისინი მეტად ძვირად გვიღირსო. მე ვისურვებდი ყოველის უწინარეს კარგად მცოდნოდა ჩემი დედა ენა და შემდეგ კი—ენა ჩემის მეზობლებისა, რომლებთანაც ხშირი მიმოსვლა და დამოკიდებულება მაქვს“. მონტენი წინააღმდეგი იყო სხოლასტიური მეცნიერების შესწავლისა, იმისი აზრით ეს მეცნიერება ადამიანს ვერ ამზადებს ვერც ცხოვრებისათვის და ვერც გუნდურ მუშაობისათვის. ყველაზე უფრო მისი სურვილი იყო, რომ მეტი ყურადღება მიქცეოდა ბავშვის ზნეობრივს საფუძვლებს და სიმართლისთვის თავგამოდებას. სწავლების დროს მონტენი თხოულობდა სასტიკი ანგარიში გაეწიათ ბავშვის პირადი ნიჭისათვის. გმობდა სიტყვიერ სწავლებას გაკვეთილებზე, აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა, რომ მოწაფეს ყოველთვის ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა თვითოეულის გასაკვეთის შინაარსისა და აზრის შესახებ. მართა მებსიერებით მიღებულს მნიშვნელობა არ აქვს და ვერც მოახდენს შესაფერავლენას ბავშვის განვითარებაზე. მონტენი მოწაფეთაგან ავტორიტეტისადმი თავყვანისცემას კი არ მოითხოვდა, არამედ დამოუკიდებელს მსჯელობას. „ჩვენ ლაპარაკიც ვიცით: ციცერონმა ასე სთქვა, აი ზნე პლატონისა, ეს არის ჭეშმარიტი სიტყვები არისტოტელისა. მაგრამ რასაც ჩვენ ვამბობთ, რაზედაც ვმსჯელობთ, რასაც ვაკეთებთ, იმდენს ხომ თუთიყუშიც იტყვის. არ კმარა ვიცოდეთ, რა აზრის

არის ვინმე, საჭირო ეს სხვისი აზრი ისე შევამუშავოთ, რომ სხვისი შეხედულება საკუთარ აზრად გარდაექმნათ. თუ სხვისი მეცნიერებით ჩვენვე მეცნიერები გამოვდივართ, ბრძენად ჩვენ შეგვექმნის მხოლოდ საკუთარი სიბრძნე. სკოლებში ბევრს დროს ანდომებენ უნაყოფო მეცადინეობას. ხშირად მოხდება, რომ თექვსმეტი წლის სწავლის შემდეგ ახალგაზდა ყმაწვილი სრულიად უვარგისი ბრუნდება სახლში. ლათინურმა და ბერძნულ ენებმა ყმაწვილები უფრო გამოათავყვანეს და თავმომწონე გახადეს. თუ სკოლას მეტი ნაყოფის მოცემა არ შეეძლო, უკეთესი იქნებოდა არ დავევშალა ბავშვებისთვის თამაშობა; ამ შემთხვევაში ყმაწვილები ჯანით და სხეულის მოძრაობით მაინც სალი იქნებოდნენ“. მოყვანილს სიტყვებში ნამდვილი ჰუმანისტი სჩანს, რომელიც კაცის განათლებისათვის არ მოითხოვს კლასიკური ენების შესწავლას, არამედ შესაძლებლად სცნობს ყველაფერს დედენის საშუალებით. დიდს ყურადღებას აქცევს მონტენი თამაშობას და სხეულის ვარჯიშობას: „საჭიროა, ამბობს მონტენი, — რომ გარეგანი მართებულობა და თავის დაჭერა, სრულიად ეთანხმებოდეს შინაგან ღირსებებს, სულიერს თვისებებს“. ყველაზე უფრო ეზიზღებოდა მონტენს ძალდატანების გავლენა.

ყველა აქ მოყვანილი აზრი ეკუთვნის ჰუმანიტის ჰუმანისტს, რომელსაც სკოლის დანიშნულებად მიაჩნია მხოლოდ მოწაფის აზროვნების, ნიჭისა და პიროვნების ცნების განვითარების ხელის შეწყობა. ჰუმანისტები არ მისდევდნენ არავითარს უტილიტალურ მიზანს, ისინი სჯერდებოდნენ მხოლოდ „ადამიანის“ პიროვნების გავლენას; ისინი არ მიმართავდნენ არავითარს გარეგან დისციპლინას, არამედ

ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ შინაგანი დისციპლინით, თავისი თავის შეკავებით, სხვისი პიროვნების აღსარებით ერთმანეთში დამოკიდებულების დროს. ეს აზრი ყველა ჰუმანისტებს ეკუთვნის. მოყვანილ აზრებიდან სჩანს, რომ ჰუმანიზმს არავითარი დამოკიდებულება აქვს კლასიკურს ენებთან, არამედ ადამიანის პიროვნების გაცნობასთან.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ადამიანის აზრის სინამდვილეში ეჭვი შეაქვთ, ჩნდება შემამოწმებელი მეთოდი, ცდისა და ფორმების მათემატიკური ანალიზის სახით. მხოლოდ ამ მეთოდის გამოყენებით შეიქმნება მეცნიერება, რომელიც ვერ დაეყრდნობა სიტყვების ავტორიტეტზე, როგორც სხოლასტიკაში იყო, არამედ ეს მეცნიერება წარმოადგენს ერთად შემოწმებულს ჰუმანიტებათა კრებულს.

ცდის საშუალებით შემოწმება და მათემატიკური მეთოდი საფუძვლად დაედო ბუნების მეტყველების მეცნიერების ყოველგვარ დარგს და სკოლაშიც, ცხოვრების მოვლენათა შესწავლისა და მოწაფეებში აზროვნების გაღვიძების დროს, აუცილებლად საჭიროა **არა მარტო ძველ დროთა ძეგლები** არამედ უსათუოდ **ბუნების წიგნების კითხვაც** იმ ფორმების სახით, როგორც ბუნებაში არსებობენ და საჭიროა აგრეთვე ამ ფორმებთან დაკავშირებულ მოქმედებათა შესწავლაც.

დღეს ჩვენებურ სკოლების დანიშნულებას უმთავრესად წერა-კითხვის მექანიკურად შესწავლა შეადგენს, ან სხვა და სხვა საგნების შესწავლა განსაზღვრულ პროგრამის მიხედვით, ამასთან საჭიროა მხოლოდ იმის **ცოდნა**, რასაც პროგრამა მოითხოვს. ჩვენში ჰუმანისტური სკოლები არ არის, არიან მხოლოდ დაწესებულებანი, სადაც დამტკიცებული პროგრამის

მიხედვით სხვა და სხვა საგნებს ასწავლიან. პროგრამები საზოგადოთ წარმოდგენენ ერთ გვარს ყალიბს, რომელშიაც უნდა მოაქცრონ ყველა მოწაფენი, მიუხედავად მათი განკერძოებული პიროვნული თვისებისა, ძალისა და ნიჭისა. ასეთს პირობებში მოწაფეს ისე ცოტად უფითარდება აზროვნების ნიჭი, რომ მას სრულიად არ ძალუძს დასძლიოს თეორიული საგნები, რომლებიც შეგნებასა და მოსაზრებას მოითხოვენ. მოწაფეს სრულიად არ შეუძლიან ობიექტიურის გამოკვლევითა და ცდით შეამოწმოს თავისი აზრი. თეორიული ანატომიის მსმენელნი სახალხო სკოლის მასწავლებელთა შორის, რომელთაც საოსტატო სემინარიის კურსი დაუსრულებიათ, მუდამ უჩივიან, რომ მათ ეძნელებათ ამ საგნის შესწავლა, რადგანაც, როგორც თვითონვე ამბობენ, არ არიან ფიქრს დაჩვეულნი. ჩვენს საოსტატო სემინარიებში და სხვა და სხვა გვარსაპედაგოგიო კურსებზე მსმენელებს ასწავლიან მხოლოდ **მეთოდებს**, სრულიად უყურადღებოდ სტოვებენ მსმენელთა შემოქმედებით აზროვნობაში ვარჯიშობას. განა ამ სახით მომზადებულს მასწავლებელს შეუძლიან შეიგნოს დასაწყისი სკოლის მნიშვნელობა და დააკმაყოფილოს ნორმალური სკოლის მოთხოვნილება? რასაკვირველია არა; სახალხო სკოლის მასწავლებელი სერიოზულად მომზადებული და განათლებული უნდა იყვეს, იცოდეს თავის დაჭერა და იდეურად, სიყვარულით უნდა ეკიდებოდეს თავისს საქმეს. მისი დანიშნულება მეტად ძნელია, მას უნდა ჰქონდეს საკმარისი გაწრთვნა, მოთმინებით აღძრას თავის მოწაფეებში აზრი და ნიაზი ადამიანისადმი, უნდა გააღვიძოს მოწაფეებში მუდმივი მისწრაფება საკუთარის აზრისკენ, მაღლა უნდა აყენებდეს

სიმართლეს და მეცნიერულ ჭეშმარიტებათა, უნდა შეიმუშაონ ცხადი წარმოდგენილება ადამიანის პიროვნების შესახებ; მასწავლებელმა უნდა მიაჩვიოს მოწაფე თავის საკუთარი აზრის შემოწმებას და შრომის მნიშვნელობის შეგნებას. დასაწყისი სკოლა, სადაც მოწაფეებს მხოლოდ წერა-კითხვას ასწავლიან, მოკლებულია თავის დანიშნულებას, ეს სკოლა კი არა, სახელოსნოა, სადაც მოწაფე ვერაფერს განათლებას ვერ იძენს და ეჩვევა მხოლოდ ამა თუ იმ ხერხს, და თუ ხშირად არ ივარჯიშა, ისიც მალე ავიწყდება. დასაწყისი სკოლაც, როგორც ყოველგვარი სკოლა, აზრს უნდა უღვიძებდეს მოწაფეს, უნდა უხსნიდეს ადამიანის პიროვნების მნიშვნელობას და აჩვევდეს საკუთარის აზრის შემოწმებას. სკოლაში შაბლონური მოქმედება შეუძლებელია, ამით ილუპება ბავშვების პიროვნება და მისი ღირსება, მაშინ როდესაც ყოველი ნორმალური სკოლა ყოველი მოწაფის პიროვნულ თვისებას ანგარიშს უნდა უწევდეს და ნებას აძლევდეს მოწაფეს თავისუფლად გაშალოს თავისი გონებრივი ნიჭი.

საოსტატო სემინარიები და საპედაგოგიო კურსები, სადაც უპირატესობას მეთოდის შესწავლას უთმობენ, სკოლები არ არიან; ესენი იგივე სახელოსნოებია, სადაც ჰგონიათ, რომ მსმენელთ საკუთარი თავი არ აბიათ და ამიტომ უნდა შეასწავლონ ისეთი ხერხი და მეთოდი, რომ იმათი საშუალებით შაბლონურად განაგრძონ სწავლების საქმე სკოლებში. სკოლაში მხოლოდ ისეთი მასწავლებელი ვარჯა, რომელსაც, თვისი განვითარების კვალობაზე, შეუძლიან შეიმუშაოს სწავლების საკუთარი მეთოდი, ამ მეთოდში უსათუოდ უნდა იხატებოდეს მასწავლებლის პიროვნება, სხვანაირად იგი ხელო-

სანი იქნება და არა ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლება აზრის აღძვრა მოწაფეებში; აქ უნდა უჩვენონ საკუთარის აზრის შემოწმების წესიც და აღძრან მათში წარმოდგენილება ადამიანის პიროვნების შესახებ; ამისთვის კი საჭიროა, რომ მასწავლებელს შესაფერი მომზადება ჰქონდეს.

საშუალო სკოლაში საჭიროა ხელი შეუწყონ მოწაფის აზრის განვითარებას, მიაჩვიონ ყოველნაირად საკუთარის აზრის შემოწმებას და ცხოვრებაში გამოყენებას, მოწაფეს უნდა შეეძლოს შეითვისოს ცნება ადამიანის პიროვნებისა და მისი მნიშვნელობისა.


უმაღლესს სასწავლებლის მსმენელმა დამოუკიდებლად უნდა შეიმუშაოს თავისი აზრი და გამოიყენოს იგი ცხოვრებაში; იგი აქ იღვის სამსახურს უნდა ეჩვეოდეს და სასტიკად იცავდეს მის გარშემო მყოფთა პიროვნების ხელშეუხებლობას.

არც ერთს სკოლაში არ შეიძლება მექანიკურად წიგნური ცოდნის შესწავლა; სკოლასთან შეკავშირებული უნდა იყვეს მოწაფეთა განათლება. ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია განყენებულს აზროვნებასთან, იმ აზროვნებასთან, რომლის სახე თვით მოწაფეების მიერ არის შემუშავებული და წარმოადგენს მოწაფის გონების მუშაობის საკუთარს ნაყოფს.

დასაწყის სკოლებში საზოგადოთ ხალისით მიჰყვებიან განსაზღვრულს მეთოდს, რომლის საშუალებითაც მექანიკურად ასწავლიან ბავშვებს წერა-კითხვას, აზვარიებენ სხვა და სხვა ლექსებს, იგავ-არაკებს და ზღაპრებს; ხმარობენ სხვა და სხვა ხელ-

საწყობებს საანგარიშო სათვალავებს, ხელოსნულ სახელმძღვანელოებს და სხ. მაგრამ ყველა ეს მკვდარისაქმეა, სასკოლო საქმე კი ცოცხალია და ცოცხალი სიტყვითვე უნდა იქმნას განხორციელებული და მუდამ ცოცხალ დამოუკიდებელ სიტყვითვე შემოწმებული. სკოლა მოშორებული უნდა იქმნას ყოველგვარს მკვდარს შაბლონს, რუტინას, სკოლა თხოულობს ცოცხალ დამოკიდებულებას, უამისოდ მოწაფეს აზრი არ აღძვრის, იგი განათლებას ვერ მიიღებს. სიტლანქე, მოუხეშავობა და თითქმის სიჩლოუნგე, რასაც სემინარიელები იჩენენ საქმეში და რაც მათი დამახასიათებელია, აიხსნება იმ გარემოებით, რომ მათ სრულიად ყალბად ესმისთ სკოლის მნიშვნელობა და სემინარიებშიც ასწავლიდნენ მხოლოდ მეთოდისკას და ხელუხლებლად სტოვებენ სემინარიელთა გონების განვითარებას. სახალხო სკოლის მასწავლებელი უთუოდ თავის ბატონი, განათლებული, ინტელიგენტი ადამიანი უნდა იყვეს, მისი საქმე მეტად ძნელია და მხოლოდ განვითარებას და ჭკუას შეუძლიან ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ ძნელს საქმეში, როგორც დასაწყისი განათლებაა. თუ სახალხო სკოლას ათავებს ისეთი ყმაწვილი, რომელსაც შეუძლიან დააფასოს სკოლა, იმისათვის რომ იქ აზროვნებას შეაჩვიეს, თუ იგი სიმართლეს ყველაზე მაღლა აყენებს და შეგნებულად ეპყრობა ადამიანის პიროვნებას, მაშინ ასეთი სკოლის მასწავლებელიც თავის ადგილზეა, იგი მოწაფეების მეგობარია.

ლ. ბოცვაძე.





# სინათლე და ელექტრონი

(გაგრძელება)


2.

3. ისიც ზღვის ნაპირი უნახავს, ის უსათუოდ დიდხანს თვალს ვერ მთავრებდა მის მიჩქვარე ტალღების მოძრაობას. დაკვირვებული მეთვალყურე ადვილად შეამჩნევს, რომ ტალღა ორის ნაწილისაგან შედგება. ღელვის დროს ზღვის ზედაპირის სისწორე ირღვევა. ერთს ადგილას წყალი რომ მალა აიწევს, იქვე მეზობლად ზედა პირი ჩაღრმავდება. პირველს ნაწილს ტალღისას ეწოდება ბიბილო და მეორეს ველი. ღელვა იმაში მდგომარეობს, რომ ტალღის ბიბილო და ველი რიგრიგითა ჩნდებიან ერთსა და იმავე ადგილას. თუ ამ წუთში წყლის რომელიმე ნაწილი ბიბილოს მოჭყვია და მალა აიწია, მეორე წუთს იგი ნაწილი ველს მიჭყვება და ჩაღრმავდება. ამ რიგად ტალღა წინ გარბის და წყლის ნაწილები კი ზევითა და ქვეითა ქანაობენ. დააკვირდით ზღვის თრინივალს, როდესაც იგი ტალღას მიენდობა. ღელვის დროს იგი ერთს ადგილას ქანაობს. ხან ტალღის ბიბილოზედაა და მალა იწევს, ხან მის ველთან ერთად დაბლა ჩაქანდება და მაინც-კი ერთს ადგილზედა რჩება — ნაპირს არ უახლოვდება. ეს ძირითადი თვისებაა ღელვისა. წყლის ნაწილები ღელვის დროს ნაპირს არც უახლოვდებიან და არცა ჰშორდებიან. ისინი მხოლოდ ქანაობენ, ირევიან. ეს რევა გასდევს მთელს

ზედაპირს წყლისას და ჩნდება ტალღა. მასადასე ღელვა წყლის ნაწილთა წინსვლა კი არ არის, იგი წინსვლაა მხოლოდ მათის მდგომარეობისა (რევიისა). მაგრამ ღელვა ჩვენში ისეთს შთაბეჭდილებას ჰბადებს, თითქმის წყალი იწევდეს ნაპირისაკენ ან მას გაუბოდეს. აქ ჩვენს მხედველობას შევეყვართ შეცდომაში. განა როდესაც მიწაზე იანა ჰელვაავს ამგვარი შთაბეჭდილება არ იბადება ჩვენში, მაგრამ ნუთუ ვინმე იფიქრებს, რომ ღელვის დროს თავთავი ან მთელი ძირი თავის ადგილიდან მიდის სადმე? უკვლამ კარგად ვიცით, რომ იგი მხოლოდ პერიოდულია იხრება და სწორდება — ქანაობს, მის ქანაობას იმეორებს უოველი თავთავი, ეს ჰქმნის ტალღასა და მის თანულოლს მოეყენასაც. ასევე ჰხდება წყლის ღელვის დროსაც.

ის სიგრძე, რაც ერთს ბიბილოსა და ველს უჭირავს, ტალღის სიგრძეს წარმოადგენს. ნაწილთა გასქან მანძილს ამჟღავნებს ეწოდება.


ღელვის საარსო თვისებათა ნათლად წარმოდგენისათვის ერთს უბრალო ცდას მივმართოთ. ბავშვებს ხშირად უყვართ თოკის გველად გადაჭრევა. ჩვენც მათის მაგალითით ვისარგებლოთ. ავიღოთ თოკი, ძირს გავშალოთ და ერთი ბოლო იმისი ზევით-ქვევით ვაქანოთ. თოკი გველივით დაიკვავება და სურათზედ ნაჩვენებს სხეს მიიღებს.



ეს გრეხილი ხაზი ტალღის გარეგნობას წარმოადგენს: ად ტალღის სიგრძეა, ბგ—ამპლიტუდა.

ერთის გაქნევით გავაჩვენოთ ერთს ტალღას, რომელიც თოკის ბოლომდის გაიარებენ. ერთის წუთის განმავლობაში გარბენილი მანძილი ამ ტალღის სისწრაფის საზომი იქნება.

თუ თოკის ბოლოს ერთის წუთის განმავლობაში ექვსჯერ ავწევ-დავწევთ, მაშინ ექვს ტალღას გავაჩვენოთ და ჰერველი მათგანი მანძი უწინდელს მანძილს გაიარებენ—მისი სისწრაფე არ შეიცვლება. ეს მანძილი ედრება ექვს ტალღის სიგრძეს



აქედან შეგვიძლიან დავსკვნათ, რომ ღელვის მიმდინარეობის სისწრაფის გასაგებად სკამარისია ტალღის სიგრძე გავამრავლოთ მათს წუთიერ რიცხვზედ.

$$W = \lambda n; \text{ ან } \lambda = \frac{W}{n}$$

( $W$ —სისწრაფეა,  $n$ —ტალღათა რიცხვი ერთს წუთში,  $\lambda$ —ტალღის სიგრძე).

ამ დებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებაში. იგი აკავშირებს ტალღის სიგრძეს საარსო თვისებას—მის სისწრაფეს, სიყრდის და წუთიერ რიცხვს. თუ ორი მათგანი ვიცით, მესამის ზოგნა ადვილია:  $W = \lambda n$ ,  $\lambda = \frac{W}{n}$ ,  $n = \frac{W}{\lambda}$


იმის დამოუკიდებლად, თუ რაგვარს არეში სწარმოებს ღელვა, თუ რა არის მისი შედეგი—ხმაურობა თუ სინათლე, ეს ხსენებული კავშირი ტალღის საარსო თვისებათა შორის უცვლელი რჩება. თუ ხმის გამომცემი სხეული წუთში ას სამოცდა ხუთჯერ ირევა და ამგვარად ჰბადებს ას სამოცდა ხუთს ტალღას, თითოეულ ტალღის სიგრძე უდრის ორს მეტრს, რადგანაც ხმის სისწრაფე ჰუკში სამს ოცდაათი მეტრია. თუ ამ სხეულის რევათა რიცხვი ექვსას სამოცი განდება, მაშინ

ტალღა მხოლოდ ნახევარ მეტრის სიგრძეს დაიჭერს.

ღელვის სისწრაფეზედ ტალღათა რიცხვი არა ჰმოქმედებს. ეს სისწრაფე დამოკიდებულია მხოლოდ არეს თვისებათაგან, უმთავრესად მის სიმჭირხნისაგან. მაგრამ ერთსა და იმავე არეში რაც ხშირია რევა, მით ტალღის სიგრძეც ნაკლებია. ქვევით დავინახავთ, რომ სინათლის ტალღათა სიგრძე მილიმეტრის მანძი ნაწილს არ აღემატება და ამ გვარად მიხვდებით თუ რა წამოუდგენელის სისწრაფით ირევა ეთერი.

კავითვალისწინეთ რა ღელვის საარსო თვისებანი, დავუბრუნდეთ ისევ იონგის თეორიას. იონგის აზროვნების უმთავრეს ძალას ნიუტონის ფერად რგოლების ასხნა წარმოადგენს. იგი ამ მოვლენის მიზეზს ტალღათა ინტერფერენციაში (ურთიერთ ზედკავლენა) ხედავდა. მკითხველს უეჭველია უურადდება მიუქცევია საზნის ბუშტის ფერადობისათვის. ამ გვარადვე ფერადდება წელის ზედაპირი თუ მას რამე ზეთს გადავასხამთ. ნიუტონი ამ გვარსავე მოვლენას შემდგომის ცდით იმეორებდა: მიწის ფორფიტაზედ ათავსებდა ამბურ-

ცულის მინას, ასე რომ ამ ფირფიტას შორის ჰაერის შუქად ვიწრო ფენა რჩებოდა.




ამგვარ ხელსაწყოს ზედაპირს რომ სინათლის სხივი ვტოვარცნობთ და ეურადღება უკუქცეულს სხივის მიჯაჭვით, დაფინანსავთ შუაგულში პატარა ბნელს რგოლს, იგი შემორტეული იქნება ნათელი რგოლით, შემდეგ ისევ ბნელი, რომელიც კვლავ ნათელ რგოლით იქნება შემოფარგლული. ერთის სიტყვით ბნელი და ნათელი რგოლები რიგრიგად დაწყობიან კანცენტრირულად



აი ამ რგოლებს ეწოდა ნიუტონის ფერად რგოლების სახელი. ამ რგოლების გაჩენის მიზეზის ზოგნას ნიუტონი თავის გამომდინარეობის თეორიის საშუალებითა სცდილობდა, მაგრამ იმგვარი ბუნდოვანება და აზრთა ნაძაღდეობა იბადებოდა, რომ თვით ნიუტონ-

საც არ აკმაყოფილებდა ამგვარი ახსნა მოვლენისა. როდესაც ტომას იონგი ამ მოვლენის ახსნის დროს ღეფვის თეორიას დაემყარა, გაუგებრობისა და სირთულის ადგილი გასაცანმა სიმარტივემ დაიჭირა.

მართლაც და გასაცარი რამ არის ერთის შეხედვით ეს მოვლენა! სინათლე ემატება სინათლეს, სხივი ერთვის სხივს და იმის მაგივრად, რომ სინათლის გაძლიერება მოჰყუევს ამ შეერთებას, ვიდებთ სიბნელეს, თითქოს სხივი სხივს აქრობდეს.



წარმოვიდგინოთ, რომ სხივი ეცემა მიწის თხელს ფირფიტას (სურ.). იგი შევა თუ არა მინაში გადაიმტვრევა და ბდ მიმართულებას მიიღებს, შემდეგ გ-საკენ უკუიქცევა, კვლავ დაბრუნდება ჰაერში და ე-საკენ გაემართება. მეორე სხივის ერთი ნაწილი შევა მინაში, მეორე-გი გ-დანვე უკუიქცევა და ე-საკენ გაემართება. ამ გვარად გე წარმოადგენს ორმაგს სხივს. ამ გზით ერთად მიდის ორი ტალღა სინათლისა: ერთმა განვლო აბლგე და მეორემ აგე. ამ ერთის გზით სიარულს ორის ტალღისას შეიძლება სამგვარი შედეგი მოჰყუევს: პირველი—სინათლის გაძლიერება, მეორე—მისი შესუსტება და მესამე—სრული ჩაქრობა.

სამივე შედეგის მიღება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაში შეხვდება ე-ში ერთი ტალღა მეორეს. ვსთქვათ პირველ ტალღის ზედგავლენით ე-ის გარშემო ეთერი მალღა უნდა აიწიოს და მეორე კი იმავე დროს ეთერის დაბლა დაწვევას სცდილობს. თუ ამ ტალღათა გასაქანი ერთნაირია, აშკარაა ამ გარემოებას მხოლოდ ერთი შედეგი უნდა მოჰყვას—ეთერის უძრავობა. და თუ ეთერი უძრავია, თუ იგი არა ჰქვავს სინათლეს არ არის. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ორივე ტალღის გამო ეთერი უნდა მალღა აიწიოს ან დაბლა დაიწიოს. მაშინ ცხადია ეთერი გაოკრეტირებულია ძალით იწეებს ღელვას და სინათლეს ამის გამო გაძლიერდება. ამრიგად თუ ორი ტალღა ერთნაირს მდგომარეობაში გადაინლართა, მხოლოდნა გაძლიერდება და, თუ ერთი ტალღა მეორეს საწინააღმდეგო მდგომარეობაში შეხვდა, ურთიერთ გაუუჩიებენ, ჩაქრდებიან.

ტალღათა ამგვარ ურთიერთ გავლენას ინტერფერენცია ჰქვინან. იგი შეტად მარტივად ხსნის ფერად რგოლებიან მიხეზს. ნიუტონის ცდაში თხელ ფირფიტის მაგივრებას ჰუერის თხელი ფენა სწევს. და, რადგანაც მისი სიგანე მატულობს ნაპირისაკენ, უკუქცეული ტალღები ხან ერთმანეთს გააძლიერებენ და ხან გაუუჩიებენ და ამგვარად გაჩნდება ბნელისა და ნათელ რგოლთა რიგრიგობა.

აი ამგვარად ჰხსნიდა ტომას იონგი გაუგებას მხოლოდნას. იონგის მხარი დაუჭირა გამომჩენილმა მეცნიერმა ოგიუსტ ფრენელმა და სკერთო ძალით სძლიეს ნიუტონის თეორია. საჭირო იყო საბოლოო იერიში და იგი წილად ხვდა საფრანგეთის მეცნიერებს ფიზოლსა და ფუკოს. გარემოებაში მოითხოვა, რომ თეორიულად გამოეანგარიშებინათ რამდელ გამჭვირვალე არეს უფრო სწრაფად ატანს სხივი: შეტად მჭირხნეს თუ ნაკლებად მჭირხნეს. ნიუტონის თეორიით გამოდიოდა, რომ რაც უფრო მჭირხნეს არე, მით სინათლის სისწრა-

ფეც მასში შეტია. გიუგენსისა-კი ამტკიცებდა არეს სიმჭირხნის სიდიდეს სინათლის სისწრაფის კლება მოსდევსო. ერთსა და იმავე მოკლენაზედ ორი, ერთი მეორის საწინააღმდეგო ხარი მეცნიერებაში ვერ იბოგინებს და ცდას უნდა გადაეწვიტა ეს კამათი. 1851 წელს ფიზომა და ფუკომ მოახდინეს ცდა, რომლის საშუალებითაც გამოიანგარიშეს სინათლის სისწრაფე ჰუერისა და წუადში. უგანასკნელში ნაკლები გამოდგა იგი სისწრაფე: ამ გვარად ბუნების მსჯავრით „ღელვის თეორია“ გამართლდა.

3.

ტომას იონგის შრომა იმითიცაა დასაფასებელი, რომ მან პირველმა გაზომა სინათლის ტალღათა სიგრძე. მაგრამ, ვიდრე ამ სიგრძეზედ ვიტყოდეთ რასმეს, ურიგო არ იქნება ჯერ ხმაურების ტალღათა ოდნობა გვეჩინდეს გათვადისწინებულად.

როგორც ზევითაც გვეჩინდა მოხსენებულად, ხმაურება შედეგია ჰუერის ან სხვა რამეღიმე ნივთიერების ღელვისა. ეს ღელვა ჰუერში ერთის წუთის განმავლობაში 330 შეტრს (155 საუენს) გარბის; იგი, ჰხვდება რა ადამიანის ურს, ადიზიანებს სმენის ნერვებს და ჰბადებს ხმის განცდას. ხმის არსებობა დამოკიდებულია მსმენელ ორგანოს—უურის მოწეობილობაზედ. ხმა ცხოველის გარეშე არ არსებობს. უურის გარეშე არსებობს მხოლოდ არეს ღელვა. თუ ეს ღელვა უურს არა ჰხვდება, თუ იგი სმენის ნერვებზედ არა ჰმტემედებს, ხმაც არსად არის. ადამიანის უური მაგალითად ისეა მოწეობილი, რომ ეველ ტალღა ჰუერისა ვერა ჰბადებს მასში ხმის განცდას. ჩვენს გრძნობას ხმად შეუძლიან გარდაჰქმნას იმგვარი რეევა, რომლის რიცხვი ერთს წუთში 16 ნაკლები არ არის და 40,000 ჯრ ადემატება. შესაძლებელია ჰუერში სწარმოებდეს უფრო მდორე ან მალღი ღელვა, მაგრამ ერთიცა და მეორეც მხოლოდ ჰუერის მოძრავობადა რჩება. ადამიანის უური მათთვის ურუ არის.


თუ ხმის სისწრაფეს მოვიგონებთ და მივიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ ეს სისწრაფე უოველგვარ ბგერათათვის ერთი და აიგება, დაინახავთ, რომ ყურთა სმენის ერთს სსზღვარს წარმოადგენს 20 მეტრის სიგრძის ტალღა და მეორეს ერთის სანტიმეტრისა. ჰუსიკაში ხმარებულ ბგერათა რიცხვი უფრო მცირეა. აქ ეს სსზღვრები ერთმანეთს უახლოვლებიან. უმდაბლეს სამუსიკო ბგერისათვის სსზღვრა წუთში 32 რეჟვა დაუმადლესისათვის კი 4,000. მაშასადამე პირველ ტალღის სიგრძე 10 მეტრია, მეორესი 8 სანტიმეტრი. ჰამაკაცის ღაპარაკის დროს ჰუკში განიხილ ტალღის სიგრძე საშუალოდ ერთი მეტრია.

ეხლა სინათლის ტალღებისა და მათის წუთიერ რიცხვის გაზომაზე გადავიდეთ. აქ უფროვ საოცნებო ოდნობათა ფარგალში შევდივართ. სინათლის სისწრაფე, როგორც ეს მრავალმხრემა გამკველევამ დაამტკიცა, უდრის 300,000 კილომეტრს. (280,000 ვერსი). ამ საშინელ სისწრაფის ნათლად წარმოსადგენად საკმარისია გავიხსენოთ, რომ სხივის მუქლიან ერთის წუთის განმავლობაში დედამიწის ეკვატორს თითქმის რვაჯერ შემოურბინოს. მეორე მხრით მეცნიერებმა დიდის პოთმინებითა და მხებრებით მოწოობილ ცდათა საშუალებით საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ სინათლის ტალღა ე. წ. მიკრონით\*) განიზომება. თუ სინათლის სისწრაფე და მის ტალღათა სიგრძე ვიცით, რეჟვათა წუთიერ რიცხვის პოვნა უბრალოდ გამოანგარიშების საქმეა. და აი სწორედ ეს ანგარიში გვარწმუნებს, რომ ეთერის ნაწილთა რეჟვის რიცხვი ერთის წუთის განმავლობაში ას ბილიონზედ ზევით ადის (100,000,000,000,000). ამ რიცხვით გამოსახულ ოდნობის რეალურ მნიშვნელობას ვერც-კი წარმოვიდგენთ!

როგორც მუსიკალურ ბგერათა სიმაღლის

\*) მიკრონი მილიმეტრის მეათასედი ნაწილია.

განსხვავებას რეჟვის წუთიერი რიცხვი იწვევს, აგრეთვე ეთერის რეჟვის რიცხვის სხვადასხვაობა სხივის ფერადობასა ჰბადებს. დამტკიცებულია, რომ თეთრი სხივი რთულს რასმეს წარმოადგენს. ეს პირველად ნიუტონმა დაამტკიცა. მზის სხივი ბნელს ოთახში რომ პრიზმაში გავატაროთ და თეთრს ნიადაგზედ მივიღოთ, დაფერადებულს სურათს დაინახავთ. ეს სურათი ცისარტყელას მოგვაგონებს. სსჰე იმ ანის, რომ პრიზმაში თეთრი სხივი იმტვრევა და თავის შემადგენელ ნაწილებად—ფერად სხივებად იშლება. ერთის ფერის სხივის, ან უფრო სწორედ რომა ვსთქვათ, უფერულ სხივის ადგილას შვიდს სხვა და სხვა ფერის სხივს მივიღებთ. ეს სხივებია: წითელი, ნარინჯი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი.



ავითოეულ ამ სხივთაგანის გადამტვრევის რაოდენობა განსაკუთრებულია. ყველაზედ ნაკლებად წითელი სხივი იმტვრევა და პრიზმიდან გამოსვლისა ცალკეედება. ჩამოთვლილ ფერებში სხივთაიმტვრევა თანდათან მატულებს

და ეს გარემოებას მიზეზი ფერად სხივთა განცალკევებისა. ამ მოვლენას მეტნიერებაში დისპერსია ჰქვია. შეიდეგოფან სურათს კი სპექტრი.

იმის დასამტკიცებლად, რომ სპექტრის ფერები მართლაც უფერულ—თეთრ სხივის დაშლის შედეგია, საკმარისია ეს ფერადი სხივები ისევ ერთმანეთში აურიოთ, ერთად შევ-

კრიბოთ, რომ ისევ თეთრი სხივი მივიღოთ. მაშასადამე თეთრი სხივი წარმოადგენს აურებელ მარტივ სხივთა კრებულს. მათი განსხვავება გადამტვრევის მეტნაკლებობაშია. ყოველს ამ სხივთაგანს განსაკუთრებული ტალღის სიგრძე აქვს; ყოველი მათგანი ეთერის რეფრინგის განსხვავებულ რადიენტობის შედეგია.

	ფარის სიჩქარე		ჩვეის სიჩქარე
წითელი	0,000630	წითელი	500 ჰერცნი
ნახინჯი	0,000583	ნახინჯი	53% "
ყვითელი	0,000551	ყვითელი	56% "
მწვანე	0,000524	მწვანე	59% "
ყისფერი	0,000498	ყისფერი	62% "
ლურჯი	0,000475	ლურჯი	65% "
იისფერი	0,000443	იისფერი	73% "

სხივის დაწვრილებით გამოსაკვლევად პრიზმატიულ სპექტრის გარდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი საშუალება არსებობს. ამ საშუალებას „დიფრაქციური სპექტრი“ წარმოადგენს. ამ გვარ სპექტრის მისაღებად სხივს ატარებენ ურთხვ მეტად ვიწრო ნაპრალებში. ერთის მილიმეტრის სიგანეზედ 800 ნაპრალს ათავსებენ, ისე რომ მათ შორის ხელუხლებელი ადგილის სივრცე მილიმეტრის <sup>1</sup>/<sub>16000</sub> უდრის. ადვილად მიხვდებით, რომ ამგვარ ფირფიტის მომზადება მეტად ძნელია. საჭიროა მეტად რთული მანქანა. მაგრამ თანამედროვე მეტნიერული ტექნიკა რა სასწაულს არ მოიქმედებს! ეს მანქანა ამერიკელმა ფიზიკოსმა როუზანდ-მა მოაწყო. ამ მანქანის აკებულობა იქამდის მკრძნობიარეა, რომ ადამიანის მიახლოებით

გამოწვეული ტემპერატურის შეცვლაც კი ჰმობედებს მასზედ, მის მუშაობას ხელს უშლის. როუზანდი თავის მანქანას დრმა ორმოქათავსებდა და ადამიანის ხელუხლებლად ამუშავებდა. მთელი ფირფიტა 160000 ჯერ განახული ცხრა დღეს მზადდებოდა და ამ ხნის განმავლობაში მანქანა თავის თავად, უაღამობათა მუშაობა!

დიფრაქციულ სპექტრის წყალბით გამოირკვა, რომ ხილულ სხივთ გარდა არსებობს ე.წ. ბნელი, უხილავი სპექტრი: წითელგადაღმდა იისფერ გადაღმა სხივთაგან შემდგარი. გამოირკვა ისიც, რომ შედეგელობა ადამიანის, როგორცდაც მისი სმენა, ზღუდით არის შემოფარგლული. ჩვენი თვალი, ეს გასაცნობი ორგანო ჩვენი აკებულობისა, აურებელ სხივთა რიცხვში მხოლოდ ერთი ბეწვა ნაწილს

არჩევს. ორსავე მხარეს თვალით დასანახავ სპექტრს აკრავს მთელი რიგი ისეთ სხივთა, რომელთა დანახვა ჩვენს თვალს არ შეუძლიან. მათი აღმოჩენისათვის სხვა საშუალებაა საჭირო. წითელგადაღმა სხივები უმთავრესად მათის სითბოთი აშკარავდებიან, ვისთერგად აღმანი-კი მათის ქიმიურის ენერგიითა. უველა სხივთა განცდისათვის ჩვენთვის საჭირო იქნებოდა მხედველობაზედ არა ნაკლები ტემპერატურული გრძნობა. გარდა ამისა საჭირო იქნებოდა ჩვენს თვალს ფოტოგრაფიულ ფირფიტის მგრძობობა მისცემოდა. მაგრამ ერთი ცდა და შეორეც არ გაგვანინა! დამით უღრუბლად ცაზედ აღმანიის თვალი ორიდან ოთხი ათასმადის ვარსკვლავს არჩევს; თანამედროვე ასტრონომიულ ღურბინდების საშუალებით ეს რიცხვი ასიათასმადის აღის. ფოტოგრაფიულ ფირფიტის საშუალებით მობზადებულ რუქაზედ კი ოცდაათი მილიონი ვარსკვლავი იქნება მოთავსებული! აუარებელი რიცხვი ამ ვარსკვლავებისა ფოტოგრაფიულ ფირფიტაზედ აღიბეჭდება იმ იისთერგადღმა სხივთა ზედგავლენით, რომელთათვისაც ჩვენი თვალი სრულიად უგრძნობელია.

წითელგადაღმა სხივების აღმოსაჩენად საჭირო იყო ტერმომეტრზედ გაცილებით მგრძობობარე ხელსაწყოას ჩონა. და აი კიდევ ნიმუში აღმანიის უნარისა! ამერიკელმა ლანგლემ მოაწყო ე. წ. ბოლომეტრი, რომელზედაც ერთ კილომეტრის სიშორეზედ ანთებულ სანთლის სითბოც კი შესამჩნევად ჰმომქმედებს.

ამ ბოლომეტრისა და ფოტოგრაფიულ ფირფიტის შემწეობით სინათლის სპექტრი ორსავე


მხარეს გასაოცრად იქმნა გაფართოებული. ბოლომეტრით აღმოჩენილ ტალღათა შორის უდიდესი სამოცდა ერთ მიკრონის სიგრძისაა (0,061 მილიმეტრი). ამ ტალღისათვის წუთში ხუთი ბილიონი რევეა არის საჭირო. უმოკლესი ტალღა სინათლისა ფოტოგრაფიულ მეთოდით იქმნა აღმოჩენილი, ამ ტალღის სიგრძე მიკრონის ერთს მეათასედს უდრის\*), წუთიერი რიცხვი კი სამიათას ბილიონს. ამ ორ საზღვარს შორის ტალღათა განუწყვეტელი რიგი არსებობს. ამ რიგში თავსდება ის, რასაც ჩვენ სითბოსა, სინათლეს და ფერადობას ვუძახით. მათი საარსო მხარე ერთი და იგივე ეთერის დეფვა არის, მხოლოდ ნაწილათა რევეის სისწრაფისა და ტალღის სიგრძის მუტაცებობაა მათი განსხვავების მიზეზი.

ექვციც ნუ გეკენებათ იმაში, რომ აღმანიის გონება ამ საზღვრებზედ არ შეჩერდებოდა. მეცნიერულ გონებას უცნაურად ეჩვენებოდა ის აზრი, რომ სამოცდა ერთ მიკრონის ტალღის გადაღმა აღარაფერი არსებობს. იგი გონებას ბევრი ამგვარი საზღვარი გადაუღახავს. და აი აქაც არ უღალატა თავის ჩვეულებას, გადაიხედა ამართულ ზღუდის იქით და გაოცდა. გაოცდა, რადგანაც მის წინ ტალღათა უცნობი, თვალუწვდენელი სამეფო აღმოჩნდა!

**3. ქარუმიძე.**

(დასასრული იქნება)

\*) მიკრონის მეათასედი=0,000,001 მილიმეტრს. მაშასადამე ერთის მილიმეტრის სივანებზედ ერთი მილიონი ამგვარი ტალღა მოთავსდება.



# არითმეტიკის გაკვეთილი

„მოცემული სიდიდის სწორი ნაწილების ჰოვნა“ \*)

**გეგმა გაკვეთილისა:** 1. გამეორება ნასწავლისა, 2. ჰოვნა  $\frac{1}{3}$ ,  $\frac{2}{4}$ ,  $\frac{2}{3}$  მთელში (თვალსაჩინოდ) 3. ჰოვნა  $\frac{1}{3}$ ,  $\frac{2}{4}$ ,  $\frac{2}{3}$  მთელში (თვალსაჩინო საგნების დაუხმარებლად) 4. წერა  $\frac{1}{3}$ ,  $\frac{2}{4}$ ,  $\frac{2}{3}$  და 5. ამოცანები მთელი ერთეულის ნაწილების ჰოვნის შესახებ.

**გაკვეთილის მსვლელობა.** მასწ. რა უნდა ვქნათ, ბავშვებო, მთელი ერთეულის ნახევარი რომ მივიღოთ? მძწ. თუ მთელს ორ თანასწორ ნაწილად გავყოფთ, მაშინ მივიღებთ მთლის ნახევარს. მასწ. მთელი რომ გავყოთ ორ არა თანასწორ ნაწილად, მაშინ ეს ნაწილები იქნებიან მთელი ერთეულის ნახევარი? მძწ. არა, არ იქნებიან, მაშინ მივიღებთ არა თანასწორ ნახევრებს. მასწ. მთელს ერთეულში რამდენი ნახევარია? მძწ. — ორი ნახევარი. მასწ. მთელი ერთეული მეტია თუ ნაკლები ერთეულის ნახევარზე? მძწ. მთელი ერთეული მეტია ნახევარზე. მასწ. რამდენჯერ არის მეტი? მძწ. — ორჯელ. მასწ. როგორ იწერება ნახევარი  $\frac{1}{2}$ ? მძწ. — იწერება ასე „1“ ხაზს ზევით „2“ ხაზს ქვევით. მასწ. დამიწერეთ დაფაზე  $\frac{1}{2}$ . (მასწავლებელი გამოუძახებს სათითაოდ მოწაფეებს და დაწერინებს საკლასო დაფაზე  $\frac{1}{2}$ ). მასწ. რას გვიჩვენებს რიცხვი 2? 1? მძწ. რიცხვი 2 გვიჩვენებს რა ნაწილი იქნება მთლისა აღებული, რიცხვი 1 გვიჩვენებს რამდენი იქმნა აღებული ასეთი ნაწილი.

ამის შემდეგ მასწავლებელი აძლევს მო-

წაფეებს გამოსაცნობლად შემდეგი შინაარსის ამოცანებს: გირვანქა ერბო ექვს შაურად ღირს, რამდენად ღირს  $\frac{1}{2}$  გირ. ერბო? მძწ.  $\frac{1}{2}$  გირ. ერბო ღირს სამ შაურად. მასწ. როგორ გამოიყენოთ? მძწ. ჩვენ ავიღეთ ექვსი შაურის ნახევარი, ამისთვის ექვსი შაური გავყავით ორ თანასწორ ნაწილად. მასწ. როგორ უნდა გავიგოთ მთელის  $\frac{1}{4}$ ? მძწ. ამისთვის მთელი ერთეული ანუ რიცხვი უნდა გავყოთ ოთხ თანასწორ ნაწილად. მასწ. დამიწერეთ დაფაზე  $\frac{1}{4}$ . (აწერინებს დაფაზე  $\frac{1}{4}$ ) მასწ. რას გვიჩვენებს რიცხვი 4? 1? მძწ. რიცხვი 4 გვიჩვენებს რა ნაწილია აღებული, 1-კი რამდენია აღებული ამნაირი ნაწილი.

ამის შემდეგ მასწავლებელი აძლევს მოწაფეებს მეორე ამოცანას. მასწ. რა ღირს  $\frac{1}{4}$  გირ. შაქარი, თუ გირვანქა 16 კაპ. ფასობს? მძწ.  $\frac{1}{4}$  გირ. შაქარი 4 კაპ. ეღირება. მასწ. როგორ გამოიყენოთ? მძწ. ჩვენ ჯერ გავიგეთ 16-ის  $\frac{1}{2}$ , მივიღეთ 8 კ. შემდეგ გავიგეთ 8 კ.  $\frac{1}{2}$  და მივიღეთ 4 კ. 4 კ. = 16 კ. ერთს მეოთხედს, მაშასადამე  $\frac{1}{4}$  გირ. შაქარი ღირებულა 4 კ. მასწ. ამდენხანს ჩვენ მთელს ვყოფდით 2 და 4 ნაწილად, შეიძლება მთლის გაყოფა სამად? (აქ მასწავლებელი აუხსნის).

მასწ. ავიღებთ თაბახ ქალაღდს და გავყოფთ სამ თანასწორ ნაწილად. მასწ. რა ვქენი? მძწ. თქვენ ქილაღდი გაჰყავით სამ თანასწორ ნაწილად. მასწ. მოდი ჩემთან, ვანო და შეადარე ეს ნაწილები. როგორია?

\*) იხ. 1911 წ. „განათლების“ № III.



მკწ. ეს ნაწილები თანასწორია. მასწ. დიახ, თანასწორია. რამდენი მაქვს ამისთანა ნაწილები? მკწ. ამისთანა ნაწილი სამი გაქვთ. მასწ. რა უნდა ვუწოდოთ თითოებულს ამ ნაწილს? მკწ. ერთი მესამედი ნაწილი. მასწ. მართალია, ერთი მესამედი ნაწილი, ან პირდაპირ მესამედი. მასწ. გაიმეორეთ ბავშვებო, რა ჰქვიან თვითოეულს ნაწილს, როცა მთელი სამ ნაწილად არის გაყოფილი? მკწ. თვითოეულს ამ ნაწილს ერთი მესამედი ჰქვიან. მასწ. აბა ეხლა თაბახი ქალაღდი რომ გავყო სამ უთანასწორო ნაწილად, მაშინ თვითოეულს ნაწილს დაერქმევა მთელის მესამედი ნაწილი? მკწ. არა, იმიტომ რომ ერთი ნაწილი არ იქნება მეორეს თანასწორი. მასწ. ბავშვებო, მიყურეთ მე ავიღებ ზონარს და გავგჭრი სამ თანასწორ ნაწილად, შენ კი, სოსო, შეადარე ეს ნაწილები თანასწორი იქნებიან თუ არა. მკწ. ეს სამივე ნაწილი ზონარისა თანასწორია. მასწ. რამდენ ნაწილად გავსჭერით ზონარი? მკწ. სამ ნაწილად. მასწ. რა ჰქვიან თვითოეულს ამ ნაწილს მთელის ზანარი-სას? მკწ. თვითოეულს ნაწილს ჰქვიან მესამედი. მასწ. ბავშვებო, აბა უყურეთ რა ვუყავი დაფაზე გასმულ ხაზრს? მკწ. თქვენ ხაზი სამად გაჰყავით. მასწ. შეადარეთ ეს ნაწილები! მკწ. ეს ნაწილები თანასწორია. მასწ. რა ჰქვიან თვითოეულს ნაწილს?— მკწ. თვითოეულს ნაწილს ერთი მესამედი ჰქვიან. მასწ. მთელი ხაზი რამდენჯერ მეტია თვითოეულს მისს მესამედ ნაწილზე? მკწ. თვითოეული მთელი ხაზი თავისს ერთმესამედ ნაწილზე სამჯერ მეტია. მასწ. ხაზის  $\frac{1}{3}$  რამდენჯერ ნაკლებია მთელ ხაზზე? მკწ. ხაზის  $\frac{1}{3}$  მთელ ხაზზე სამჯერ ნაკლებია.

შემდეგ მასწავლებელი აძლევს ამოცანებს. მასწ. ბავშვს 9 კაბ. ჰქონდა, ამ ფუ-

ლის ერთი მესამედი ქალაღღში დახარჯა, დანარჩენი კარანდაშებში; რა დაუხარჯავს კარანდაშებში? მკწ. დაუხარჯავს 6 კაბ. მასწ. როგორ გაიგეთ? მკწ. ჯერ გავიგეთ 9 კაბიკის  $\frac{1}{3}$  რამდენია, ან რამდენი დახარჯა ბავშვებმა ქალაღღში, ამისთვის 9 კ. გავყავით სამ თანასწორ ნაწილად და მივიღეთ 3 კაბ. ეს ბავშვმა ქალაღღში მისცა, დანარჩენი ფულით კარანდაშები იყიდა. რომ გავიგოთ რა მიუცია კარანდაშებში, ამისთვის 9 კ. უღდა მოვაკლოთ 3 კ. მივიღებთ 6 კაბ.

**მეორე ახსნა.** რადგანაც ბავშვმა სულ 9 კაბ. დახარჯა ან მთელი, ქალაღღში  $\frac{1}{3}$  მისცა, სულ  $\frac{3}{3}$  დახარჯა ან მთელი, მაშასადამე კარანდაშებში მისცა დანარჩენი  $\frac{2}{3}$  ნაწილი 9 კაბიკისა; ანუ 6 კაბ. მასწ. მეორე ამოცანა. გირვანქა ქლიავი 6 კ. ღირს, რა ეღირება  $\frac{1}{3}$  გირვანქისა? მკწ. გირვანქა ქლიავის  $\frac{1}{3}$  ეღირება 2 კაბიკად. მასწ. როგორ გამოიცანით? მოწაფეები წინა მაგალითების მიხედვით ხსნიან და განმარტავენ ამ ამოცანას. მასწ. როგორ იწერება  $\frac{1}{3}$ ? მკწ. რიცხვი 3 დაიწერება ხაზს ქვეშ და აღნიშნავს რამდენ ნაწილად იქმნა დაყოფილი მთელი, 1-კი ხაზს ზეით დაისმის და გვიჩვენებს რამდენი ამისთანა ნაწილი იქმნა აღებული.

შემდეგ მასწავლებელი თვითონ მოწაფეებს აკეთებინებს შემდეგს: მასწ. გასჭერით, ბავშვებო, კანაფი ოთხ თანასწორ ნაწილად. როგორ მოიქცევით? მკწ. ჯერ მთელს კანაფს გავსჭრით შუაზე; შემდეგ თითო ნახევარს— კიდევ შუაზე. მასწ. აიღეთ კანაფის ერთი ნაწილი; რა ეწოდება ამ ნაწილს? მკწ. თვითოეულს ამ ნაწილს ერთი მეოთხედი ეწოდება. მასწ. მიუმატეთ კიდევ ამ ერთს მეოთხედს, მეორე მეოთხედი. რამდენი მეოთხედი გახდა? მკწ. გახდა ორი მეოთხედი ან  $\frac{2}{4}$ . მასწ.

როგორ მიიღეთ  $\frac{2}{4}$ ? მკწ. ჯერ მთელი კანაფი შუაზე გავსკერიტ (ორ თანასწორ ნაწილად), შემდეგ თვითოეული ნახევარი კიდევ შუაზე გავყავით და მივიღეთ ოთხი თანასწორი ნაწილი, ამისთანა ნაწილი ორი ავიღეთ. მასწ. დიად, თქვენ კანაფი ოთხ თანასწორ ნაწილად გაჰყავით და ასეთი 2 ნაწილი აიღეთ. ავიღებ ეხლა ქალას, როგორ უნდა მივიღო აქედან ამ ქალალის  $\frac{2}{4}$ ? მოწათფე წინა სავარჯიშობის მიხედვით თვითონ ახსნიან ამ მაგალითის გადაწყვეტას. მასწ. აბა, სანდრო, მიდი დაფასთან და იპოვე ხაზის  $\frac{2}{4}$ . რა უნდა ჰქნა ამისთვის? როგორ მოიქცევი? მკწ. ხაზს გავყოფ ოთხ თანასწორ ნაწილად და ასეთს ნაწილს ავიღებ 2. (ამ მაგალითის გადაწყვეტას თვალსაჩინოდ უჩვენებს დაფაზედ). მასწ. რამდენს კაპიკს შეადგენს  $\frac{2}{4}$  მანეთისა? მკწ.  $\frac{2}{4}$  მანეთისა იქნება 50 კ. მასწ. როგორ გამოიციან? მკწ. 100 კაპ. გავყავი ოთხ თანასწორ ნაწილად, ასეთი ნაწილი ავიღე 2 და მივიღე 50 კაპ. მასწ. რამდენ გირვანქას შეადგენს ფუტის  $\frac{2}{4}$ ? მკწ. ფუტის  $\frac{2}{4}$  იქნება 20 გირვანქა. მასწ. როგორ გამოიციან? წინა მაგალითის მსგავსად მოწათფე განმარტავს ამასაც. მასწ. არშინის  $\frac{2}{4}$  რამდენს ვერშოკს შეადგენს? რამდენი დიუმი 2  $\frac{2}{4}$  ფუტისა? მოწათფეები იძლევიან სწორს პასუხს. მასწ. ბავშვებო, აქეთ მიყურეთ! ნაწევარი  $\frac{2}{4}$  ასე იწერება: რიცხვი ოთხი დაიწერება ხაზს ქვევით და უჩვენებს რამდენ თანასწორ ნაწილად იქმნა გაყოფილი მთელი ერთეული, რიცხვი ორი იწერება ხაზს ზევით და უჩვენებს რამდენი ასეთი ნაწილია აღებული. დასწერეთ დაფაზე  $\frac{2}{4}$ . ერთი მოწათფე სწერს. მასწ. რას გვიჩვენებს რიცხვი 4? 2? მოწათფეები იძლევიან სწორს პასუხს ზემონათქვამის მიხედვით. მასწ. აბა,

ვინ გამოიციან როგორ უნდა მივიღოთ  $\frac{2}{3}$ ? რაა საჭირო ამისთვის? მკწ. მთელი უნდა გავყოთ სამ თანასწორ ნაწილად და ასეთი ნაწილი ავიღოთ 2.

რომ კიდევ უფრო სინამდვილით შეიტვისონ ბავშვებმა ყველა ნასწავლი, მასწავლებელი ყველაფერს თვალსაჩინოდ უჩვენებს ქალალზე.

შემდეგ გაიძეოებენ  $\frac{1}{3}$ . მასწ. ხაზს გავყოფ სამ თანასწორ ნაწილად, ავიღებ  $\frac{1}{3}$  და კიდევ დავუმატებ  $\frac{1}{3}$ . რამდენ მესამედს მივიღებ? მკწ. თქვენ მიიღებთ ხაზის  $\frac{2}{3}$ . მასწ. როგორ იპოვე ეს  $\frac{2}{3}$ ? მკწ. ჯერ თქვენ ხაზს სამ თანასწორ ნაწილად გაჰყავით, ჯერ აიღეთ  $\frac{1}{3}$  და შემდეგ იმას კიდევ მიუმატეთ  $\frac{1}{3}$ . მასწ. რამდენს არშინს შეადგენს საჟენის  $\frac{2}{3}$ ? მკწ. საჟენის  $\frac{2}{3}$ —6 არშინია. მასწ. რამდენ დიუმს შეადგენს ფუტის  $\frac{2}{3}$ ? მკწ. ფუტის  $\frac{2}{3}$ —8 დიუმი. მასწ. არშინი მათუდი 6 მანეთად ღირს, რამდენად ღირს არშინის  $\frac{2}{3}$ ? მკწ. არშინის  $\frac{2}{3}$  ეღირება 4 მანეთად. მასწ. როგორ გამოიციან? მკწ. ჯერ 6 მან. გავყავი სამ თანასწორ ნაწილად, მივიღე 2 მან., შემდეგ ავიღე ორი ნაწილი. მივიღე 4 მანეთი. მასწ. აბა, ვინ დასწერს დაფაზე  $\frac{2}{3}$ ? ერთი მოწათფე სწერს დაფაზე  $\frac{2}{3}$ . მასწ. სად იწერება რიცხვი 3. მკწ. რიცხვი 3 ხაზს ქვევით იწერება. მასწ. რას გვიჩვენებს იგი? მკწ. ის გვიჩვენებს რამდენ ნაწილად იქმნა დაყოფილი მთელი. მასწ. სად იწერება რიცხვი 2? მკწ. რიცხვი 2 ხაზს ზევით იწერება. მასწ. რას გვიჩვენებს? მკწ. ის გვიჩვენებს რამდენი მესამედი ნაწილი ავიღეთ. მასწ. ბავშვებო, ყური მიგდეთ! ერთს ან რამდენსამე სწორს ნაწილს მთლისას ჰქვიან **ნაწევარი**. გაიძეოეთ რას ჰქვიან **ნაწევარი**? მოწათფეები რიგ-რიგად იძეოებენ ამ წესს. მასწ. აბა, ჩამომითვალეთ რა და

რა ნაწევრები იცით? მაწ. ჩვენ ვიცით ნაწევრები:  $\frac{1}{2}$ ,  $\frac{1}{3}$ ,  $\frac{2}{3}$  და  $\frac{2}{4}$ . მასწ. ხაზს ზემოთ დაწერილს რიცხვს **მრიცხველი** ჰქვია, ის გვიჩვენებს ერთეულის მთლის რამდენი თანასწორი ნაწილი აგვილია. ხაზს ქვემოთ დაწერილს რიცხვს **მნიშვნელი** ჰქვია, ის გვიჩვენებს რამდენ თანასწორ ნაწილად დაგვიყვია ერთეული ან მთელი.

გაიმეორეთ—რა ჰქვია ხაზს ზემოთ დაწერილს რიცხვს და რას გვიჩვენებს იგი? რა ჰქვია ხაზს ქვემოთ დაწერილს რიცხვს და რას გვიჩვენებს იგი? მოწაფეები რიგ-რიგად იძლევიან სრულს და დამოუკიდებელს პასუხს. შემდეგ მოჰყვება გასამეორებელი საუბარი.

კახაბერი.

## ეურადლება და ინტერესი სწავლის საქმეში\*)

**რ**ა არის ეურადლება? რომ უფრო ნათლად გავარკვიო ეს კითხვა, საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი. ოთახის კედელზედ ჰქვიდა ჩვენი მწერლების რამდენიმე სურათი. რასაკვირველია, უგელა სურათები ერთნაირად მხვდება თვალებში. მაგრამ მე სხვებზედ უფრო ვათვალიერებ ვაჟა-ფშაველას სურათს. ოთახიდან რომ გავდივარ, ვაჟას სურათი ცხადათ მიდვას განებაში. ამ შემთხვევაში შემიძლია ვთქვა: ვაჟა-ფშაველას სურათი მე ეურადლებით დავათვალიერებ. მეორე მაგალითი. მე აზრათა მაქვს დავწერო წერილი რამელსავე თემაზე. შევდივარ სამკითხველში, ვიღებ წიგნს, რომლითაც შემიძლია ვისარ-

კებლო და ვკითხულობ. სამკითხველადან რომ გამოვდივარ, გარკვევით მხოლოდ ის აზრები მაქვს თავში, რომელიც ჩემს თემას ეხებოდა, თუბრად მთელი წიგნი წავიკითხე. რა არის მიზეზი, რომ პირველ შემთხვევაში მარტო ვაჟა-ფშაველას სურათი დამჩნა განებაში, მეორე შემთხვევაში კი ის აზრები, რომელიც ჩემს თემას ეხებოდა? მიზეზი ის არის, რომ მე ჩემი სულეერი ენერჯია მიმართული მქონდა ერთ დასახულ მიზნისაკენ. აქედან აშკარაა, რომ ეურადლება არის მიმართვა სულეერი ენერჯიის ერთ მიმართულების ან მიზნისაკენ.

ეურადლება ორ-ნაირია: ნებიითი და უნებური; პირველს ეძახიან აქტიურს, მეორეს კი პასიურს. გაიხსენებთ „დედა-ქინდან“ პატარა გიგლა, რომელიც ზის და გაკვეთილს სწავლობს. მზემ შემოუჭეტიან და იწვევს კარეთ სათამაშოთ, ჩიტი უმდერის, ალუბალიც სცდილობს მოსტაცოს თვალი; გიგლა კი მაინც წიგნს კითხულობს და მთელი მისა ეურადლება გაკვეთილისკენ არის მიმართული. ამ ვაჟს ეურადლებას ნებიითი ანუ აქტიური ჰქვია.

\*) ამ წერილის შედგენის დროს ვსარგებლობდი შემდეგი მასალით:

Психология внимания, профессора Ш. Рибо.

Профессоръ Челпановъ, Учебникъ психологии.

П. А. Соколовъ. Педагогическая психология.

მ. ჩიტაძე. ინტერესი სწავლაში. „პედაგოგ. ჟურნალი“ 1905 წ. № III.

ავიღოთ მეორე მაგალითი. თეატრში თამაშობენ „დალატს“; დარბაზში სინჟუკა, ხალხი სულ განაბული შესცქერის მთამაშეებს და ერთი აზრით გამსჭვალულა; მსუერებლების ურადლება მარტო სტენისკენა მიმართული. მაგრამ აი დარბაზში გაისმა საშინელი კივილი და ვიღაც ქალი გულშემოყრილი იატაკზე დაეცა. ხალხის ურადლება ეხლა ქალის კივილმა და მისმა იატაკზე დაცემამ მიიზერო. აი ამ გვარ ურადლებას უნებურს ანუ ჰასიურს ეძახიან. ზემო მოყვანილ ორ მაგალითიდან ნათლად სჩანს თუ რა გარჩევა არსებობს აქტიურსა და ჰასიურ ურადლებათა შორის. პირველ მაგალითში გიგლა აძოულებს თავის თავს ურადლება ვიქციოს მარტო გაგვიოილის სწავლას; მეორე მაგალითში კი ცაკეკანი მიზეზი, ქალის კივილი, იპერობს ხალხის ურადლებას.

ჰასიური ურადლება ემხნევათ მეტ-წილად ბავშვებს. საკმარისაა მტრად ბავშვს უჩვენოთ რაიმე ბრჭყვიალა ნივთი, რამ ის გაჩემდეს; ახმაუროთ რაიმე სათამაშო, რამ მისი ურადლება მიიქციოთ. ვითქვამთ, მას ხელში აქვს სათამაშო, და უცოვად დაგინახათ მეორე ხაირი, ის მაშინვე მეორეს მოითხოვს და პირველს დასტოვებს. ამგვარად მისი ურადლება, გარკვენი მიზეზის წყალობით, ერთი საგნიდგან მეორეზე გადადის. მასწავლებელს ეს ადვილად შეუძლია შეამჩნიოს ბავშვებს მათ სკოლასში შესულის პირველ ხანებში. მოწაფეებიც, რამ მან მასწავლებელს უურა უნდა უკედოს, მაგრამ საკმარისაა ამხანაგს ხელში მან ბურთი ან ბზრიალა დაუჩახას, რამ მსწრაფად მისი ურადლება ამ საგნებისაკენ იქნეს მიქცეული.

აქტიური ურადლება ემხნევათ მცხრდილოთ, რამელთაც შეუძლიათ იგი შეაჩერონ ამა თუ იმ შთანაქტივებსზე. კაცობრიობის პირველ ხანებში, როცა ადამიანი ისევე ველურ მდგომარეობაში იყო, მას არ ჰქონდა ნებოთი უ-

რადლება; მხოლოდ, როდესაც გამოვიდა ველურ მდგომარეობიდან, როდესაც შეხედა, რამ არსებობსთვის საჭიროა შრომა და ხება შრომის ფერხულში, მაშინ მას გამოაჩნდა ნებოთი ურადლება: განვითარდა კაცობრიობა და მასთან ერთად განვითარდა აქტიური ურადლებაც. აქედგან აშკარაა, რამ იგი (ე. ი. ნებ. ურ.) ცივილიზაციის ნაყოფია.

ღიადი დანიშნულება სკოლისა იმაშია, რათა ბავშვები მიანვიოს აქტიურს ანუ ნებოთს ურადლებას. არავითარ შემთხვევაში სწავლის წესიერათ წაუგანა არ შეიძლება, თუ ბავშვი აქტიურ ურადლებას არ მიეჩვიას. განა კაცობრიობას ექნებოდა ფაუსტი, ჰუმელი, დონ კიხოტი და გეფსის-ტუალსანი, რამ მათ დამწერთ ნებოთი ურადლება ჰქვებოდათ? რასაკვირველია არა! და ჩვენც თუ გვინდა ბავშვები სასარგებლო ადამიანებათ გამოვიდნენ, პირველათ აი ამ საკითხით უნდა დავინტერესდეთ.

რა საშუალებებს უნდა მიმართოს მასწავლებელმა ნებოთი ურადლების შემუშავებისა და განვითარების საქმეში? აქ საჭიროთ მიმანია მოვიყვანო პრ. რიბოს მიერ აღნიშნული სამი პრინციპი, ანუ ხანა ნებოთი ურადლების განვითარებისა.

„პირველ ხანაში მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს ბავშვის დაშინებით, მის ბუნებრივ ცნობის მოუვარეობით, სხვა და სხვა ეკონსტრუქტურ გრძობებით, საჩუქრების დარიგებით და სხ.

მეორე პერიოდში ნებოთი ურადლებას აწვევს თავ მოუვარეობა, შეჯობრება, ინტერესი პრაქტიკულ მნიშვნელობით, მოვალეობის გრძობა და სხ.

მესამე პერიოდში კი ნებოთი ურადლება მაგრდება ჩვეულებით. მოწაფე, რამელიც მაცადინობს ოთახში. მუშა, რამელიც ოფის დურის ქარხანაში, ვაჭარი, რამელიც სულ მუდამ დახდს უზის, უმეტეს შემთხვევაში

სიამოვნებით ამოიხრევედნენ სხვა უკეთეს სიმ-  
 ეთფ ადგილს; მაგრამ თავ-მოყვარეობის, პა-  
 ტივი-მოყვარეობის და ინტერესის გავლენით  
 მათ გაუჩნდათ მკვიდრი მიდრეკილება აღნი-  
 შნულ საქმეებისადმი. დაშუშავებული ურად-  
 ღება გადაიქცა, ასე ვთქვათ, მოკრე ბუნებათ;  
 აქ ხელფანტებამ თავის მიზანს მიაღწია... ამ  
 შესამე პერიოდში მხლავდ ის მივა, ვინც  
 აღზრდას და გაწრთვნას მიიღებს“.

დასასურათებლად მინდა მოვიყვანო ჩე-  
 მი ბავშვობის დროის მაგალითი. მასწავლ  
 პატარაობისას დედა-ჩემი სულ იმას მეჩინებ-  
 ბოდა: „შვილო, ისწავლე! ხომ ხედავ ობო-  
 ლი ხარ. უუერე ბიძაშენს ნასწავლი რომ არის,  
 იმიტომაც მღვდლათ, იმიტომ უფს მოჯამაგო-  
 რე და მოახლე. შენც თუ ისწავლი, ისე იქნე-  
 ბა“-ო. მეც ვსწავლობდი, ვსწავლობდი და  
 იავიც წარმოდგენილი მქონდა მღვდლათ და  
 უთვალავ ფულების მქონეთ. მართლაც, მოწა-  
 ფესთვის არავითარ ინტერესს არ წარმოად-  
 გენს ანბანების კითხვა, მაგრამ ის გარემოება,  
 რომ ნასწავლ გაცს ვეგლეგან პატრივისტებით  
 იღებენ, სთვლიან ჭკუიანად, რომ ნასწავლი  
 კაცი ფულს იკრავდა, ეს მას აიძულებს უუ-  
 რადღებით მოეპყრას სწავლას. აა რას ამბობს  
 ამის შესახებ რიბო: „სცადეთ და გაამდიდ-  
 რეთ კამერსანტი და მუშა, მიეცით მოხელეს  
 მისი კარიერის პირველ დღიდანვე პენსია,  
 თქვენ დანახავთ, რომ მათი ურადღება არა  
 სასურველ შრომისადმი სრულიად გაჭქრება;  
 რადგან არ არის ის, რაც უურადღებებს იწვევ-  
 და და ამაგრებდა“.

ხუთით ურადღებებს აქვს ერთი საფუძველი:  
 კანდალს საინტერესოთ ის, რაც თავის თავად  
 ინტერესს მოკლებულია. რა არის ინტერესი?  
 „ინტერესს ჩვენ უძახით იმ გრძობას ვაყოფ-  
 ფილებიასას, რომელიც შეერაბებულია ამა თუ  
 იმ მოქმედების შესრულებასთან. მაგ. ბავშვი  
 ამოძრავებს ბორობას რომელიმე თავის სათა-  
 შაშობისას, რადგან ეს მას ვაყოფილებებს აგრ-

ძნობინებს. შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ის ინ-  
 ტერესით ასრულებს ამ მოქმედებას“, — ამ-  
 ბობს პრ. ჩელმანოვი. მისი აზრით ურადღე-  
 ბა და ინტერესი მრავალ შემთხვევაში ერთი  
 და იგივეა და ერთმანეთისაგან განუშორებელი  
 არიან. მართლაც აბა დავაკვირდეთ. ჩვენ საუ-  
 ბარში ხშირათ ვხმარობთ: „ვინა იმ წიგნს  
 ინტერესით კითხულობს“, ლექცია უინტერეს-  
 სოთ მოვისმინე“. ორივე შემთხვევაში სიტ-  
 ვვა „ინტერესი“ შეგვიძლია სიტუვა „ურად-  
 ღებ“-ით გამოვცვალოთ. აშკარაა, რომ ხში-  
 რათ ურადღება და ინტერესი თითქმის ერთ  
 და იმავე მნიშვნელობით იხმარება.

აქ საჭიროთ მიმაჩნია გადავიდე იმ ნიჭზე,  
 რომელსაც სახელათ აპერცეპცია ჰქვია. აპერ-  
 ცეპცია და ინტერესი ისეა ერთმანეთზე გადა-  
 ჯატვული, რომ ყოვლად შეუძლებელია ურად-  
 ღებასთან ერთად იმას გვერდი აუაროთ.

ვკლზე იზრდება მშვენიერი ყვავილი. გზათ  
 მიდიან პოეტი და ბოტანიკი. პოეტი მოაჯა-  
 დოვა ვარდის სიმშვენიერემ; ბოტანიკი კი  
 შლის ფოთლებს, იკვლევს მის თესლს და  
 ვეველს ეს ვარდას სილამაზეზე უფრო აინტე-  
 რესებს. გაიხსენეთ უკანასკნელი სტენა გ.  
 ერისთავის კომედიის: „ძუნწისა“. ძუნწის  
 მთელი სიტყვებზე ოქროსზეა დამყარებული:  
 მისი დმერთი, ცალი, შვილი მარტო ოქროსა.  
 თავის სიტქს თავად არჩილს არ უნდა ქალის  
 მზითვათ ფული მისცეს, და სხრუქად ძველი  
 ხმალი გამოაქვს. ხმალის დანახვა არჩილზე  
 დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან ეს ხმა-  
 ლი პაპა მისის ჩაქონი ყოფიდა. არჩილი ქე-  
 ბით მიმართავს ხმალს. კარპეტას ეს სიტყ-  
 ვლად აღარ ყოფნის: „დახეთ რაუბს ბოლავს  
 დაჯანგულს რკინაზე“ო, — ამბობს იგი. ამ  
 გვართ ერთი და იგივე მოვლენა სულ სხვა  
 და სხვა აზრებს აღუძრავს ორ პირს. რით  
 აიხსნება ეს? საგნის თვისებაზე რომ იყოს  
 დამოკიდებული, მაშინ ერთ ნაირი აზრები უნ-  
 და აღედრეთ სულეველას. მაგრამ არა. მიზიცი

ის გახლავთ, რომ უფლები ადამიანი განსხვავდება მის მზგავს ადამიანებში თავისი სულიერი შინაარსით. ცხოვრებამ თუ ერთი ადამიანის სული ამა თუ იმ ფერადებისაგან მოქსოვა, მეორესი სულ სხვანაირათ გადააკეთა. დაბადებიდან ერთ შთაბეჭდილებას მეორე ემატებოდა, მეორეს მესამე და ამ ნაირად გაკეთდა ის ქსოვილი, რომელსაც სულიერ ცხოვრებას უძახიან. რასაკვირველია, თუ უნდა რომელიმე ახალ შთაბეჭდილებას ფეხი მოადგას ადამიანის სულში, საჭიროა სხვა შთაბეჭდილებებს დაუკავშირდეს და აი ამ დაკავშირების დროს ხდება ის მოკლეა, რომ ახალი შთაბეჭდილება იღებს ფერს წინანდელ შთაბეჭდილებიდან. ბატანიკოსის გონება და სული ბოტანიკას შეუწირავს და რა გასაკვირველია რომ მან მენციურული თვალთ შეხედოს ვარდს; მაშინ, როდესაც ზოტიის სულიერი არსება მარტო სიმშენიერეს შეუწირავს და ვარდსაც სიღამაზის მხრით ხედავს. ან კიდევ კარნაქა და არჩილი. ზირველი სულ ფულზედ ოცნებობს და უფლებივე საგნას დასაფასებლად ოქრო აქვს მიზნული; მეორე კი ძველ რაინდულ ოცნებითაა გატაცებული და საგნის დასაფასებლად მისი ძველი სამსახური მიაჩნია. აკი ორივე სულ სხვა თვალთ უეურებენ იმ ხმაღსა. ამ ნაირათ აპერცეპცია არის წინანდელ წარმოდგენათა და შთაბეჭდილებათა (მიხედვით) მეოხებით განსაზღვრა ახლად მიღებული შთაბეჭდილებისა.

ზუვით ვთქვით, რომ აპერცეპცია და ურადდება ერთმანეთთან ძალიან არიან დაახლოვებული მეოქი, და მართლაც უაპერცეპციოთ ადამიანი ზღვაში მომცურავს უიალქანო ხომადღს დაემსგავსებოდა. მას ათ ეტოდინებოდა, თუ რას დაკვირებოდა და ან რისთვის მიექცია უურადდება. ეხლა ჩვენ ესა თუ ის საგანი გვაინტერესებს ეს იმატომ, რომ გვაქვს შესაფერი წარმოდგენები, აპერცეპცია.

რას არის საჭირო, რომ მასწავლებელმა გა-

მოიწვიოს მოწაფეებში აპერცეპციული უურადდება ანუ ინტერესი? ზირველად საჭიროა, რომ მასწავლებელს წარმოდგენილი ჰქონდეს ბუნებრივი მიდრეკილება მოწაფეთა.

შემდგარია ის აზრი, ვითომც ბავშვის სული თეთრ ქაღალდს წარმოადგენდეს, რომელზედაც თითქო სწერდეს აღზრდა და გამოცდილება. არა! ბავშვს თავიდანვე დაჭუბობა მიდრეკილება ამა თუ იმ შთაბეჭდილებისა და მოქმედებისადმი. ერთი გონებით ცხოვრებისაკენ მიიღობის, მეორე უფრო მგრძობობიარეს, მესამე კი უფრო მომქმედი და მოძრავია. ერთს თუ ერთი აინტერესებს, მეორეს კი-მეორე. აქ საჭიროა მასწავლებელს წარმოდგენილი ჰქონდეს ბუნებრივი ხასიათი თვითუფლ მოწაფისა, რადგან ქვეყნაზე ძნელათ ნახავ ორ ისეთ ადამიანს, რომ ერთმანეთში არ განიხილოდნენ. საჭიროა დაკვირვება, თვითუფლ მოწაფის ხასიათის და გონებრივ მიდრეკილების აღწერა.

კავადეთ ეხლა ინტერესის გამოწვევ მეორე მიზეზზე. ეს არის კანონი: ნაცნობიდან გადასვლა უცნობზე, ძველიდან—ახალზე. თუ საგანი უცნობია, უცნობა იგი ვერ მიიზურთბის უურადდებას. ამიტომ საჭიროა მასწავლებელმა უფლებათვის აღძრას შესაფერი წარმოდგენები, რომლებიც, ასე ვთქვათ, უნდა იყოს ხიდი, შემაერთებელი ძველისა და ახლისა. „უნიტიერესი მასწავლებელი,—ამბობს შიო ჩიტაძე— უძლეური იქნება და ვერ დააინტერესებს თავის მოსწავლეებს თუ მისგან გადაცემული ცნობები არ აცოცხლებს მოსწავლის ცნობიერებაში რაიმე ასოციაციებს და არ უკავშირდებიან მათ. ამიტომ მასწავლებელი იმას კი არ უნდა ცდილობდეს, რომ როგორმე რაიმე ხერხით გაუღვიძოს მოსწავლეს ინტერესი, არამედ იმას, რომ შეჭქმნას მის სულში მთელი რიგი მკვიდრი ასოციაციებისა, რომელნიც თავთ განდინსაინტერესოთ ახალ ცნებებს“:

შესამე მცნება, რომელიც საჭიროა მასწავ-

აღებულმა მიიღოს სახეში, ეს არის: სწავლებ-  
ბაში არ უნდა იყოს ნახტომები, მაგრამ ამას-  
თანავე არც უნდა იყოს ერთ წერტილზე გა-  
ჩერება და ერთისა და იმავე გაკვეთილის დეკ-  
ლაცია. ერთ-ფერობა სულს დააფას, ხალხის კარ-  
გავს და სწავლას უინტერესოთ ხდის. მაგ.  
თქვენ ელით სასიამოვნო სტუმარს. უოველ  
წუთს საათში იცქირებით. აი საათის ისარი  
აჩვენებს კიდევ იმ დროს, როდესაც თქვენი  
სტუმარა უნდა მოვიდეს; მაგრამ ის არა სჩანს.  
იცქირებით ხშირ-ხშირათ გარეთ, სტუმარი არ

არის. თქვენ სწუხართ, შეფოთავთ, ჭამის მა-  
და გეკარგებათ. ასევე ემართება მოწათის  
სულსაც. აღძრული აპერტეტიული ყურადღება  
ელის სტუმარს, ახალ შთაბეჭდილებას და რა-  
დესაც ლოდინი არ მართლდება, მოწათის ყუ-  
რადღებაც სრულიად იკარგება მასწავლებლი-  
სათვის. ამით ვათავებთ ამ საკითხზე საუბარს,  
შემდეგში ვცდებით დაუბრუნდეთ ამ საგანს  
და გავარჩიოთ იგი სულ სხვა თვალ-საზრი-  
სით.

მასწ. პროკლე ტაბიძე.

## სიმპატიური გრძნობის აღზრდა ბავშვში ცხოველთა და მცენარეთაღმძ

„შეიყვარე მოყვასი შენი,  
ვითარცა თავი შენია“.

**თ**უ თანამედროვე ცხოვრება აღსავ-  
სეა ტანჯვით, ცრემლთა ფრქვევით, ათას  
გვარ უბედურებით, ეს იმიტომ არის,  
რომ აღამიანები არ აფასებენ ერთი-მეო-  
რეს კეთილ-დღეობას, არ თანაუგრძნობენ  
ერთი-მეორეს გულის ტკივილებს, უბედუ-  
რებას, არამედ უფრო პატივსა სცემენ და  
ვანსაკუთრებით ზრუნავენ თავის „მე“-ზე,  
რომ ის შექმნან სრული ბედნიერი, თუნ-  
დაც ეს ბედნიერება სხვის უბედურებაზე  
აგოს, აშენდეს. თუ ჩვენი „მე“ სხვისაზე  
უფრო მაღლა სდგას, ჩვენ, უმრავლეს შემ-  
თხვევაში, დაჩაგრულ მოძმეს კი არ თანა-  
უგრძნობთ, კი არ ვიზიარებთ მის გულის  
წუხილს, არამედ კიდევაც ვსჩაგრავთ. ამ-  
ნაირად ჩვენში ეგოისტური გრძნობა უფ-  
რო ძლიერია, უფრო ძლიერია ჩვენში  
სურვილი ვიზრუნოთ მხოლოდ თავის კე-  
თილდღეობაზე, სხვას კი თუნდაც ქვის-  
თვის თავი უხლია. რასაკვირველია, ამით  
მე ის არ მინდა ვსთქვა, რომ მართლა

თანამედროვე ცხოვრებაში არ მოიპოვე-  
ბოდნენ ისეთი პირები, რომლებიც სხვის  
უბედურებას არ იზიარებენ; მოიპოვებიან,  
როგორ არა, მაგრამ მათი რიცხვი ძლიერ  
მცირეა, უფრო გამეფებულია ჩვენში გან-  
საკუთრებით თავის „მე“-ზე ზრუნვა. რა-  
ში უნდა ვეძებდეთ ამის მიზეზს?—რასა-  
კვირველია აღზრდაში, რომელსაც იღებს  
ბავშვი ოჯახში და სკოლაში, მაგრამ მთა-  
ვარი მიზეზი ამისა არის ოჯახური აღზრდა,  
რომელსაც ისე შეუძლია მისცეს ბავშვის  
სულიერსა და ფიზიკურს ძალებს ესა თუ  
ის მიღრეკილება-მიმართულება, როგორც  
მექოთნეს შეუძლია ქოთანს გამოაბას ყუ-  
რი იქეთ, სადაც მას სურს. ყველა დამერ-  
წმუნება, რომ თანამედროვე ოჯახური  
აღზრდა არ არის დაყენებული სასურველ  
ნიადაგზე და აღსავსეა თვალსაჩინო ნაკ-  
ლულევიანებით, რომელნიც საუკუნოდ  
დადს ასვამს ბავშვის სულს. დღევანდელს  
ჩემს წერილში ამინდა შევეხო ერთ იმ

მთავარ ნაკლულევენებათაგანს ოჯახურ აღზრდაში, რომელიც შეადგენს ზემოდ აღნიშნულ ეგოიზმის ძირითად მიზეზს. შეიძლება ბავშვის აღზრდა რომელსამე ოჯახში იყოს საღ პედაგოგიურ პრინციპებზე დაყარებული, ან და სცდილობდნენ, რომ გააუმჯობესონ იგი, მხოლოდ რაც შეეხება სიმპატიურ გრძნობის აღზრდას ბავშვში ცხოველთა და მცენარეთადმი, თამამად ვიტყვი, რომ ამას არავინ აქცევს ყურადღებას და არც ფიქრად მოსდის ვისმე მიაქციოს ამას ჯეროვანი ყურადღება, ალბად ეს იმიტომ ხდება, რომ მასში ვერაფერ ვერ ხედავს რაიმე დამაბრკოლებელ მიზეზებს. ჩემი მიზანია ამ წერილში გაეარკვიო შეძლების დაგვარად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სიმპატიურს გრძნობებს მთელის კაცობრიობის კეთილდღეობისთვის და ბედნიერებისთვის.

სიმპატიური გამოცხადება, ესე-იგი თანაგრძნობის გრძნობა ცხოველთა და მცენარეთადმი, ყოველ იმ არსებათადმი, რომელნიც იბადებიან, იზრდებიან და კვდებიან რომელნიც ცხოვრობენ და თავის მოქმედებით სარგებლობას ან ზარალს აძლევენ ადამიანს, გრძნობის აღზრდა ყველა სასწავლებელზე უფრო ოჯახს შეუძლიან, სადაც ბავშვი სცხოვრობს უმთავრესად სასკოლო ჰასაკამდე. გარდა იმ სულიერ და ფიზიკურ მიდრეკილებათა, რომელნიც გადაეცემიან ბავშვს მემკვიდრეობით, მისი სული ნამდვილი *tabula rasa*—წმინდა ფილა-რია, რომელზედაც შეუძლია ოჯახს ის დააწეროს, რაც მას სურს. გადავიდეთ პირდაპირ საგანზე. ნორჩი ბავშვის ბუნება ძლიერ მოძრავია, ის — ბავშვი ყველაფერს ეტანება არა თუ მაშინ, როცა ფეხზე დადის, არამედ მაშინაც, როცა ის ჯერ კიდევ ძლიერ ექვსი თვის არის. ვის

არ შეუმჩნევია, როგორ ჰშლის ბავშვი ხელებს და ეტანება ყველაფერს, მის ახლო მდებარე საგნებს, უმეტესად ისეთებს, რომელნიც განირჩევიან გარეგანი სახით, ფერადობით ან და მოძრაობს. ბავშვს უნდა ყველაფერს სტაცოს ხელი და პირში ჩაიდოს, ხოლო, როცა ბავშვი ფეხზე სიარულს იწყებს, ის უფრო ეტანება ყველაფერს, პირში აღარ იდებს საგნებს, არამედ იმით თავს იქცევს, თამაშობს, როგორც ჩვენში ეძახიან ამას. ბავშვი არასოდეს არ თამაშობს, არამედ მისი ბუნება იწვევს მას სამოქმედოთ, სულიერ და ფიზიკურ ძალთა განსავითარებლად, ის მოქმედობს, მუშაობს უფრო გულმოდგინედ და ენერგიულად, ვინემ დიდები, მხოლოდ, თუ ეს ჩვენ გვეჩვენება თამაშობათ, იმიტომ, რომ ჩვენ ამას ვუცქერთ მატერიალური სარგებლობის მოტანის და გონიერობის თვალთა ხედვის ისრით. თამაშობენ, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მოზრდილები, დიდები, როდესაც მათ უნდათ გაერთონ; ბავშვი კი მოქმედობს, მუშაობს. ბავშვს ამ გვარ მუშაობის დროს შეუძლია ავნოს, სიცოცხლე მოუსპოს ცხოველებს და მცენარეებს. აი, ამ დროს არის საჭირო და შესაძლებელი აღზარდო მასში სიმპატიური გრძნობა ცხოველთა და მცენარეთადმი; აღმზრდელმა ოჯახმა არ უნდა მისცეს ბავშვს საშუალება რაიმე ზიანი მოუტანოს ცხოველებს და მცენარეებს, პირიქით, უნდა მიაჩვიონ მათ კეთილდღეობაზე ზრუნვას, მოვლას და ამ გვარად აღზარდონ მათში ეს დიდებული გრძნობა, რომელიც შემდეგ გადადის ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულებაზე და რომელიც არის ქვაკუთხედი დიდებული მოძღვრების: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. ბავშვმა ავარჯიშოს



თავისი ფიზიკური და სულიერი ძალები მცენარეებზე და ცხოველებზე გონივრულად, არა ზიანის მიყენებით, არამედ სარგებლობის მოტანით, რაშიც უნდა უხელმძღვანელონ აღმზრდელებმა.

როგორ იქცევინ ჩვენს ოჯახებში? — შეიძლება მიპასუხოთ, თუ ამაში მდგომარეობს სიმპატიური გრძობის აღზრდა, ამას ასრულებენ ჩვენს ოჯახებში: მაგალითად ბავშვმა წიწილები დახოცა, ან ქათამი მოჰკლა, ან სასარგებლო რაიმე მცენარე მოსტეხა, მაშინ მას აღმზრდელები უწყობენ, სჯიან. მაგრამ ამას სჩადიან ისინი იმიტომ კი არა, რომ ბავშვმა გულქვაობა გამოიჩინა ცხოველთა და მცენარეთადმი, არამედ იმიტომ, რომ მან ოჯახს ზარალი მოუტანა, ამას სჩადიან წმინდათ ეკონომიური თვალთა ხედვის ისრით, რაიც გამოიხატება მათვე მოქმედებაში და სიტყვებში: „აი, შე ასეთო, შე ისეთო, რატომ დახოცე წიწილები, რად აწვალე, ან რად მოჰკალი ლეკვი, კნუტები, რატომ მოსტეხე ესა თუ ის მცენარე, განა არ იცრ, რომ ყველა ეს სასარგებლოა შენთვის და ოჯახისათვისაც, რატომ აზარალე ოჯახს“ და სხა. ბავშვი თუ ანებებს თავს ამ გვარ მაზარალელო მოქმედებას, ეს იმიტომ, რომ მიხვდა, თურმე ზარალს ჩადიოდა, აკლებდა საზოდოს თავის თავს და ოჯახს, მხოლოდ დანარჩენ ცხოველებს და მცენარეებს, რომელთაც არ შეუძლიათ მოუტანოს მას და ოჯახს რაიმე მატერიალური სარგებლობა, რომელთა შესახებ თვით ამზრდელი ელაპარაკება, როგორც სურს, ისე ექცევა; მე ისეთი ცხოველები არ მაქვს მხედველობაში, რომელთაც პირდაპირ ზარალი მოაქვს ადამიანისთვის, არამედ ისეთებზე მოგახსენებთ, რომელნიც თუმცა-ღა მატერიალურ სარგებლობას არ მოუ-

ტანს ადამიანს, მაგრამ არც ზარალს აძლევს, პირიქით ატკობს მის ესთეტიკურ გრძობას, მაგალითად ფრინველთა გალობა-შეხედულება, მრავალი ლამაზი გარეული ცხოველები, ყვავილები და მცენარეები. დავამტკიცოთ ზემოთ თქმული მაგალითებით და აღვნიშნოთ მათი შედეგები. ყველამ ვიცით შვილის „მოსიყვარულე“ მამა როგორ სცდილობს აუსრულოს შვილს გულის ყოველი წადილი, ასიამოვნოს მას. ბავშვებს ძლიერ უყვართ პატარა კნუტები, კატები, პატარა ცხოველები, ლეკვები და ფრინველები. ნათ სიხარულს საზღვარი არ აქვს, როცა იმათ ჩაიდებენ ხელში. მშობლები თუ აღმზრდელები, რომ ასიამოვნონ შვილებს, დაუჭერენ ამ ზემოთ ჩამოთვლილ ცხოველებს ან ფრინველებს, უმეტესად დაუჭერენ ჩიტს, ფრთებს დააძრობენ, დაუბმენ ძაფზე და მისცემენ ხელში, ბავშვი ხელს უჭერს, აწვალებს და ბოლოს „ჰკლავს“; ასევე ექცევა ძაღლის ლეკვებს, კატას, კნუტებს, წიწილებს, მაგრამ ამას ის სჩადის არა განზრახ, რომ რამე ზიანი მოაყენოს ან და მოჰკლას, არამედ გულუბრყვილოთ. ბავშვი ხშირად ფიქრობს კიდევ, რომ ამით ის ასიამოვნებს მათ. ხშირად მინახავს, ბავშვი გრძელჯოხით დაერევა წიწილებს, ლეკვებს, კატებს, დაუშენს ჯოხს, თან სიცილით კვდება, გეუბნება სახარულით: „უყუღე, ლა უყუღე ლა ვქნა ბიძი“ და ამ დროს დაუშენს ჯოხს მათ და ღიმილით უტყუროს ქათამს, როცა ის დაბრუებული, ან და სიკვდილის წინ ფართხალობს. დარწმუნდეთ უნდა, რომ მას ამ დროს ჰგონია, რომ ძლიერ ასიამოვნა ქათამს და უხარია, ის კი არ იცის, თუ სიცილს ასაღმებს. როგორც ზემოთ ვსთქვი, ყველა ამას ბავშვი გულუბრყვილობით სჩადის,

მაგრამ მისდა შეუმჩნეველად ხომ შეაჩვია გული ცხოველების წვალებას, სიკვდილს; ბავშვი იზრდება და ამ გვარ საქციელს შემდეგაც იმეორებს. თუ ცოტა აწყენია ცხოველმა, შეუგნებელი მოქმედება გადადის შეგნებულზე, ამ გვარად ეჩლოვნება მას სიმპატიური გრძობა. მან არ იცის, აღარ გრძობს, თუ ცხოველი იმის მოქმედებით რა ტკივილს, ტანჯვას განიცდის. ამაში დამნაშავე არიან აღმზრდელები, რადგანაც ისინი აძლევენ ბავშვებს ამის საშუალებას, და არ აცდენენ ცხოველების ტანჯვა-წვალებას. ნორჩი ბავშვი ჩვენში, უმეტესად სოფლებში, მოწამეა ცხოველების და ფრინველებისათვის. ათასგვარი ტანჯვა-წვალებისა და სისხლის ღვრისა. ხშირად ხდება, ყანაში ჩამოვიდა მეზობლის ძროხა, ღორი, ან ინდაური, ქათამი და სხვა. დაინახავს ამას დიასახლისი თუ არა, მისი ბავშვის თვალწინ, წამოავლებს ხელს თოფს, რკინას ან ხმალს, გაიქცევა და დაუშენს საცრდავ ცხოველებს, ააყენებს სისხლის ღვარს და აცქერიებს შვილს, თან ამაყობს, იკვებნის. ბავშვი ძალაუნებურად შეკრთება ამ სცენის დანახვის დროს, მაგრამ როცა ხშირად ხდება მისი მოწამე, ბავშვი თანდათან ეჩვევა და გულგრილად უცქერის ასეთს სცენებს. შემდეგ, რადგანაც ეს „სამირო“ და „საჭირო“ საქმე ყოფილა მისი აზრით, თვითონაც იღებს მონაწილეობას ამ გვარს მოქმედებაში. ამას გარდა ბავშვი მოწმედ ხდება ცხოველების და ფრინველების დაკვლისა; ჩვენში ქალებს ცოდვით მიაჩნიათ ქათმის დაკვლა, მაგალითად სახლში ქალი არავინ არის და შვილის ბავშვის გარდა, უნდათ სადილათ გააკეთონ ქათამი, თვითონ არ დაკლავენ ქათამს; ამ შემთხვევაში მისცემენ ბავშვს ხელში დანას, ასწავლიან თუ

როგორ უნდა დაჰკრას კისერზე და დააკვლევიან, თან აქებენ, რომ ქათამი დაჰკლა: „ყოჩაღ ჩემო ბიჭუნია, ღმერთო შენ გმადლობ, მომესწრო ქათმის დამკვლელი შვილიო“ და სხვა. ბავშვს ჰგონია. მართლა დიდი გმირობა ჩაიდინა, სიხარულით ფეხზე არ სდგას და სცდილობს ეს „გმირობა“ კიდევ გაიმეოროს. არის მაგალითები, რომ ასეთი სცენების მოწმემ და მონაწილე ბავშვმა თვისი და დაჰკლა. ვიყვან მაგალითს ჩემი ცხოვრებიდან: ერთხელ, როცა ოთხის წლის არ ვიქნებოდი, მეც დამაკვლევიან ამ გვარად ქათამი და დედამ „გმირობისათვის“ ჩამკაცნა კიდევ; ჩემ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ავიღე დანა; დავიჭირე ეზოში პატარა წიწილები, ხუთიოდე დავკალი და დედას შეურბენინე გახარებულმა, თან მივახარე: „ჰა, დედი, რაჰდენი წიწილები დავკალი მეთქი“. მეგონა მომიწონებდა, მაგრამ თქვენს მტერს მე რომ მან მიცხუნა შოლტი, თან მეუბნებოდა: „არ გაბედო აწი ეს, მე თუ მოგიყვანო, მაშინ დაჰკალი ქათამი, ისე ხელი არ ახლოვო“, და ერთიც კიდევ მიცხუნა შოლტი. სად იყო კაცი, თორემ თურმე მისთვის უნდა ეჭირკებიან შოლტი. მე გული დავიმშვიდე იმით, რომ კიდევ მოვესწრები ქათმის დაკვლას მეთქი, თუმცა უფლებები კი ძლიერ შემიზღუდა დედამ, არ მძლევდა ნებას, როდესაც მინდოდა მაშინ დამეკლა მისდა უკითხავად ქათამი. ყველა ზემოდ თქმულიდან ნათლად სჩანს, თუ როგორ ეჩვევა ბავშვი ცხოველთა წვალებას, კვლას და სისხლის ღვრის სურვილს. მერმეთ რა შედეგები მოჰყვება ამას? ბავშვი იზრდება, ის ისევე განაგრძობს თავის მოქმედებას, ჰკლავს, სტანჯავს, აწამებს ცხოველებს, ფრინველებს, სისხლის დაღვრა არ უძნელდება იმიტომ, რომ ყოველსავე ამას ხედავს

თავის გარშემო, ეს მას საგმირო საქმედ მიაჩნია კიდევ; ამ ნაირად ბავშვში კვდება და იჩლუნგება სიმპატიური გრძნობა, კვდება მასში სიბრალულის გრძნობები, გული უცივდება, ჰკარგავს თანაგრძნობის უნარს. თქვენ გგონიათ, რომ მისი ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ ცხოველებზე და ფრინველებზე რჩება? არა, სრულებითაც არა, ეს კიდევ იმდენი სამწუხარო არ იქნებოდა, რომ ასე იყოს, ეს მისი მოქმედება გადადის ადამიანზე, როდესაც ის უკვე გაიზარდა და გახდა საზოგადოების წევრი. ის აქაც ამგვარ დამოკიდებულებას იჩენს თავის ამხანაგთან და საზოგადოების მიმართ; არც აქ ეძნელება გულის მოსვლის დროს მას ადამიანის ჩაგვრა, წვალება, ჩხუბი, სისხლის ღვრა, რადგანაც მან არ იცის რა არის თანაგრძნობა სხვის გაჭირვებისადმი, მას არ განუცდია სიბრალული არასოდეს, არ ატოკებულა მისი გული სხვის ტანჯვის დანახვაზე და მის თვალს ცრემლები არ დაუფრქვევია. ასე არ აღუზრდია ის ოჯახს, მართალია, შეიძლება იქ, ოჯახში, სადაც ბავშვი აღიზარდა ადამიანებს არ სტანჯავდნენ, არ ჰკლავდნენ, (თუმცა ესეც ძლიერ ხშირია ჩვენში) მაგრამ ასეთ გულქვაობას თუ ცხოველებზე და ფრინველებზე იჩენდნენ, ესეც საკმარისია მიზეზად საზოგადოების წევრის გულქვაობისა, აბა რას უნდა მივაწეროთ ის უბედური შემთხვევა, ეს საზარელი და საშიშარი შემთხვევა, რომელსაც აქ, ჩვენში, ამ ხანად გურიაში ჰქონდა ადგილი: ერთმა ახალგაზრდა ყმაწვილმა მთელი თავისი ოჯახობა ამოსწყვიტა, მოჰკლა მამა, უფროსი და უმცროსი ძმები. ამაზე მეტი გულქვაობა შეიძლება? ის ჩაიდინა მან ოჯახურ უკმაყოფილების გამო, მაგრამ შეიძლება გავემართლოთ მისი საზიზღარი საქციელი? ვინ არის ამაში დამნაშავე?

თვით ის ოჯახი, წრე, რომელმაც ის აღზარდა გულ-ქვად, მერმედ კი შეეცადენ აელაგმათ, მაგრამ გვიანლა იყო; რამდენიმე სული შეიქმნა მსხვერპლი მისი მხეცობისა. იოანე მეოთხეს, მრისხანეს, რუსეთის მეფეს, მისი აღმზრდელები ნებას აძლევდნენ ეწამებია ცხოველები, მოეკლა იგინი, ეთელა ცხენით ადამიანები, მის თვალწინ მახლობლები ჰკლავდნენ ადამიანებს, თითქმის თვით მეფის საყვარელ პირებსაც არ იცოდებენ. ყოველივე ამის შედეგი ის გახლავთ, რომ იოანეც მრისხანე და გულქვა გამოდგა, არავინ არ ებრალებოდა, უბრალო შეცდომისათვის თავის ქვეშემრდომს სიცოცხლეს უსპობდა, თავისი ხელით მოჰკლა თავისი შვილი; ამაზე უკეთესი ფაქტი მგონი არც იქნება იმის დასამტკიცებლად, თუ რა შედეგი მოჰყვება ამგვარ აღზრდას, ამის საწინააღმდეგო მაგალითი: ვის არ წაუკითხავს დედა-ენაში, თუ როგორ იტირა მთელი დღე ჩაკეტილ ოთახში ერთმა ყმაწვილმა იმიტომ, რომ უცაბედათ კრიტიკნას ფეხი მოსტეხა. ეს ყმაწვილი გახლდათ დიდებული მამულისშვილი, სამშობლოს მსხნელი ჯუზეზე გარიბალდი. საკმარისია ფაქტების აღნიშვნა, ნათელია, თუ რა შედეგი მოჰყვება აღნიშნულ აღზრდას. ეხლა აღვნიშნოთ საშუალება, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან ეს არა ნორმალური აღზრდა. საშუალება ეს ყველას ხელთ აქვს და ძლიერ ადვილი ასასრულებელია, თუ გული გულობს. ნუ მივცემთ ბავშვს საშუალებას ნურასოდეს, რომ ცხოველები, ფრინველები აწამოს, აუხსნათ, რომ ყოველივე შევიწროებას ისინი ისე გრძნობენ, როგორც ჩვენ, ადამიანები. ეს უნდა აუხსნათ კარგად და თვალსაჩინოდ; ნუ გავხდით ბავშვის ნორჩ გულს სისხლის ღვრის, ცხო-

ველები, ფრინველების ტანჯვის მოწმედ, ნუ გავხდით მას მოწმედ ცემა-ტყევისა, უწმაწური სიტყვებისა, ნუ გაუქვავებთ მით გულს, პირიქით მივცეთ საშუალება, წავახალისოთ, ხან ვაიძულოთ თუ საჭირო იქნება, გამოიჩინონ მზრუნველობა ცხოველთადმი, ფრინველთადმი, მივაჩვიოთ მათ კეთილდღეობაზე ზრუნვას, მივცეთ საშუალება მათ აღმოუჩინონ დახმარება გაჭირვების დროს, ააცდინონ ხიფათს; ამისათვის უნდა მივანდოთ ესა თუ ის საქმე მათდამი მზრუნველობას და თან ვადევნოთ თვალი, თუ როგორ შეასრულებენ ამ დავალებას. შეიძლება ყოველივე ეს მკითხველს გაზვიადებულად მოეჩვენოს, მაგრამ თუ ჩაუკვირდება, ცხად სინამდვილეს დაინახავს; საჭიროა აგრეთვე ბავშვმა თანდათანობით გადაიტანოს ეს მზრუნველობა თავის ტოლებზე, ბავშვებზე, გააწვიოთ უნდა მას თანაგრძნობა ყოველსავე სხვის გასაჭირში, როდესაც კი შეუძლია ეს სასრულლოს ბავშვმა.

თუ ამგვარად მოვიქცევით, ჩვენ გავავითარებთ ყოველსავე ბავშვში სიმპატიურ—თანაგრძნობის გრძნობას, რომლის თესლი ყველა ბავშვს აქვს გულში, თუ უკულმართის აღზრდით არ ჩავახშობთ მას. ამნაირად გავხდით ჩვენ ბავშვს ნამდვილ ჰუმანიურ ადამიანად, რომელიც შეასრულებს ქრისტეს მცნებას მოყვასისადმი სიყვარულის შესახებ, ასევე ითქმის მცენარეთადმი მოპყრობის შესახებაც, არა თუ ბავშვები, ჩვენ, მოზრდილებიც ვერ ვეპყრობით მცენარეებს სიმპატიურად, ვამტვრევთ, ვთელავთ, ვსჭრით მათ ტყვილა-უბრალოდ, რადგანაც ჩვენი შეხედვით ზოგიერთ მათგანს არავითარი მატერიალური სარგებლობა არ მოაქვს; რაც შეეხება ესთეტიურ სარგებლობას მათი არა-

ფერი ესმის ბევრს ჩვენთაგანს. საჭიროა ბავშვებს აუხსნათ, რომ მცენარეებიც ცხოვრობენ, ისინიც გრძნობენ შევიწროებას და ზიანის მიყენებას, ამიტომ მათ არ უნდა ვავნოთ, თუ არის აუცილებელი საჭიროება, რომელიც მცენარეთაგან მსხვერპლს ითხოვს, მაგალითად სკოლაში თვალსაჩინოებისათვის, მაშინ ვეცადოთ მცენარეს, თუ შესაძლებელი იქნება, ნუ გავხდით მის მსხვერპლად: ამოვთხაროთ ფრთხილად და, ჩვენების შემდეგ, ისევ დავარგვევინოთ მოწაფეებს, ნუ მივცემთ მოწაფეებს ნებას სეირნობის, ექსკურსიის დროს ყვავილების და მცენარეების უთავბოლო გლეჯა-მტვრევისას, აუხსნათ მისი ცუდი მხარე, შევაჩვიოთ ბავშვი მცენარეების მოვლას. ოჯახში თუ სკოლაში მივუჩინოთ მათ მცენარეები, ყვავილები მოსავლელად და ამნაირად განვაავითაროთ მასში სიმპატიური გრძნობა მცენარეებისადმი. ვავითარებთ რა ბავშვში სიმპატიურ გრძნობას, ჩვენ ამავე დროს აღზრდით მასში ესთეტიკურ გრძნობასაც; ბავშვი მიეჩვევა გაარჩიოს, აღნიშნოს ცხოველებში და მცენარეებში სილამაზე, დასტკბეს ფრინველების სტვენით, ბუნების სიმშვენიერით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში—ორი მხრით: ერთის მხრით, ესთეტიკურად განვითარებული ადამიანი არასოდეს არ ჩაიდენს ცუდ, ბოროტ საქმეს, რის მაგალითები მრავალია, არასოდეს არ იკადრებს ყბედობა—უწმაწური სიტყვების წამოსროლას, რადგანაც ეს შეუღაცყოფს მის ესთეტიკურ გემოვნებას; მეორე მხრით, როგორც თავში ვსთქვით, ჩვენი ცხოვრება აღსავსეა ტანჯვით და ცრემლთა ფრქვევით, ესთეტიკურად განვითარებულ კაცს საშუალება აქვს წუთებით მაინც გაექცეს

ლომობელ აწმყოს და ბუნების წილში დასტკებს მისი სიმშვენიერით, მოიკრიბოს ძალონე და კვლავ განაგრძოს ბრძოლა და სვლა ცხოვრების ნარ-ეკლიან გზაზე,

ეს კი დიდი ბედნიერებაა, რომელსაც ბევრი არის მოკლებული, ესთეტიური გრძნობის განუვითარებლობის გამო.  
**ი. სიხარულიძე.**

## პირველ-დაწყებითი განათლება ბოლგარიაში

**ბ**ოლგარიის პირველ-დაწყებითი სახალხო განათლების გაცნობა მეტად საკულისხმოა უველა მასწავლებლისათვის, მით უმეტეს, რომ მხოლოდ 30 წელიწადია რაც ახალგაზრდა ბოლგარია სტრუქტურის დამოუკიდებლად. რომელი დარგიც გინდა აიღოთ, უველგან გაცხარებული მუშაობა, მხოლოდ არა ზერედე, არამედ დაკვირვებული, აღმადგინებული, რომლის ნაყოფიც ცხადია უველა დაკვირვებულადმიანისათვის. სკოლების გასაოცარის სისწრაფით გამრავლება, უმეტრათა 0/6-ს დღითი-დღე შემცირება და მწყოობობა მთელი სახალხო განათლების სისტემისა, ძალა უნებურად ჩააფიქრებს აღმანს...

გეოგრაფიული მდებარეობა ბოლგარიისა, მშვენიერი ჭიკრი, ბუნებრივი სიმდიდრენი— აი შეუდარებული პირობები ბოლგარიის მამავალ აღმანებისა.

მაგრამ ამ ბედნიერმა პირობებმა არ გახადეს ბოლგარელები ზარმაც ფატალისტად. როგორც არის და იქნება მისი დამშინებელი, უზრუნველნი თურქნი. არა, ამ ხანგრძლივობის განმავლობაში, როდესაც ხალხის ეროვნული თვითშეგნება სრულიად დაეცა, ბოლგარელების გულის სიღრმეში მანც ოდნავ ბუტავდა ნაპერწყალი, რომელიც პირველ შემთხვევაზედვე გაძლიერდა და შიდავრ, ჩუქრობელ ცენტრლად გადაიქცა; თანდაყოლილი ენერჯია და დაინება ხელს უწყობდნენ მათ,

რომ განთავისუფლების შემდეგ გამარჯვათ სახელმწიფო ცხოვრების სხვა და სხვა დარგებშიაც. ბოლგარიის დამონაგებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ აგრეთვე ბერძენს, როგორც ხალხის სულიერ ცხოვრების წინამძღვრებს. მათ შექმნეს ბოლგარიაში თავიანთი კულტურა. ეკლესიები, სკოლები. ბოლგარიაში დაჰკარგა სრულიად თავისი ეროვნული სახე, თავისი ენა, თავისი წარსული. მხოლოდ მე-XVIII საუკუნის ნახევარში იღვიძეს ხალხში ეროვნული სული, სცდილობენ შეისწავლონ თავიანთი ისტორია, ენა, პოეზია და სხვა. ამისთან ერთად უმჯობესდება ბოლგარიის პირველ-დაწყებითი სკოლები, რომლებიც აჭამდინ აუტანელ პირობებში იმყოფებოდნენ: არა ჭქონდათ თავიანთი სახლი, პრეგრამები; არ ჭქავდათ მასწავლებლები; სკოლისა და მასწავლებლების შენახვაში საზოგადოება არათურს მოაწილეობას არ იღებდა; მასწავლებლის შენახვა კისერზედ ეწვიათ იმ შემთხვებს, ვისი შეილებიც სკოლაში სწავლობდნენ. რასაკვირველია, ამისთანა სკოლა მოკლებული იყო ყოველსავე მოწყობილობას და ხელმძღვანელობას.

ეროვნული სულის გამოღვიძების შედეგი იყო დაარსება ახალი სკოლებისა მე-XIX საუკუნეში. პირველი ახალი სკოლა აზრილოვის მიერ დაარსებული სკოლა იყო, რომელმაც აღზარდა ბოლგარიის მამავალი ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწეები და თავისთვლები:

თვის შემოქმედნი. (დაარსდა 1835 წ.) ამავე ხანში იხსნება მრავალი სახალხო სკოლები; ამ სკოლებს ინახავს საზოგადოება, იწვევს მასწავლებლებს და აძლევს მათ გადაჭრილ ჯამაგირს. დამოუკიდებელი უფლებანიერ ცენტრალურ უფლებებისგან, ბოლგარიის მასწავლებლები 1868 წელს მართავენ კონგრესს (50 წევრისაგან), ადგენენ სკოლის პროგრამას, შეიმუშავენ სხვა და სხვა სასკოლო წესებს და მასწავლებლების საქმეს; ნიშნავენ სკოლის რევიზორებს, აწესებენ საერთო პრინციპებს და სწავლის მეთოდებს. ამას გარდა, კონგრესი ავალის მასწავლებლებს იქონიონ საუბრი გლეხებთან, შეჭკობონ ნიმუშები ხალხურ შემოქმედებისა და სხვა. უფრო გვიან, ბოლგარიის საეკლესიო დაარსების შემდეგ, ბოლგარიის სკოლები სასულიერო უწყებათა ხელში გადავიდა. და აი, ხუთასის წლის ძინობის შემდეგ, დაიშინებრა ამ მინობის მძიმე უღელი, დადგა განთავისუფლების ხანა. მაგრამ ბოლგარია ისეთი სუსტი და უმწიკო იყო, რომ კარგა ხანი შესწევდა თავის ახალ მდგომარეობას, თავის სანატრელ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობას. ამიტომაც ბოლგარიამ ჯერ-ჯერობით რუსის სკოლების მიგავსი სკოლები განსნა. ამ სკოლებმა მარტო ორი წელიწადი იარსებეს. შემდეგ კი რუსის სკოლების სისტემა არღვევა, ეცემა. ეს ესეც უნდა უფილიყო, რადგანაც თავის პრინციპებით, მისწრაფებით რუსული სკოლების სისტემა ბოლგარიისთვის სრულიად უნადაგო და უჯნო იყო. ბოლგარელი ხალხი, როგორც ხანგრძლივ მონების დროს, ისე განთავისუფლების ხანაში, დარჩა მოღიან, გაუფიქვლ მასწავ, რომელშიაც ცალკე წოდებას არავითარი უპირატესობა არ ეძლეოდა და მასწავლებლები იყო განსხვავება იდეალებში და მისწრაფებებში. ბოლგარიის პირველ-დაწვებითი სკოლა იყო და უნდა უფილიყო კიდევ „სახალხო“; ამ სკოლაში უნდა მიეღო პირველ-დაწვებითი

სწავლა ეველა ბოლგარელს განურჩევლად წოდებისა და საზოგადო თანამდებობისა. ამიტომ არსებითად ბოლგარიის პირველ-დაწვებითი სკოლა უნდა უფილიყო ისეთი დაწესებულება, რომელშიაც ეველას შეეძლო შესვლა.

1881 წელს ბოლგარიის პირველ-დაწვებითი სახალხო სკოლების კურსი თვალსაჩინოდ გადაიდებული იქმნა, დაარსდა ოთხ წლიანი სკოლები. მაგრამ ეს სკოლა მალე მოიხშო, რადგანაც ამ სკოლიდან გადასვლა გიმნაზიის შესაყერ კლასებში არ შეიძლებოდა. ცხადი იყო, რომ სკოლებს ძირითადი გარდაქმნა ესაჭიროებოდა. აი აქ ამოიღეს ხმა სახალხო მასწავლებლებმა; შეერთდნენ ერთად, დაარსეს მასწავლებელთა საზოგადოებანი და შეუდგნენ მეტობრულ მუშაობას. თავიანთ მდგომარეობამ და უფლების შეზღუდვამ აიძულეს მასწავლებლები შეერთებულიყვნენ და გამოსულიყვნენ საჯაროდ თავიანთი მოთხოვნებიდებოთ. ამ დროს სკოლების და მასწავლებლების შენახვა კისერზედ ეწვეათ სოფლის და ქალაქის საზოგადოებათ; მთავრობა არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ამაში. 1891 წელს სკოლების და მასწავლებლების ნივთიერი მდგომარეობა ცოტათი გაუმჯობესდა, რადგანაც მასწავლებლების ჯამაგირის <sup>2</sup>/<sub>3</sub> გადახდა მთავრობამ იკისრა. სამაგიეროდ ამას მოჭევა მასწავლებლების შივიწროება, დაიწყო დევნა მასწავლებლების ცოცხალი აზროვნობისა და მოქმედებისა. მხნე მასწავლებლები კი მაინც გულს არ იტყებდნენ. შეერთებულის ძალდართ მიისწრაფოდნენ თავიანთ მიზნისკენ და აი, 1909 წელს სკოლის კანონებიც უკანასკნელად შეუმუშავდა. უმთავრესი პრინციპები, რომლებზედაც დაყრებულა ბოლგარიის სკოლის კანონები, შემდეგია:

1. პირველ-დაწვებითი სწავლა ეველასათვის უფასო სავალდებულო.
2. უფილგვარ ტიპის სკოლებში სწავლა სულეველასათვის შესაძლებელი.

3. მჭიდრო კავშირი დაბად, საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა შორის.

4. სქესთა თანასწორობა სკოლებში, უნივერსიტეტში შესვლამდე.

5. ზოლიტიკური და სოციალური ბრძოლა დაშორებულია სკოლას.

6. მასწავლებელთა მატერიალურად უზრუნველ უოფილნი აქვთ სრული მოქალაქობრივი უფლება და თავისუფალნი არიან სწავლის მეთოდებში.

აი ის საფუძველნი, რომელნიც აღსარებულ იქმნენ ბოლშევიკთა განთავისუფლების შემდეგ და რომელნიც მერე ცნობრებსადაც ნელ-ნელა განახორციელეს.

ამ ჟამად სახალხო განათლება ბოლშევიკთა მიერ მიტანილ მთავრობის ხელშია.

ბოლშევიკთა სასწავლებლების მმართველობის ცენტრალურ ორგანოდ არის სახალხო განათლების სამინისტრო, რომელიც ორ ნაწილად იყოფა: ერთი ნაწილი განაკებს დაბალ განათლებას, მეორე — საშუალოსა და უმაღლესს; ამ ნაწილების უფროსებად და მათ თანაშემწეებად უნდა იყვნენ მაღალ განათლებულნი, რომელთაც ზედგოგირი გამოცდილებაც აქვთ. აქედან ცხადია, რომ სახალხო განათლება ბოლშევიკთაში გამოცდილ ზედგოგების ხელშია. ეს საკმარისია, რომ სასწავლებლებმა არ გადაუხვიონ სწორე გზას.

ბოლშევიკთა უველა დაბადი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. მაგალითებ: პირველ დაწყებითი ოთხ წლიან სკოლის გადასვლის შემდეგ მოწავსეს შეუძლიან გადავიდეს პრეპარატორიის პირველ კლასში; პრეპარატორიის სამი კლასის გათავების შემდეგ იგი გადადის გიმნაზიის პირველ კლასში, რის შემდეგაც დაუბრკოლებლო უნივერსიტეტში ან რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში. ბოლშევიკთაში ქალები და კაცები თანასწორნი არიან სკოლის კანონის წინაშე; ამიტომაც ქალებს

არავითარი დაბრკოლება არ ედებებათ წინ უნივერსიტეტში შესვლის დროს, სადაც სწავლა ერთად სწარმოებს. ამასთანავე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ბოლშევიკთა გიმნაზიები მშვენივრად არიან მოწყობილნი ფიზიკურ და ქიმიურ ჯაბიკატორებით, საშეცნიერო კაბინეტებით და სამკითხველოებით.

პირველ-დაწყებითი სწავლა ბოლშევიკთა უველასათვის სავალდებულოა. არც ერთ ბავშვს, სკოლისათვის მომწიფებულს, არ შეუძლიან გვერდი აუხვიოს სკოლას, რაც უნდა შეძლებულნი იყვნენ მისი მშობლები. მინისტრებს, გამომწევი მადგაწენი, მუშები, — უველანი ვალდებულნი არიან მოიყვანონ თავიანთი შვილები პირველ-დაწყებით სკოლებში. მუდამ წელს ადგილობრივი ქალაქის თავი ანუ საზოგადოების მამასახლისი სწერს იმ ბავშვების გვარებს, რომლებიც სკოლისთვის მომწიფებულნი არიან. შემოდგომაზე ბავშვი აუცილებლად სკოლაში უნდა მივიდეს და თუ არ მივა, მაშინ იმის მშობლები ჯარმის იხდიან. შეიძლება მშობლებმა ნებართვა აიღონ, რომ ბავშვი სკოლაში არ ატარონ, მაგრამ ამასთანავე ვალდებულნი არიან უოველ სამოსწავლო წლის ბოლოში მიიქვასონ ბავშვი სკოლაში გამოსაცდელად.

პირველ-დაწყებითი სკოლის გაგრძელება პკლასიანი პრეპარატორიის, სადაც იდებენ ბავშვებს არა უმეტესს 14 წლისას. პრეპარატორიის სწავლა, როგორც პირველ-დაწყებით სკოლებში უველასათვის შესაძლებელია. იგი უფასოა, მხოლოდ სავალდებულო კი არა. ეს საშუალო სწავლის პირველი საფეხურია. მეორე საფეხური გიმნაზიებია. აქ სწავლა ფასიანია, მაგრამ სწავლის ფასი ისეთი მცირეა, რომ ღარიბ მშობლებსაც კი შეუძლიანთ იქ მიაბარონ თავიანთი შვილები. მაგალითად: გიმნაზიის მოწავსებების მშობლები წელიწადში იხდიან სწავლის ფასს 12—20 ფრანკს (7 მ. 50 კაპ.).

რუსეთში ამისთანა ფასი ზღაპრად ეჩვენებოდა. არა ნაკლებ ხელ მისაწოდებია ახალგაზრდებისათვის სოფლის უნივერსიტეტი. ამ უნივერსიტეტში შესვლა ყველას შეუძლიან, ვინც კი საშუალო სასწავლებელი აქვს გათავებული. სწავლის ფასი წელიწადში 40 ფრანკია (15 მან.), რის შეტანა ნახევრობითაც შეიძლება.

ბოლგარიის სკოლების განვითარებას ძალიან ხელი შეუწყეს სკოლის მეთაურებმა, რომელნიც არსებობენ უოველსავე წინაზოგადობასთან (სკოლის საზოგადოებას შეადგენენ შტაბფურები ან ერთი ან რამდენიმე სოფლისა, ან ქალაქის ნაწილისა, რომელნიც ინახვენ სკოლას). სკოლას მეთაურებს, მზრუნველებს განსაკუთრებული უფლება აქვს სკოლებში მასწავლებლების დანიშნვისა; იმათ მიერ არჩეულს მასწავლებელს ამტკიცებს სამაზრო ინსპექტორი, მაგრამ მასწავლებლების დათხოვნა და სკოლაში შეტანილობის საქმე მათ არ ეკითხებათ. სამაგიეროდ ისინი განაგებენ სამეურნეო ნაწილს, შესავალ-გასავალს, თვალ-ურს ადევნებენ თანხის თანაბრად დახარჯვას, განაგებენ სკოლის ფინანსს და ქონებას, თვალ-ურს ადევნებენ სკოლის შენობის შეკეთებას, სისუფთავებს, სახელმძღვანელოების შექმნას, იჭერენ მოსამსახურეებს, ეძებენ საღვარეს ღარიბ მწიგნობარს დასახმარებლად და სხვა. სკოლის სამეურნეო ნაწილის ყველა წევრს, ან მზრუნველს ნება აქვს დაესწროს მასწავლებლების კავკავთალების, მხოლოდ სწავლაში ჩარევა ან შენიშვნის კავკეთება არ შეუძლიან. თუ სამზრუნველს წევრს არ მოეწონა მასწავლებლის კავკეთილი, მას სრული უფლება აქვს ეს ინსპექტორს მიახსენოს. მასწავლებელზე კი რაიმე რეპრესიული ზომების მიღება არ შეუძლიან, ვიდრე არი რევიზია არ იქნება დანიშნული. მასწავლებელსაც სრული უფლება აქვს უჩივლოს სამზრუნველს წევრს თუ იმისი მოქმედება არ მოეწონა. მაგრამ ასეთი უთანხმოება სამ-

ზრუნველს წევრთა და მასწავლებელთა შორის იშვიათია, რადგანაც სკოლის საქმეში ისინი მჭიდროდ ხელახელ ჩართულნი ერთად მუშაობენ. ყველაზედ ახლო და დამოუკიდებელი უფროსი სკოლისა, მასწავლებლისა არის რაიონის ინსპექტორი.

სწავლის შესახებ ბოლგარია იყოფა 49 რაიონად, რაიონის ინსპექტორად აუცილებლად სახალხო სკოლებში 5 წლის ნამსახური მასწავლებელი ინაშნება საშუალო განათლებით, რომელსაც ამ ადგილის მისაღებად ეგზამენი ექნება რაიონბუფელი. რაიონის მეთვალყურის მოვალეობანი სრულიად ეთანხმებიან რუსეთის სკოლების ინსპექტორების მოვალეობას, უფრო მცირე უფლებით. მაგ. ბოლგარიის რაიონის ინსპექტორს არავითარი ნება არა აქვს მასწავლებლების დანიშნვისა, მათი გადაყვანისა სხვა ადგილზედ, ან დათხოვნისა, რაიონის ინსპექტორები წელიწადში სამჯერ იკრიბებიან რაიონ მმწიგნობრული საკითხის გადასწვევტად. სახალხო სკოლების მასწავლებლებთან რაიონის ინსპექტორები მეგობრულ განწყობილებით არიან. რაიონის ინსპექტორის ადგილის მისაღებად საჭიროა გამოცდა შემდეგ საგნებში: ზედაგოგიაში, დიდიქტიკაში, მეთოდოგიაში, სასკოლო კანონმდებლობაში, სკოლის ჰიგიენაში, სასკოლო ინსპექციაში. აი ის მოთხოვნილებანი, რომელნიც წარუდგინეს რაიონის ინსპექტორებს ბოლგარელებმა და მთავრობამ. უფრო ფართოა სამაზრო ინსპექტორების მოვალეობანი. სამაზრო ინსპექტორები ჩვენებურ სახალხო სკოლების დირექტორებს მოგვგონებენ. სამაზრო ინსპექტორად ინიშნება მაღალი განათლების მასწავლებელი, საშუალო სკოლების დირექტორი, რომელსაც თავისი შრომითი საქმედაგვირ ლიტერატურაში დაუძის ჩურობაა სახელი და მატრივიცტა. მართალია, ბოლგარელებმა ხალხმა და მთავრობამ მკაცრი მოთხოვნილებანი წარმოუდგინეს სახალ-



სა მასწავლებლებს, მაგრამ ამავე დროს შეიძლება წესდება, რომელიც მასწავლებლის მუშაობას თავისუფალს და დამოუკიდებელს ხდის. იცავს მის პირფონებს და შრომის ვინაობა ჩარევისგან. ეს არის დისციპლინალური სასამართლო, უზრუნველ ჰყოფს მასწავლებლებს მუშაობის და დაკვირვების მუშაობას, მეორე მხრივ შეძლებს აძლევს მასწავლებლებს მოთხოვნის სამართლიანობა, სამსახურის დროს რაიმე მომხდარი შემთხვევისათვის. დისციპლინალურ სასამართლოში სამი წევრია: თავმჯდომარე საოლქო სასამართლოსი, თავმჯდომარე სასკოლო სამხრუნველთა და არჩეული წარმომადგენელი სახალხო მასწავლებლებისგან (ან რაიონის მეთვალყურეებისგან, თუ სამართალში რაიონის მეთვალყურეა მიცემული). საქმე შემდეგ ხაზად სწარმოებს: მასწავლებლის დანაშაულს აცნობენ სამაზრო მეთვალყურეს, რომელსაც თავის თავად არაფრის გაკეთება არ შეუძლიან, კარდა მასწავლებლის გადაუჩინებლად სამსახურიდან რამდენიმე დღით. შემდეგ, სამაზრო მეთვალყურე მოვალეა ადრას ამაზედ საკითხი 10 დღის განმავლობაში დისციპლინალურ კომისიაში. დისციპლინალურ კომისიაში საქმე უნდა გაიჩიოს არა უგვიანეს 1 თვისა და არა ადრე 7 დღისა. მანამ კი ბრალდებულმა და ბრალდებულმა საჭირო ცნობები უნდა შეატყობინოს. გასამართლება საოლქო სასამართლოში ინიშნება. თავდაპირველად წაიკითხავენ გასამართლებულ საქმეს, რის შემდეგაც სიტყვ ეძლევა ბრალდებულს. მერე ბრალდებულს. შემდეგ სასამართლო აცხადებს განჩინებს. უმთავრესად მხარეს შეუძლიან გადაიტანოს საჩივარი სოფლის შემადგენ დისციპლინალურ კომისიაში. ამ კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა. დისციპლინალურ სასამართლოს წევრები იღებენ გასამართლებულს. მტირე დანაშაულისათვის მასწავლებელი მიიღებს შენიშვნას, ან გაკიცხავს, ან სასკოლო მხრუნველობისგან, ან ინსპექტორის და დი-

რექტორისგან. უფრო დიდ დანაშაულისათვის მასწავლებელს მოეღოს: 1) ჯარიმა ჯამაგირით 1/4; 2) გადაუყვანა სხვა ადგილზე; 3) დათხოვნა სამსახურიდან; 4) დათხოვნა სამსახურიდან თავის რაიონიდან ან მაზრიდან 5) მასწავლებლობის უფლების ჩამორთმევა 1-დან 3-წლამდე; 6) მასწავლებლობის უფლების ჩამორთმევა სამუდამოდ. აქედან ვხედავთ, რომ დისციპლინალურ სასამართლო წარმოადგენს პრაქტიკულად დაწესებულებას, რომელიც ხელს უწყობს ბოლგარიის მასწავლებლის გათვითცნობიერებას და მასწავლებელთა წრის ზნეობრივ განვითარებას. ამასთანავე დისციპლინალური სასამართლო უზრუნველ ჰყოფს მათვრობას და იცავს მასწავლებლის შრომას და პირფონებს. 1909 წლის სასკოლო კანონით ბოლგარიაში სახალხო მასწავლებლობის ნება აქვს მხოლოდ ბოლგარიის 30 წლის ქვეშევრდომს, ჯანსაღს და ფიზიკურად არა მახინჯს.

ამასთანავე კანონი უსათუოდ თხოვლობს მასწავლებლებისგან ჰედაგოგიურ მასწავლებლობის გათავებას. რადგანაც მასწავლებლობა ბოლგარიაში არ ანთავისუფლებს ჯარში გაწვევასგან, ამიტომ მასწავლებელმა წინდაწინვე უნდა მოიხადოს ეს სამსახური ან სრულიად განთავისუფლდეს იმისგან. მასწავლებელთა მოსამზადებელ სპეციალ სასწავლებლებთან ითვლებიან 5 კლასიანი ჰედაგოგიური მასწავლებლები, სადაც სავადლებულთა შემდეგი სტაჟების სწავლება: ბოლგარული ძველი და ახალი ენა; ბოლგარული ლიტერატურა; ჰედაგოგია და ფსიხოლოგია; ლოღოკა და კითხვა; ბოლგარიის სერო და საკვების ისტორია; სამშობლო და საზოგადო გეოგრაფია; რუსული ენა; მათემატიკა; მოქალაქეობრივი სწავლება; ბუნების მეტეოლოგია; ფიზიკა და ქიმიკა; ჭიტიკა და პოპულარული მედიცინა; პოლიტიკური ეკონომია; ხატვა; ხელსაქმე და მეურნეობა; მუსიკა და გალობა; გიმნასტიკა; გერ-

მსულო და ფრანგული ენები. პრაქტიკისათვის ეველა სსწავლებელთან დაარსებული სამაგალითო სკოლა, ბადი, ბოსტანი, რასაც დიდის შურადღებით ექცევიან. სწავლა პედაგოგიურ სსწავლებლის პირველ სამ კლასში ფასიანია — 20 ფრანკი წელიწადში (7 მან. 50 კაპ.); ორ უკანასკნელში კი უფასო. სსწავლებელში შესვლის ნება აქვს: 1) სრულიად ჯანსაღს და ფიზიკურად უნაკლებს, 2) არა უმეტეს 20 წლისს და 3) გიმნაზიის სსამი კლასის გათავებულს. განსაკუთრებული სურადღების დირსია ის, რომ ამ სსწავლებლებში თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს ხატვას ძერწვასთან ერთად, მუსიკას, კალობას და კიმნასტიკას. სხვა ქვეყნებში ამ საცნებს უცქერან როგორც მეტს ბარკს.

მატერიალურად მსწავლებლები საკმარისად არიან უზრუნველყოფილნი: ახლად დანიშნული მსწავლებელი წელიწადში იღებს 1,440 ფრ. (540 მ.) შემდეგ ყოველ ხუთის წლის განმავლობაში ემატება 240 ფრ. (90 მან.) 21 წლის შემდეგ კი — 2400 ფრ. (900 მან.) მთავრობას ნება აქვს 60 წლის მსწავლებლების დათხოვნისა. ამ კანონში ხალხმა თავისი სურვილი გამოხატა. დამსახურებულ მსწავლებლებს ეძლევათ პენსია შემდეგ ნაირად: ყოველ წელიწად იგი იღებს  $\frac{1}{40}$  მთელის წლების დამსახურებულ ჯამგარისას; იმის სიკვდილის შემდეგ პენსიით სარგებლობენ მშობლები, ცოლი და შვილები. ცოლი იღებს პენსიის 40%, მშობლები 20%, თითო ბავშვი კი, თუ სამზედ მეტი არ არის 20%. თუ მსწავლებელმა თავის თანამდებობას თავი დაანება, მაშინ მას პენსია ესობა; მხოლოდ ნამსახური წელიწადები სხვა სამსახურშიაც ეთვლება. თუ სკოლაში რამდენიმე მსწავლებელია, მაშინ ერთი მათგანი ინიშნება „უფროსად“ ე. ი. გამგეთ; გამგეს ნაკლები გაკეთებები აქვს, ხან და ხან კიდევ სრულიად ახთავისუფლებენ გაკვეთილებისაგან. ერთი

ქალაქის ეველა გამგენი თავიანთ წრიდან ირჩევენ თავმჯდომარეს, რომელსაც აქვს თავისი განსაკუთრებული კანცელარია და განთავისუფლებულია სწავლებისაგან. იგი დამტკველია მსწავლებლების ინტერესებისა მთავრობის წინაშე. მომეტებულ შემთხვევაში ბოღკარის მსწავლებლები არიან იდეური, უანგარო, თავდადებულნი მეშახნი, მხურვალე მსიყვარულენი თავიანთის სამშობლსი და ხალხისა. ისინი კატაცებულნი არიან აგრეთვე პოლიტიკურ მუშაობით, მხოლოდ ეს უკანასკნელი უმთავრესად მსწავლებელთა კავშირში სწარმოებს. მსწავლებელთა კავშირი წარმოადგენს ეველაზედ ფართო პოლიტიკურ და პროფესიონალურ ორგანიზაციას და მთავრობაც მას ანგარიშს უწევს. მსწავლებლების მომეტებული ნაწილი სოციალისტებს ეკუთვნის; ძლიერია ამთში აგრეთვე პარტია პროგრესისტებისა, დანარჩენების რიცხვი კი მცირეა. მაგრამ ეს პოლიტიკური განსხვავება არ იწვევს საშინელ ბრძოლას, არ არღვევს საერთო ერთსულფონებას პროფესიონალურ სსწავლელთა საქმეში: პირიქით, ეს პოლიტიკური შერეობა კავშირში ქქმნის პროფესიონალურ მუშაობას უფრო ნაყოფიერად. ამ უამად ბოღკარიის მსწავლებელთა კავშირი აერთებს 80 მსწავლებელთა საზოგადოებებს, რომლის წევრობის რაოდენობაც უდრის 4826.

კავშირის წევრად შეუძლიან იყოს ეველა მსწავლებელს; სწევრო ფული წელიწადში 5 ფრანკია (1 მან. 88 კაპ.); კავშირის თანხა კი თითქმის 320,000 ფრანკია = 120,000 მან.

კავშირის მუშაობა ძალიან ფართო და მრავალფეროვანია. ამასთანავე, რადგანაც კავშირი წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზაციასაც, ამიტომ იგი თავის სამშობლს პოლიტიკურ ცნობრებაშიაც დიდ როლს თამაშობს; მხოლოდ, ეს მოქმედება უფრო ინტენსიურია რომელსავე ძლიერ გარდასავალ მომენტებში:

ჩვეულებრივ დროს კი კავშირის მთელი მოქმედება მიზეზობრივად კულტურულ-განმანათლებელ საქმიანებად. კავშირის საფუძვლიანი შესდგება რამდენიმე ფონდის საფუძვლიანად. კავშირის ფონდები შემდეგია: 1) ფონდი „შემწეობისა“ 2) ფონდი „მასწავლებლების სანატორიუმის გასამართავად“ 3) ფონდი „დამსახურებულ მასწავლებელთა სხვის გასამართავად“. 4) ფონდი „ქრ. მაქსიმოვის ძეგლისათვის“. 5) ფონდი „მასწავლებელთა სანატორიუმისათვის“. 6) ფონდი „მასწავლებელთა შვილების სანატორიუმისათვის“. ამით კავშირმა თავისი მოქმედება ძალიან გააფართოვა: ურადლების დიდი კიდეა ის, რომ კავშირი ძალიან ენერგიულად იცავს სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე მასწავლებლების და ცალკე წევრის ინტერესებს და მომეტებულ შემთხვევაში გამარჯვებული რჩება. თუ მასწავლებელთა კავშირის წევრი ავად გახდა, მაშინ კავშირი მას დახმარებას უწევს. ერთმანეთის დახმარების იდეა იმდენად დრმა, რომ ამჟამად დახმარება მეთია. „ერთი უგულასათვის—უგულა ერთისათვის“, —აი დევიზი ბოლშევიკის მასწავლებლებისა. კულტურულ-განმანათლებელი მოქმედება კავშირისა უგულწილად გამოიხატება კრებებში, ლექციებში, რეფერატებში, კურსებში, სადამო და საკვირაო სკოლებში, სამკითხველოებში, ბიბლიოთეკებში, სასაღიფოებში და სახალხო გასართობებში.

1910-11 სამოსწავლო წელს კავშირმა გამართა:

ლექციები და რეფერატები	—	502
კურსები	—	33
საჯარო კითხვები	—	67
სადამო და საკვირაო სკოლები	—	77
გასართობები	—	407
სამკითხველოები და ბიბლიოთეკები	—	157
სასაღიფოები	—	24

ეს სტატისტიკა აშკარად გვიჩვენებს რამდენად სერიოზულად ეზრდებიან ბოლშევიკი

მასწავლებლები თავიანთ განმანათლებელ მოქმედებას სკოლის გარეშე. არა ნაკლები ინტენსიური მოქმედება ხდება ბოლშევიკის შედგოგოურ ლიტერატურაში. შედგოგოური ლიტერატურის ბოლშევიკში, სოციალისტურ ლიტერატურის შემდეგ უგულასად უფრო გავრცელებულია. ბოლშევიკის პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებლები თავიანთ მოვალეობათ სთვლიან გამოაწირონ რამდენიმე შედგოგოური ჟურნალი და გაფორმებით ადევნებენ თვალს უგულასად ახალს აზრს სამშობლოს და უცხო ქვეყნების შედგოგოურ ლიტერატურაში. ამასთანავე თვითონვე მუშაობენ ლიტერატურულ ანბანებს: სთარგმნიან რუსულ და სხვა ენებიდან, ადგენენ რეფერატებს, სტატიებს, აარსებენ პერიოდიულ გამოცემებს და სხვა. შედგოგოური ჟურნალების ფასი ბოლშევიკში უგულასათვის ხელ-მისწავლია, რაც ხელს უწყობს მით გავრცელებას. ამ ჟამად ჟურნალების რიცხვი, რომლებიც ემსახურებიან სახალხო სკოლების ინტერესებს, რთხია: „მასწავლებელი“, „სასკოლო პრაქტიკა“, „სასკოლო მიმოხილვა“ და „ახალი სკოლა“. „მასწავლებელი“ უგულასად ძველი შედგოგოური ჟურნალია; იგი მეთად შინაარსისა და გამოცემის თვეში ერთხელ კარგათ შერჩეული სტატიებით რომლებიც ეხებიან სხვა და სხვა მხარეს სკოლის ცხოვრებისა და ბოლშევიკის სკოლის ისტორიას.

ჟურნალი „სასკოლო პრაქტიკა“ აგრეთვე თვეში ერთხელ გამოცემის პატარა წიგნებათ, რომლებიც შეიცავენ ორიგინალურ და ნათარგმნ სტატიებს საერთო დიდაქტიკისა და ცალკე საგნების მეთოდოლოგიად. ამას გარდა ამ ჟურნალში მოთავსებულია ვრცლად გარჩეული გაკვეთილები ან გაკვეთილების კონსპექტები ცალკე საგნებისა; უგულა ეს შედგენილია თვით მასწავლებლების მიერ თავიანთ დაკვირვების, გამოცდილების მიხედვით.

უფრო კარგად არის გარჩეული ეს ნაწილი ჟურნალ „სასკოლო მიმხილვაში“; რომელიც ბოლგარის მასწავლებლისათვის სწორედ ნამდვილ პედაგოგიურ ცოდნათა ენციკლოპედიას წარმოადგენს. ჟურნალის პირველ ნაწილში მუდამ მოთავსებულია საუკეთესო, პედაგოგიური სტატიები დიდქტივისა, მეთოდისა, ექსპერიმენტალურ ფსიქოლოგიისა და სხვათა შესახებ. მეორე ნაწილში პრაქტიკული გარჩევა გაკვეთილების ახალი მეთოდების მოხმარებით. ბოლოს კი არის მოთავსებული—შინაური და უცხოეთის მიმხილვა სკოლების ცხოვრებისა. „სასკოლო მიმხილვის გარდა, უკვლავ აღზრდის თანამედროვე მწვავე კითხვებზედ პასუხს იძლევა „ახალი სკოლა“, პატარა ჟურნალი, რომელიც ხან ფილიპოპოლიში, ხან ვარში გამოდის. ეს ჟურნალები სწორედ არსობის პურია ბოლგარის მასწავლებლებისათვის: ისინი უზარუნებენ უკვლავ კითხვებზედ დაკვირვებულ პედაგოგს, დრამა ახლებენ ახალ მასწავლებლებს საქმეში, ინტერესს უღვიძებენ ქარაფშუტა მოხელე მასწავლებელს, აძლევენ სიფარტოვებს ნიჭიერ მუშაკთა ძალ-ღონეს. ამ ჟურნალებში თქვენ ვერ შეხვდებით მშრალს, მოსწყენ სტატიებს; უკვლავ სტატია სიცოცხლით სავსეა, ნიაზით გამსჭვალული, უკვლავ ცნობა საქმეს შეეხება. რა ძვირფას მარგალიტებს შეხვდებით ხანდახან ამ ჟურნალებში. აი მასწავლებელი მხატვარი გინატავთ საუკეთესო სურათს ხატვის გაკვეთილებისა პირველ-დაწყებით სკოლებში და თითქოს ახალი ცისკიდური გამოჩნდა თქვენწინ; ხან იტაცებს შვითხველს დრამა გარჩევა გემეტრიის გაკვეთილისა, ჩვეულებრივ მშრალის. და მოსწყენის როგორც მასწავლებლისათვის, ისე მოწაფეებისათვის, აი ერთბაშად, თქვენ წინ გაიფლავა იშვიათის სილამაზის ლექსმა „პროზა“, რომელშიაც იხატება ბოლგარის მასწავლებლის ცხოვრება.


არამც თუ ბოლგარისთვის, არამედ უცხო ქვეყნის შვილისათვისაც ბოლგარული ჟურნალები წარმოადგენენ დრამა ინტერესს. იგივე სერიოზობა, სიცოცხლე ახსიათებს კიდევ ერთს დამხმარე-პედაგოგიურ დაწესებულებას ბოლგარიაში. ეს არის სასკოლო მუზეუმი სოფიაში, რომელიც მოთავსებულია სახალხო განათლების სამინისტროში. იგი შესდგება სხვა და სხვა განყოფილებებისაგან, რომელნიც ცალ-ცალკე პატარა ოთახებში არიან მოთავსებულნი; 1) სკოლის აუჯუგულობა, ჰიგიენა და საქმიანობა დახმარება; 2) სამშობლო ენა და არითმეტიკა; 3) გეოგრაფია და ისტორია, 4) ბუნების-მეტეოლოგია; 5) ცხოველთა, ხატვა და ხაზვა; 6) ძველი ბოლგარული სკოლა. დიდ ჟურნალებს აზერობენ 1, 2 და 6 განყოფილებები. პირველ განყოფილებაში მასწავლებელი ეცნობა სკოლის აუჯუგულობის ნიმუშებს: სკამებს, დაფებს და სხვ.; აქვეა სკოლის აფთეჟა. მეორე განყოფილება აცნობს სხვა და სხვა სისტემის სახელმძღვანელოებს ენის და ანგარიშის მასწავლების დროს; უმთავრესად იგი ამტკიცებს, თუ რამდენ სიყვარულს იჩენს ბოლგარული მასწავლებელი თავის საქმეში; აქ ბევრი ორგინალური სახელმძღვანელოებია თვით მასწავლებლების მიერ შედგენილნი, რომლის შედგენა თხოულობდა ბევრს მოთმარებასა და შრომას. შეეჭვსე განყოფილება ძველი ბოლგარული სკოლაა. აქ თქვენ ნახავთ ძველებურ მაგიდებს და სხვა ნივთებსა ძველი სკოლისა. ეს ცხადათ გვიჩვენებს იმ გზას, რომელიც გაიარა ბოლგარის სკოლაში, ვიდრე ჩამოისხმეოდა არსებულ ფორმებში. ეს პატარა, ერთად-ერთი სასკოლო მუზეუმი ბოლგარისა წარმოადგენს უძვირფასესს განძს ბოლგარის მასწავლებლისათვის. იგი ამდიდრებს მასწავლებელს ცნობებით, აინტერესებს მას და არა ერთხელ ჩააფიქრებს კიდევ. ამის შემდეგ გასაკვირველი

არ არის, რომ ბოლგარის პირველ დაწვებითი სკოლა ხალხის საყვარელი შვილია, შემოხვეული გამოცდილ ხელმძღვანელების ზრუნვით და უურადღებთ; იგი გასაცხადის სის-

წრათით იზრდება და მაგრდება; იგია უძვირფასესი წინდი პატარა ბავჯანეთის სახელმწიფოს ბედნიერებისა.

კატო ბაქ—ძე.

(დასასრული იქნება)



## სამშობლოს სიყვარული

ისტორიული ლექგენდა მესხთა ცხოვრებიდან \*)

„ . . . ვიშ!..

რა კარგი ხარ ჩიხორიშო ხველიშა არ გერიოსო“...

(ხალხ.)

### I

1. ჯავახეთის საზღვარზედა ჩამოგვირბის ჩიხორიში (1), წყარო მთისა, გემრიელი ყინულია მზე და გრილში.
2. გაზაფხულზე აღიდდება, მტკვარს ეცემა შუა გულში ხველიშასაც (2) შეუთვალა: „ძვირს ნუ იღებ ჩემზე გულში“:...
3. სათავეში ტამალა (3) აქვს, სოფელი მადნარს მაღული, ნაქებია მოსავლითა, საუფლის-წულო მამული.
4. ქალი, რძალი მშვენიერი, ვაჟკაცნიცა თავ-დებული ქორ-მეძებრებ ნადირობით, მეფის კარზედან ქებული.

### II

5. „ეჰ! ბიძიავ, ის დრო გაჰქრა... გულიც გატყდა თათრობაში,

რჯული რჯულად გვეკარგება, არც გვედგომის მთა და ბარში.

6. „ჯალათებსაც ბევრს გვიშადებს, აღარ გვინდობს საზარელი, ის ღვთის რისხვა ხიმშიშვილი სელიმ ფაშა აქარელი (4).
7. ენგიჩარი (5) დალიბაში (6), ყველა ჩვენი ბატონია— ვაი იმას, ვინც ლამაზის ქალის, რძალის პატრონია...
8. ოსმალოსა ვინდა სჩივის, ლეკი გვარბევს დაღესტნელი (7) სამართალი ვის მოვსთხოოთ ვინდანი გვყავს გურჯისტნელი?!..
9. შემოდგომა ჯერ არ იყო, ლაბას (8) რთველი დამდგარიყო, გოგო-ბიჭი კალათებით მის საკრფედ წასულიყო.
10. წუნკალებმა ეს შენიშნეს, მეტი დავლა რალათ უნდა, იხელთეს და გზა შეუკრეს, დიდი ძალაც არ მოუწდა.

\*) ამ ლექგენდის გადაბეჭდვა და გადათარგმნვა აკრძალულია.

\*) უჯამაზო, უმსგავსი.

11. არჩევანსა რო შეუდგენენ,  
გონჯს\*) კპოებენ ვერცა ერთსა,  
სამი ბიჭი, შვიდი გოგო,  
გადააბეს ერთმანეთსა.
12. ახალციხეს გაუყენეს,  
მიატანეს **ასპინძასა** (9) —  
„აქ მღევარი ველარ მოვა,  
ვერ გაბედავს წართმევასა.
13. ასპინძის ბატონს ეწყინა  
სანჯახსა **ღიასამიძეს** (10)  
„ხინკალა, წუწკმა ლეკებმა  
სოფლები გამიჩანავენს“...
14. ბოლმა დიდი აქვს ბატონსა,  
მაგრამ ვერ იჩენს ნებასა,—  
ვერცა ხონთქარს გაიწყრომებს,  
ვერც ფაშას მისცემს მცნებასა\*).
15. დაასმენენ, დასწამებენ,  
სტამბოლისკენ წაათრევენ,  
მამულს, დედულს, სანჯახობას,  
ყველა პატივს წაართმევენ.

## III

16. ბექამ სული წაიწყმიდა  
ეშმაკისა გახდა კერძი,  
**ათაბაგი** მოგვიწამლა (11)  
თვითონ ირგო ოქროს ვერძი.
17. წარსდგა ხონთქარს მოახსენა  
— „საქმე შწადის ასეთიო:  
მაჰმადის რჯული მივიღო,  
გმორჩილობდეს მესხეთიო“...
18. სულთან **მურადს** (12) ეს იამა,  
ბექას უბოძა ფაშობა,  
თავზე სარუხსა ჰხურავენ,  
არც დაუძვირეს თულობა.
19. ახალციხის ფაშად დაჯდა  
ეს **ჯაყელი**. (13) გურჯისტნისა,

\*) სწაკლა, დარბევა.

ქართლის მეფეს გადაუდგა  
ერთგულია სტამბოლისა.

20. ორით თულთ\*) ფირმანი აქვს,  
გახდა მეფეთ მესხეთისა,  
მამა პაპის რჯული დაჰგმო,  
ხოჯა უზის მაჰმადისა.

## IV

21. **საფარ ფაშამ** (14) კარგად იცის  
სტამბოლი რისაც მდომია —  
უყვარსთ ქალ-ვაჟი ლამაზი,  
ქართველთა თვისი-ტომია.
22. ახალციხის მოედნები  
მთლად ივსება ტყვეებითა,  
უმანკო და უბადრუკნი  
სტამბოლს მივლენ შავი ზღვითა.
23. თათრის ფაშებს უხარიათ  
მორჩილება მესხეთისა,—  
ჰარამ-ხანაც განახლდება,  
ქალი მოსწონთ შავშეთისა.
24. ტამალელი გოგო-ბიჭიც  
ახალციხეს ჩამორეკეს,  
შიგ ერია ერთი ქალი,  
ფაშასთანა მიჰყავთ ლეკებს.
25. ახალგაზრდა თებრონია  
ფაშის კარსა გაატიტვლეს,  
გადიასა მოეწონა,  
აბანოშიც გაათეთრეს.
26. ბროლისა გოგოს თებროსა,  
უკერავენ მარმაშებსა\*\*),  
ოქრო-მკედით უქარგავენ,  
კემუხტის მწვანე ქოშებსა.

\*) თული — თსმალთა ფაშის წინ სტარე-ბეგი ბაირადი ცხენის ძუისა. მეტი თული მეტს ჰატივს ნიშნავდა.

\*\*) წმინდა ნაწმ, კისეა, ჩიქილა.

## V

27. სელიმ ფაშა აქარელი  
დესპანობას ემზადება,  
ფეშქაში ბევრი ჩააწყო,  
ხონთქარს ოქროც ეგზავნება.
28. ყველა ფეშქაშს თებრონა სჯობს  
**დიდ ბაირამის ძღვენათა (15)**—  
გოგო მიუვათ ბროლისა  
ბადალს ჰპოებენ ძნელათა.
29. აქარა გადაიარეს  
ბათომს ჩავიდნენ ნავითა,  
ქოროხს თავი დააღწიეს,  
შავ ზღვას გაუდგნენ გემითა.
30. ტრაპიზონს დღისით მიადგნენ,  
თებროს თვალთ ცრემლი სდიოდა,  
შუბლს ოქროს ფარა\*) უმძიმებს,  
ლაწვს მარგალიტი სცვივოდა.
31. შვიდ დღეს სტამბოლს მიაღწიეს,  
ხვალ ბაირამი სდგებოდა,  
თებრო კი ბედსა სჩიოდა  
ბოდმითა გული სქდებოდა.

## VI

32. ვეზირს თებრო მოეწონა,  
გულ-მკერდი თეთრი გედისა,  
გიშრის თვალ-წარბა ქალწული,  
მტირალი თავის ბედისა.
33. ვეზირს გული უფანცქალებს,  
ფაშას უთვლის მადლობასო—  
„თუ რომ დაგჭირდეს ხონთქარი,  
წყალობას არ დაზოგავსო“... .
34. თებრო უხვად დასაჩუქრეს,  
ვინ მოსთვლის ლალს, მარგალიტსა,  
ზურმუხტი და იაგუნდი,  
საყურებიც აღმასისა.

\*) ფუფი სამაღური — ჩიხტის გარშემო  
აგებებენ — შუბლს ამშვენებს.

35. თირუზის ქოშებს აცმევენ  
ტანზე ფარჩა არ მენავსო\*),  
ქალს გაღია მიუჩინეს  
სრა სასახლეც ედემს ჰგავსო.
36. თებრომ თუმცა მოიღბინა,  
გულში დარდა ვერ იკლავსო:  
„სამშობლოსა მაგივრობას,  
სტამბოლი რითი მიზღავსო“.
37. ოქროს ტახტზე დააბძანეს,  
ფერხთ ფიანდაზებს უგებენ,  
ვერცხლის სურითა ვარდის წყალს,  
მუშკ-ამბარს თავ-ქვეშ უდებენ.
38. მოახლენი მრავლათა ჰყავს,  
თებროს მზესა ფიცულობენ,  
რაც ინატროს ნებიერმა,  
ცილობითა უსრულებენ.
39. ჩანგის სიმებს ჩამოჰკრავენ  
ზედ ტკბილს ხმით დამღერაინ,  
იადონი და ბულბული,  
გალიიდან დასცქერაინ.
40. სრა სასახლის გარემემო  
წალკოტ-ბალნარი უხვია,  
რა ხილი და რა ყვავილი —  
ვარდი ბულბულსა უქია.

## VII

41. რაც დღე მიდის თებრო სჭკნება,  
იადონსა ეუბნება:  
„ცქვიტო, ჩიტო ნუ შეგშურდა,  
არც თუ მე ვარ თავის ნება“... .
42. მეც ოქროსა გალიას ვზი  
ცხრა-კლიტულში მომწყვდეული —  
გაყიდული ტყვე, ტუსალი  
ვეზირის ცოლად ქებული“... .
43. ვაიმე საბრალო დედავ,  
ვაიმე დაო სოფიო,

\*) წმინდა ტილო.

ზიხარ და მოთქმითა სტირი  
ვაი-ვაგლახსა მოსთელიო.

44 სადლა ვიმარხვო, ვილოცო,  
სად ვილხინო ობაშია,  
სანთელი როდის ავანთო  
ჩიხორიშის საყდარშია!?

45 ნეტავ ველირსო **შოლორთა\***) (16)  
ფრთილს გახვევდე გარეშემო,  
ოთას მთაში ჟოლოს ვკრეფდეთ  
**კობტა ციხის (17) გარეშემო“.**

46 სადლა ვსვა წყალი მყინვარე,  
ჩიხორი მოლხინებული,  
სადლა ავასხა ანკესით,  
კალმახი გახელებული!?!.

47 რას ვაქნევ ამდენს ქონებას  
გულ-მკვდარი დაობლებული...  
გინდ ამდენს პატივს, სიყვარულს,  
დიდებაც შემოვლებული!?

48 „უზიარებელს მომკლავენ,  
გადმისვრიან ოხერ მკვდარსა,  
იქ გამგლეჯენ ზღვის თევზები —  
ვინ მალირსებს ქრისტეს ჯვარსა“!

49 „ვერ ველირსო მშობელ მიწას,  
მშობელ დედისა ცრემლებსა,  
ვინ მიგლოვს, ვინ დამიტირებს,  
აქ ვინ ამიგებს წესებსა.

50 „მომეცით ჩემი სამშობლო,  
ცა მშვენიერი, ლაყვარდი,  
შრილა, მწვანე ქოჩორა,  
ოთაში ფიქვი ნაზარდი!.

51 მომეცით ჩემი ქვეყანა,  
მთა-ბარი მალნარიანი,  
პიტალო კლდეზედ კაკაბი,  
მელია ჯავარიანი!.

52 „ლხინი და ჭირი იქ ვნახო,

იქ მკრას ლახვარი მგმობელმა,  
იქ მოვკვდე, იქ დავიმარხო,  
იქ დამიტიროს მშობელმა!..

### VIII

53 დაქლერქდა თებრო, დაქლერქდა.  
ლოგინსა ლესავს თვეობით.  
ვეზირსაც გული უკვდება  
უყვარს და მოსთქვამს ვაობით.

54 ერთხელ თებროს სიცხე მისცა  
ბურანი \*) სჭირდა, როტავდა,  
ნატრულობდა ჩიხორის წყალს  
სიზმარშიც ამას ბოდავდა.

55 ვეზირი თებროს თავთ ეჯდა,  
ტამლიალს \*\*) გულზე უსვამდა,  
მის ნატვრას რო ყური მოჰკრა,  
წვერებზეც ხელსა ისვამდა.

56 კაცი მესხეთს გააფრინა,  
ბარათი აქვს ფაშასთანა:  
„არიქა ყარდაშ მიშველე —  
„ძმა ძმისთვინა შავ დღისთვინა“...

57 „ჩიხორიშის ცივი წყალი  
ვამოგზავნე საჩქაროთა,  
საყვარელსა გული უწუხს,  
წამლად გვინდა ვიხმაროთა“.

58 თიხის კოკები გაავსეს  
ჩიხორიშს ცივი წყალითა,  
კაცი გზასა გაეშურა  
უსვენებლივ დღე-ღამითა.

59 თებროს ნატვრა აუსრულდა:  
„წქალსა დავლევ სამდომელსო“,  
მოიყუდა კოკით წყალი,  
„გულს ვისრულებ მწუხარესო“.

60 „ვიშ! დედავ.. თქვენ გენაცვალეთ —  
„რა კარგი ხარ ჩიხორიშო

\*) ტაძარი.

\*) საოფლე, სახადი.

\*\*) ვარდის ზეთი.



- „ხველიშაც არ გერიოსო—  
„ველარ დაგლევე გემრიელსო“!...
- 61 ყველას უკვირს: „თებროს სიტყვა  
ნეტავ თუ რასა ნიშნავსო?“  
თებრომ ყველას მოახსენა—  
„ხველიშა რევს ჩიხორიშსო“...  
62 დაიბარეს იგი კაცი:—  
„შენ რას იტყვი ხველიშასო!?!“  
მონა ფერხთ ქვეშ ჩაუვარდა,  
ევედრება დიდ ფაშასო...  
63 „გზაში მოვსვი ჩიხორიში,  
ხველიშათი შევავსეთო,  
მწყუროდა და დავაშავე,  
გთხოვთ ვეზირო შემინდეთო“...  
64 თებრო გულში ჩაიკონა  
ვეზირმა გაშმაგებულმა,  
„თებროვ სამშობლოს წაგიყვან,  
იხილო გახარებულმა!..“

## IX

- 65 შემოდგომის დილა იდგა,  
გემი მოადგა ბათომსა,  
შიგა ზის ქალი ცისკარი,  
ვეზირი ჩანგით ართობსა...  
66 აჭარა გადმოიარეს  
მესხეთს ეწვიენ ფაშასა,

ახლდათ აჭარელთ ამაღა  
აფრიალებენ დროშასა.

- 67 თებროს მშობლებს იბარებენ:—  
„მოდით და ქალი ნახეთო,  
ათასი ოქროც წაიღეთ,  
სასახლე მოუმზადეთო“...  
68 ტამალას სახლი აშენდა—  
„თებრო უნდა მობრძანდესო“.  
ვეზირი სოფელს ჰპირდება—  
ხონთქარიც თქვენ გწყალობდესო“...  
69 თებროს ნატვრა აუსრულდა  
ლაბასა ჰკრეფდა, რბიოდა,  
ჩიხორიშიც იგივე დაჰხვდა,  
ახლა აღარას სჩიოდა.  
70 ის ზამთარი არაფერი,  
წყალი გაზაფხულს იმღვრევა,  
თებროს გულიც არ მთელდება—  
ჯანი კვენესის და ირღვევა.  
71 თქვენი ჭირი რო წაიღო,  
მატურიც ზედ დაადგესო:—  
„გიყვარდა შენი სამშობლო,  
„იქ ნათელიც დაგადგესო“...\*)  
ილ. ალხაზიშვილი.

\*) ამ ლექსის განმარტება დაიბეჭდება  
შემდეგ ნომერში.

## უფროსი მებაღის ნაამბობი

## ანტ. ჩეხოვისა

ბრაფ №-ის ყვავილთა სათბუნებელში  
იაფი ვაჭრობა იყო დანიშნული. მყიდვე-  
ლები ბევრნი არა ვყოფილვართ: მე, ჩე-  
მი მებობელი—მემამულე და ერთიც ახალ-  
გაზდა კაცი, ხეტყით მოვაჭრე სოვდაგა-  
რი. ვიდრე ჩვენს მშვენიერ სავაჭროს გა-  
მოიტანდნენ და ურემზე დაუდებდნენ,

ჩვენ ვისხედით არანყერვის შესავალში და  
აქეთურ-იქითურზე ვლამაზაკობდით. აპრი-  
ლის თბილ დილას ბაღში ჯდომმა, ფრინ-  
ველთა ჟრიაბულის ყურის გდება, ტყვეო-  
ბისაგან ახლად განთავისუფლებულ ყვა-  
ვილების მზეზე ნებივრობის ყურება—მე-  
ტად სასიამოვნოა...

ყვავილების ურემზე დალაგებას ხელმძღვანელობდა თვითონ მებაღე მიხეილი, ბუტაყი \*) და პირმოპარსული, ტყავის ფილტვიანი, უსერთუკო, პატივსაცემი მოხუცი. მიხეილი ერთავად ჩუმად იყო, მაგრამ ეტყობოდა ჩვენს ლაპარაკს გულმოდგინებით ყურს უდგება და ელოდა — ახალს ხომ არაფერს ვიტყოდით. ეს მებაღე იყო ჭკვიანი, ძალიან კეთილი და ყველასაგან პატივცემული ადამიანი. არ ვიცი კი რად და სუყველას ის გერმანელი ეგონა, თუმცა მამით შვედი იყო, დედით — რუსი და მართლმადიდებელთა ეკლესიაში დაიარებოდა. მან იცოდა რუსული, შვედური, გერმანული; ბევრს კითხულობდა ამ ენებზე და. თუ გინდოდათ ძალიან გესიამოვნებინათ, უნდა მიგეცათ წასაკითხავად რამე ახალი წიგნაკი ან და გამოლაპარაკებოდით, მაგალითად, იბსენის შესახებ.

სუსტი მხარეებიც ჰქონდა მიხეილს, მაგრამ ისეთი, რომ თქმათაც არა ღირს, მაგალითად, თავის თავს ეძახდა უფროს მებაღეს, თუმცა უმცროსი არავინა ჰყვანდა; სახის გამომეტყველება მეტის-მეტე მდელიდური ჰქონდა; საწინააღმდეგოთ ნათქვამ სიტყვას არავისაგან არ მიიღებდა, მაგრამ როცა ის თვითონ დაიწყებდა ლაპარაკს, უყვარდა რო ყველას სერიოზულათ, გულმოდგინეთ მოესმინა.

— აი ეს ბიჭი მეტის მეტი არამზადა რამ არის, — სთქვა ჩემმა მეზობელმა და თითო გაიშვირა ძალიან შავგვრემან მუშისაკენ, რომელმაც ურემზე დადებული ბოჭკით წყალი გამოატარა. წარსულ კვირას ეგ გაასამართლეს ქალაქში, ცარცვაგლეჯა ბრალდებოდა; და გაამართლეს: სულით ავადმყოფად იცნეს; მაგრამ აბა

\*) ზიჰმსუქანი.

ერთი შეხედეთ როგორი ჩასქელებულია, ავადმყოფს რა უგავს?!. ამ ბოლო დროს მაინც ბევრ დამნაშავე არამზადას ამართლებენ, რადგანაც ყველა დანაშაულობას ავადმყოფობითა და აფექტებითა ხსნიან. მაგრამ ეს გამამართლებელი განაჩენები ავაზაკობის აშკარად ხელის დაფარებაა და ამ გვარი გულმოწყალება სასიკეთოს ვერაფერს გვიქადის... მოსამართლეების სწორედ ისეთი ქცევა რყვნის მასსას, ხალხს, და უჩლუნგებს სამართლიანობის გრძნობას, რადგანაც აჩვენებს ბიწიერობის დაუსჯელობას; ამიტომაც ჩვენი დროის შესახებ თამამად შეიძლება ითქვას შექსპირის სიტყვები: „ჩვენს ავსა და გახრწნილ დროში სათნოებამ შენდობა უნდა სთხოვოს ბიწიერებას“.

— ეგ მართალია, მართალი, — დაეთანხმა სოვდაგარი, — რადგანაც სამსჯავროებში ავაზაკებს ამართლებენ, ამის გამო კაცის კვლამ და ცეცხლის წაკიდებამ უფრო იმატა, თუ ჩემი არ გჯერათ, აბა ერთი გლახებსაც ჰკითხეთ!..

მებაღე მიხეილი მოტრიალდა ჩვენსკენ და სთქვა. — უნდა მოგახსენოთ ბატონებო, რო გამამართლებელ დადგენილებათ ყოველთვის აღტაცებით ვეგებები: არც ზნეობისა და არც სამართლიანობის დამმცირებლად არ მიმაჩნია; როდესაც ადგენენ „უდანაშაულო“, — დიდ სიამოვნებას ვგრძნობ ხოლმე... მაშინაც კი, როდესაც სინილისი მეუბნება, რომ დამნაშავის გამართლებით ნაფიცმა მსაჯულებმა შეცდომა ჩაიდინესო, მაშინაც კი აღტაცებაში მოვდივარ... თქვენ თვითონ გასაჯეთ, ბატონებო: თუ მსაჯულები და ნაფიცნი უფრო ფნდობიან ათამიანს, ვიდრე გამამტყუნებელ საბუთებს, ნივთიერ დამტკიცებათა და სიტყვებს, — განა ეს — რწმენა ადამიანისადმი თავისთავად მალ-

ლა არა სდგას ყველა ცხოვრებისდაგვარ მოსაზრებაზე? ეს რწმენა მისაწლომელია მხოლოდ იმ მცირეთათვის, ვისაც ესმის და ჰგრძნობს ქრისტეს.

— აზრი კარგია—მეთქი.

— მაგრამ ეს ახალი აზრი არ არის. მახსოვს, ოდესღაც, კარგა ხანი კია გასული მას შემდეგ, ამ თემაზე ერთი ლეგენდა გავიგონე. ძალიან მშვენიერი ლეგენდაა—სთქვა მებალემ და გაიღიმა. ამ ლეგენდას მეტყოდა ხოლმე განსვენებული ბებია ჩემი, მამიჩემის დედა, სამაგალითო მოხუცი იყო. ის მიამბობდა ხოლმე შევდურათ. რუსულად ისე ლამაზათ ვერ გამოვა...

მაგრამ ჩვენ ვთხოვეთ. ეამბნა და არ მორიდებოდა რუსული ენის მოუხეშაობას.

მანაც, დიდათ ნასიამოვნებმა, ძალიან მძიმეთ გააჩალა ჩიბუხი, მრისხანეთ გადახედა მუშებს და დაიწყო:

— ერთ პაწია ქალაქში დასახლდა მართოხელა და ულამაზო კაცი, გვარად ტომსონი თუ ვილსონი, აღარ მახსოვს,—მაგრამ ეგ სულ ერთია... გვარს აქ მნიშვნელობა არა აქვს. პროფესია (ხელობა) კეთილშობილური ჰქონდა: ხალხს სწამლობდა. ის მუდამ მოწყენილი იყო, ხმას თითქმის არავისა სცემდა, ლაპარაკობდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას თხოულობდა მისი პროფესია. არავისთან სტუმრად არ დაირებოდა. მისი ნაცნობობა ჩუმად თავის დაკვრაზე შორს არ მიდიოდა, სცხოვრობდა მეტად უბრალოდ, როგორც ბერი. ექიმი მეცნიერი იყო; იმ დროს კი მეცნიერები არა ჰგვანდნენ ჩვეულებრივ ადამიანებს: ისინი დღესა და ღამეს დაკვირვებასა, წიგნების კითხვასა და ავადმყოფების წამლობაში ატარებდნენ. დანარჩენ ყველაფერს კი უყურებდნენ როგორც უღირს

რასმე, და, გარდა ამისა, დროც არა ჰქონდათ, რომ მეტი ელაპარაკათ. ქალაქის მცხოვრებლებს ყველა ეს მშვენიერად ესმოდათ და ამიტომ ცდილობდნენ თავი არ მოეხეზებინათ მასთან წარა-მარა მისვლით და უბრალო ყბედობით. ისინი დიდათა მადლიერნი იყვნენ, რომ ღმერთმა ბოლოს მაინც მოუვლინათ კაცი, რომელსაც ავადმყოფების მორჩენა შეეძლო, და ამაყობდნენ, რომ იმათ ქალაქში სცხოვრობს ამისთანა შესანიშნავი ადამიანი.

— იმან ყველაფერი იცისო,—ამბობდა ხალხი ექიმზე.

მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. უნდა კიდევაც ეთქვათ: „მას ყველანი უყვარს!“ ამ კაცის მკერდს ქვეშ სცემდა საკვირველი, ანგელოზისებური გული... რაც გინდა იყოს, ქალაქის მცხოვრებნი ხომ მისთვის უცხონი იყვნენ, გარეშენი, მაგრამ ექიმს ისინი შვილებივით უყვარდა და თავის სიცოცხლესაც კი არ დაიშურებდა მათთვის. თვითონ მას ჭლეტი სჭირდა, ახველებდა, მაგრამ, როდესაც ავადმყოფთან მიიწვევდნენ ხოლმე, ავიწყდებოდა თავის ავადმყოფობა, თავს არ იზოგავდა და ხიხინ ქლოშინით აცოცდებოდა ხოლმე მთაზე, რაც გინდა რო მაღალი ყოფილიყო. ყურადღებას არ აქცევდა არც სიცხე-პაპანაქებას, არც სიცივეს, წიმიწილი და წყურვილი ავიწყდებოდა. ექიმობისათვის ფულს არ იღებდა; ამასთან ერთი ახირებულობა სჭირდა: როდესაც ავადმყოფი მოუკვდებოდა, მიცვალებულის ნათესავებთან ერთად მისდევდა კუბოს და სტიროდა.

მაღე ეს ექიმი ისეთ აუცილებელ საჭიროებად გადაექცათ, რომ მცხოვრებლები ჰკვირობდნენ, თუ წინეთ როგორა სძლებდნენ უამ ადამიანოდ... იმათ მად-

ლობას საზღვარი არა ჰქონდა; დიდი თუ პატარა, გულკეთილი თუ ავი, პატროსანი თუ არამზადა, — ერთი სიტყვით, ყველა პატივსა სცემდა ექიმს, ყველას ესმოდა მისი ფასი. ქალაქსა და მის მიდამოში არ იყო ისეთი ადამიანი, რომელიც თავის თავს ნებას მისცემდა, რო მისთვის არამც თუ ეწყენინებინა რამე, არამედ გულში გაეტარებინა ეს წყენა. როცა ექიმი საღამე მიდიოდა, თავისი ბინის კარ-ფანჯარას არასდროს არა კეტავდა, სრულიად დარწმუნებული, რომ არ მოიძებნებოდა იმისთანა ქურდი, რომელიც გაბედავდა იმის შეურაცხყოფას. როგორც ექიმს, მას ხშირად უხდებოდა შარა გზებით ტყეებსა და მთებში გავლა, სადაც აუარებელი მშიერი ხალხი დაწანწალებდა, მაგრამ არავითარ შიშს არა გრძნობდა. ერთხელ ღამე მოუხდა დაბრუნება ავადმყოფებიდან და გზაზე, ტყეში დაეცნენ ავაზაკები, მაგრამ როცა იცნეს ვინც იყო, მორიდებით ბოდიში მოიხადეს და შემდეგ საჭმელი შესთავაზეს. როდესაც ექიმისაგან გაიგეს, რომ მას საჭმელი არ ესაჭიროებოდა, მისცეს თბილი წამისასხმელი და ქალაქამდის მიაცილეს; ამასთან ბედნიერათ სთვლიდნენ. თავიანთ თავს, რომ შემთხვევა მიეცათ ცოტა რამით მაინც გადაეხადათ მადლობა ამ სულგრძელი ადამიანისთვის. ბებია იმასაც გვეუბნებოდა, რომ ცხენები, ძროხები და ძაღლებიც კი იცნობდნენ ექიმს და მასთან შეხვედრის დროს აცხადებდნენ თავიანთ სიამოვნებასო.

და აი ეს ადამიანი, რომელმაც, ვგონებ, თავის სიწმინდით უზრუნველ ჰყო თავისი თავი ყოველგვარ ბოროტებისაგან, რომლის კეთილის-მყოფელებად ითვლებოდნენ ავაზაკები და ცოფიანებიც კი... ერთ მშვენიერ დღეს მოკლული ნახეს.

სისხლში ამოსვრილი, თავ გახეთქილი ეგლო ერთ ხრამში და მკრთალ სახეზე აღბეჭდოდა გაკვირვება, დიახ! შეძრწუნება კი არა — გაკვირვება, აღებეჭდა სახეზე, როდესაც თავის წინ მკვლელი დაინახა. ეხლა თქვენ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ ის მწუხარება, რა მწუხარებაც შეიპყრობდა ქალაქისა და მის მიდამოების მცხოვრებლებს. ყველანი სასოწარკვეთილებას მიეცნენ, თვალთ ნახული არა სჯეროდათ და ეკითხებოდნენ თავიანთ თავს: ვის შეეძლო ამ ადამიანის მოკვლა? მსაჯულებმა, რომლებმაც გამოძიება მოახდინეს და ექიმის გვამი გასინჯეს, ასე სთქვეს: —, ჩვენ ყოველივე საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს კაცი მოკლულია, მაგრამ, რადგანაც ქვეყანაზე არ მოიპოვება იმისთანა კაცი, რომელიც ჩვენს ექიმს მოჰკლავდა, ამიტომ, აშკარაა, მკვლელობა აქ არ არის, მხოლოდ მოკვლის გარეგანი ნიშნების თავის მოყრა აიხსნება უბრალო შემთხვევით. უნდა ვიფიქროთ, რომ ბნელაში მომავალი ექიმი ხრამში გადავარდნილა, რასაც შედეგათ მისი სიკვდილი მოჰყოლია‘.

ამ აზრს დაეთანხმა მთელი ქალაქი. ექიმი დასაფლავეს და თითქმის აღარც არავინ ლაპარაკობდა იმის მოკვლის შესახებ. იმისთანა ადამიანის არსებობა, რომელიც იმდენათ გათახსირდებოდა, რომ ამ ექიმს მოჰკლავდა, შეუძლებლათ მიაჩნდათ. გათახსირებას ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი. ასე არაა?

მაგრამ, წარმოიდგინეთ, სრულიად შემთხვევით მიაგნეს მკვლელს. ნახეს ერთი არამზადა, რომელსაც არა ერთხელ ამოეყო თავი სატუსალოში და ცნობილი იყო თავისი გარყვნილი ცხოვრებით. ექიმის ნაქონ სათუთუნესა და საათში აღებულის ფულით იგი ერთ დღეში ქეიფობდა.. რო-

დესაც მხილება დაუწყეს—აირია და რა-  
ღაც სისულელის როშვა დაიწყო. გაუ-  
ჩხრიკეს ბინა და ლოგინში მაჯებ გასი-  
სხლიანებული ექიმის პერანგი და მისივე  
მოაქროილი ნესტარი უპოვეს. მეტი სა-  
ბუთი რაღა საჭირო იყო? ბოროტ მომ-  
ქმედი სატუსალოში ჩასვეს. მცხოვრებლე-  
ბი საშინლად იყვნენ აღელვებულები და  
იმავე დროს ამბობდნენ:

— დაუჯერებელია! შეუძლებელი!..  
ფრთხილად ვიყვნეთ, შეცდომაში არ შე-  
ვიდეთ: მოხდება ხოლმე, რომ გამამტყუ-  
ნებელი საბუთებიც არაა დასაჯერებელი.

სასამართლოში მკვლელი დაჯინებით  
უარს ჰყოფდა თავის დანაშაულს. ყველა-  
ფერი მას ამტკიცებდა. და მის დანაშაუ-  
ლობაში ადამიანის დარწმუნება ისევე  
ადვილი იყო, როგორც იმაში, რომ ეს  
მიწა შავია.

მაგრამ მსაჯულები ასე გგონია ჭკუაზე  
შეიშალნენო: თვითვეულ გამამტყუნებელ  
საბუთს ათჯერ ასწონ-დასწონიდნენ, უნ-  
დობლობით შეჰყურებდნენ მოწმეებს,  
წითლდებოდნენ, წყალსა სვამდნენ... გა-  
სამართლება დილით ადრე დაიწყეს და  
მხოლოდ საღამოთი გაათავეს.

— ბრალდებულო!—მიუბრუნდა უფ-  
როსი მსაჯული მკვლელს—სასამართლომ  
დამნაშავეთ გცნო ამა და ამ ექიმის მოკვ-  
ლაში და გადაგიწყვიტა სი.....

უფროს მსაჯულს უნდოდა ეთქვა:  
„სიკვდილით დასჯაო“; მაგრამ ხელიდგან  
გაუვარდა ის ქაღალდი, რომელზედაც  
განჩინება იყო დაწერილი, ცივი ოფლი  
მოიწმინდა და წამოიძახა:

— არა! თუ უსამართლოდ ვსჯი, დეე  
ღმერთმა მე დამსაჯოს, მაგრამ, ვფიცავ,  
ეს დამნაშავე არ არის! მე ვერ წარმო-

მიდგენია, რომ ქვეყანაზე მოიძებნებოდეს  
იმისთანა ადამიანი, რომელიც გაბედვდა  
მოეკლა ჩვენი მეგობარი ექიმი!.. ადამიანს  
არ ძალუძს ესდენ გათახსირება!

— დიახ, არ შეიძლება იყოს მაგისთანა  
ადამიანი,—დაეთანხმნენ დანარჩენი მსა-  
ჯულებიც.

— არ შეიძლება იყოს!—ბანი მისცა  
ბრბომ.—გაანთავისუფლეთ!

მკვლელი გაანთავისუფლეს და არც  
ერთ ადამიანს მსაჯულებისათვის უსამარ-  
თლობა არ უსაყვედურებია. და ღმერთმა,  
ამბობდა ბებია ჩემი, ადამიანისადმი ამის-  
თანა რწმენისათვის აპატია ცოდვები პა-  
წია ქალაქის ყველა მცხოვრებლებსაო.  
ღმერთს უხარიან, როდესაც სწამთ, რომ  
ადამიანი მისი ხატება და მსგავსებაა, და  
სწუხს თუ ხედავს, რომ ადამიანს ძალღებ  
დაბლა აყენებენ.

დეე ამ გამართლებამ ვნება მოუტანოს  
ქალაქის მცხოვრებლებს, სამაგიეროთ რა  
დიდებული მნიშვნელობა ექნება მათთვის  
ამ რწმენას **ადამიანისადმი**. რწმენას, რაც  
ტყუილა არ ჩაივლის მათთვის. ეს რწმენა  
ზრდის ჩვენში სურგრძელობას და მუდამ  
გვაქეზებს სიყვარულითა და პატივისცემით  
მოვეპყრათ ყველა ადამიანს, ყველას! ეს  
კი დიდი რამაა.

მიხეილმა გაათავა. ჩემ მეზობელს უნ-  
დოდა რაღაც საწინააღმდეგო ეთქვა, მაგ-  
რამ უფროსმა მებაღემ ხელი ჩაიქნია იმის  
ნიშნად, რომ მას არ უყვარს სიტყვის შე-  
ბრუნება.

შემდეგ მივიდა ურემთან და ამაყი სა-  
ხის გამომეტყველებით განაგრძო თავისი  
საქმე.

ივ. გომელაური.

5 დეკ. 1913 წ.

# ბედისწერა

როს დიად მზემ დედა-მიწას  
 ოქროს ცეცხლი დააფერა,  
 და ბუნება გაზაფხულმა  
 სასიცოცხლოდ ააძგერა,  
 ცად აღმართულს ჟამთა ალაშს  
 „ღღესთან—ღამე“-ც დაეწერა,—  
 ყოფნის გვერდით თვით არ ყოფნა  
 ადამის ძეს არ ეჯერა!..

... კვლავ ცის რისხვამ დედა-მიწას  
 სევდის ძაძა შეუკერა,  
 ჯაღო ყინვით ტყვე-ქმნილ წყაროს

კვნესად ექცა ტკბილი ჩქერა,  
 თვით სიკვდილის ცივმა სულთქმამ—  
 ქარმა რისხვით დაუბერა,  
 გლოვის ზარად შეიცვალა  
 სანეტარო ჩანგის ჟღერა,—  
 ... ადამის ძეს მწარე კითხვამ  
 გული ჭმუნვით დაუსერა  
 და იღუმალ ბუნების ძალს  
 მან უწოდა—„ბედის წერა“!..

ილ. გოგია.

(დ. ონი).

# კოსთივი?!

რა ლამაზად მოუღერებია იას ყელი!  
 საკმეველით ამბრის სურნელება გაუფასე-  
 ბია, თვის ცისკრის აღმასის მტვერით ხა-  
 ვერდის გული დაუფერია და იცინის ნე-  
 ტარებით...

იადონი იქვე ახლოს ჩამომჯდარა და  
 თავ დავიწყებით უსტვენს.

ის სტვენა მხოლოდ იას ესმის, ვინაი-  
 დან სხვა ყვავილთა სასმენელი ისე ნაზ-  
 მგრძნობელი არაა.

რაკ, რაკ, რაკ... ხმიანობს მთის ნაკა-  
 დი და ვერცხლის ცვრებს აპკურებს იის  
 მუქ ფოთლებს.

— რა კარგია, რა კარგი სიცოცხლე!

გენაცვალე მზევ! ცალი თვალით ნუ  
 იყურები მთის მწვერვალიდან, ამოლაჟ-  
 ლაჟდი, ამოცქრიალდი ფასკუნჯივითა:

ნაკადო, მალხაზო ნაკადო, გვერდს ნუ  
 მივლი, მომიახლოვდი, მსურს დავსტკბე  
 შენის ლუკლუკითა.

ვიშ, ვიშ, ეს რა დავინახე!!

ნაკადო, შენს სპეტაკ გულში ეს რა  
 ნაზი ყვავილი ამოსულა?!

რა მომხიბლავია!

რა წარმტაცია!

ღამისა და დილის შეყრის ჟამს შუქუ-  
 რა რომ საოცნებო სიმშვენით ჰკიაფობდა,  
 ცის ქათიბი ისეთი ლაჟვარდი არ იყო,  
 როგორც ამ ყვავილის პაწია ფურცლები.  
 მთვარის სხივებში მოკიაფე მიონის თვა-  
 ლნი ისე არ სციმციმებდნენ, როგორც  
 ამ ყვავილზე სპეკალი ცვრები.

რა ბედნიერი ხარ, ნაკადო!

ისედაც მშვენიერს-გაზღაპროსნებს მისი  
 კდებმა. ისედაც ხმა ტკბილს გამუხსიკალებს  
 იღუმალი მის ფოთოლთ რხევა.

კის, კის, კის—გადიკისკისა ნაკადმა:

რა უბრყვილოა!

თავს თავსა სკვრეტს და აოცებს მის  
 სიმშვენიერე. ეს შენა ხარ, შენ, ყვავილ-  
 თა თვალო!

ჩემმა მოსარკულ ზვირთმა შენი სახება

აღბეჭდა. ჩემ ანარეკლმა აალიგლივა შე-  
ნი მშვენების მხოლოდ აჩრდილი.

სინამდვილეში ათწილ უფრო მომხიბ-  
ლავი ხარ. შენ ხარ ასული საგათენებო  
ოცნების.

განა არ გახსოვს ცისკრის სიზმრისგან  
რომ დაიბადე? განა შენს ფირუზის აკვანს  
არ არწევდნენ მოვერცხლილი მთვარის  
სხივები?

გაცრიაგებულ ვარსკვლავთა ხომლმა  
თვისს უკანასკნელ ჰანგებისაგან ვის მოუ-  
ქარგა ტკბილი ნანინა? შენ, მხოლოდ  
შენ, გრძნების ღიმილო!

სოფლისგან გახიზნული სასოებით უყუ-  
რებდი ამ სანახაობას.

კაენით მონისლული სახე მეღიმებოდა.  
ყარიბი თვალეები მიბრწყინდებოდნენ.

სწორების გესლისაგან მოშხამული სუ-  
ლი მიაღმასდებოდა: შემოდგომის მეღან-  
ქოლურ სუნით შეწუხებულ გულში გა-  
ზაფხული ატლასის ალაშს აფრიალებდა.

გრძნობათა ქნარზე სიმებს ვჰმართავდი  
იის სამკობლად. სწორთა ხარხარით პირს  
შეყინული უნდა განმეგრძო გულის სიმ-  
ღერა...

ალარ ვჰშიშობდი ხვაშიადის გამჟღავ-  
ნებას... შორს, შორს ვიყავი გულ-  
ღრტუ\*). სწორთაგან ქნარიც მოვჰმართე.  
ის იყო სიმნი უნდა ამემეტყველებინა,  
რომ...

კვნესა მცსმა...

შევეჰკრთი...

გამაჟრჟოლა...

ქნარმა განწირვით ჩაიჭვითქვითა...

მწუხარებისგან თავის თავად დასწყუ-  
დნენ სიმები.

იას, პაწაწა იას ორი ფოთოლი ჩამოჰ-  
ვარდნოდა:

\*) ღრტუ — ავი, ბოროტი.

ჰთროთოდა...

სცახცახებდა...

თითქოს შიშველს მახვილს ერიდებოდა.  
საბრალო ია!

რად დასცვივდნენ ფოთლები?

ხომ არვინ მიჰკარებია!

ღილის ქათქათი ხომ სარტყლად ჰქონ-  
და შემოვლელი... ნაკადი და იადონი  
ხომ ჰგუშავდნენ ყოველ წამისად...  
მეც ხომ მისთვის წამწამებს ვასარებდი. \*)

ფაქიზი გრძნობის ცრემლებით ვჰრწყა-  
ვდი...

ჩვენმა ვალაღმა ია შეარხია და... ზე-  
დი-ზედ ჩამოსცვივდნენ დანარჩენი ფო-  
თოლნიც...

აღსრულდა...

ჩაჰქრა იის ღიმილი...

ფოთლნი კი ჯერ ისევ საუცხოო სუ-  
რნელს აკმევდნენ. იგინი ჯერ ისევ ნო-  
რჩნი იყვნენ... მოხასხასენი...

მაშ რად დასცვივდნენ?

მივჰხვდი, ოჰ, მივჰხვდი...

ყოველ სრულების სახიერება შეიცავს  
რღვევას. ჰარმონიაში ჰთროთიან ნოტები  
ღისჰარმონიის.

იის შლილობას, სურნელოვნობას სიკ-  
ვდილის ლანდიც თან სდევნებია...

\* \*

ნაკადის გაღმა, ხშირ ბუჩქნარებში  
თვალი მოვჰკარი ვარდის კოკორსა. შე-  
მოხვეული მწვანედ მოხასხასე ფოთლები  
გაეპო, იავუნდის ტურები გამოეჩინა და  
შესთხოვდა მთელის სიმშვენიით გადაფურ-  
ჩქენას...

საბრალო!

რისთვის შესთხოვდა?!

დ. თურდოსპირელი.

\*) სანი — მძაღლ ყვავილების დასამაგრებე-  
ლი ჯახხი, ჭიგო.


# გაზაფხული

ჩუ, გაირღვა ცის კიღური,  
ზეცას დაჰკრეს ტკბილად ზარი,  
მზე გამოჩნდა მოციმციმე  
გაანათა მთა და ბარი.

\* \* \*  
ოქროს სხივი სტყორცნა ყინულს,  
წყლათ აქცია ზამთრის შვილი,  
სიკვდილისგან გამოიხსნა  
ეს ქვეყანა,—ტყვეთა ქმნილი.

\* \* \*  
სულ გაცოცხლდა არე-მარე,  
ფრინველებმაც იწყეს სტვენა,  
და ზამთრისგან დამწუხრებულთ  
გაგვაგონეს ტკბილი ენა.

\* \* \*  
მზე კაშკაშებს აღმოსავლით,  
სხივებს ისვრის, აქრობს წყვდიადს,  
მოდის, მოდის გაზაფხულო,  
დღეს მოველით ნათელს, დიადს.  
ლ. ძიძიგური.



## ჩემი ლექსი

ჩემი ლექსი ხან ცრემლია  
ქუთუთოზე გამოზდილი,  
ხან მედგარი ბრძოლის მოყმე  
პრისხანე და მასთან ტკბილი;  
ხან ამოა მოსალხენად,  
ხან მშვილდისრობს შხამით მწვავე,  
ხან ნაზია, ვით ქალწული.  
ტბის წიაღში მობანავე...  
მას ვერ აკრთობს ვერც სტიქია  
ბრძოლის ხმაზე ანამქუხრი,  
ვერცქსისხლის ღვრა ბრძოლის ველზე,  
ვერც ბინდისას შავი მწუხრი!

მხოლოდ დედის მწველ ქვითინზე  
თუ შეჰკრთება მისი სული,  
თორემ კვლავ ჰქუხს, ჰსკექს და გვრგვინავს  
ციურ ცეცხლით ანთებული!..  
ჩემი ლექსი სიტურფეა,  
სისპეტაკით მას რაღა სჯობს?  
ხან აღელვებს ოკეანეს,  
ხან სამშობლოს დასდარაჯობს...  
ჩემი ლექსი მალამოა  
იგი ჰკურნავს ტანჯულთ წყლულებს,  
უკვდავია სამარადოდ,  
რადგან ზეცა ასულდგმულებს!..

გ. ლეონიძე.





# საბათი

## I

მყუდროებით მოცულ ოთახში გაისმის მხოლოდ შენი ზომიერ—განუწყვეტელი: „ტიკ“-„ტაკ“, „ტიკ“-„ტაკ“,—და მეც იღუმლად გეპასუხები: „მადლი შენს მომგონს, საათო!“ „დღე და ღამ შეუსვენებლივ მუშაობ; აღნიშნავ ყველასათვის საჭირო დროს, თუ კი მოგხედეს და თავის დროზე მოგმართეს,—რომ არ დაგეკარგოს ძალა მოქმედებისა“.

ავიღოთ თუნდ, ელექტრონი. ელექტრონი ხომ თვით არის ძალა, მაგრამ, იკურთხოს იმის მარჯვენა, ვინც ის სასარგებლო ჰყო —თორემ თავისით ის ძალაც ვერას იქმნოდა სასარგებლოს. ადამიანს კი ჩვენში, თუ რამ შემოქმედებითი ნიჭი შესწევს, უმეტეს ნაწილად უკარგვენ ხალისს,—არამც თუ ცდილობენ შემატონ ენერჯია—ძალა მოქმედებისა.

## II

სატრფოს გვერდით მყოფს, შენი „ტიკ“-„ტაკ“, „ტიკ“-„ტაკ“ აღარ მასვენებს... არა, ახლა მტრია შენი გულმოდგინე მუშაობა ჩემთვის... მყუდროდ, მარტო მყოფს ოთახში, როცა გარემო ძილით იყო მოცული, მე შენ მესაუბრებოდი თითქო, აფხიზლებდი ჩემს გონებას და დავლოცე შენი მომგონი და ის ძალა, რომელიც შენ გამოქმედებს!

მაგრამ ახლა კი, როდესაც მოუსვენრად მეტიკტიკები და შაგონებ, საცაა დადგება დრო შენი—სატრფოსთან განშორებისაო; გეპასუხები იღუმლადვე: წყეულიმც

იყავ, რომ არ ჩუმდები!.. მე არა მსურს ახლა დრო-ჟამის აღნიშვნა ამ წუთს—ჩემს სატრფოსთან ახლოს ყოფნით ბედნიერს! შენ კი, არ ისვენებ და დაუნდობლად ვეკამათები: „დროა განშორდეთ, შუა ღამე გადავიდაო“. თუ არ შენი განუწყვეტელი ჩახჩახი, იქნებ გათენებამდინაც არ შეგვეტყო თუ რა დრო არი; მაგრამ ახლა კი... შენ მართმევ ძალაუნებურად, სატრფოს გულის ყურს... შენც შემოგცქერის კითხვის ნიშნად „განა დროა ჩემი წასვლისო?!“

## III

ასეთია ჩვენი ცხოვრება... რაგინდ სასარგებლო იყოს ადამიანი, თუნდ, რაძ საგანი; ზოგჯერ მავნებელი ხდება,—ძალას ბოროტად ხმარობს...

თუმცა, შენ ხომ თვით არ გესმის როდის ასიამოვნებ მათ, ვისთვისაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენ, და როდის აწყეინებ; შენ-შენდა უნებლიედ მოქმედებ,—ამიტომ უსარგებლოცაა და მეტიც შენთან ამაზე კამათი, მაგრამ... სავალალოა ის, რომ, ადამიანი—აზრიანი, რომელსაც შეგნებული აქვს თუ რას მოქმედებს,—ზოგჯერ იმდენად მძვინვარეა, რომ მოძმეს სჩაგრავეს,—მხოლოდ იმისთვის, რომ გამოიჩინოს თვისი ძალა... და თუ ეწვია მას შური,—წვრილმანური „შენ-ჩემობა“, სძლევს ხოლმე იმის გარეგნულ ქველობას“, და ნეტარებას გრძნობს მასში, რომ შეუხუთოს სული—წაამწაროს მათ, ვისაც ნეტარება უგრძნია—თუნდ ხან-მოკლე, წუთიერი...


**გულგატეხილი.**

# სახალხო განათლების მოღვაწენი

II

## ნინო შარაშიძისა

ნინო ათანასე ჭიქოძის ასული შარა-  
შიძისა დაიბადა ს. ბახვში 1855 წ. 15



ნინო შარაშიძისა.

იანვარს. მამა მისი, ათანასე, იყო სულ-  
მნათი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის  
ძმა. იგი იყო მეტად ნიჭიერი და გამჭრი-  
ახი გონების პატრონი. მის შესახებ ეპის-  
კოპოსი გაბრიელი ამბობდა: „ათანასეს  
რომ სწავლა მიეღო, ჩემზე მეტად მცოდ-  
ნე და სასარგებლო კაცი იქნებოდაო.“  
სწავლის წყურვილი ისე დიდი ქონდა  
ათანასეს, რომ 20—21 წლის კაბუკმა,  
უკვე ცოლიანმა, გადასწყვიტა თფილისის  
სასულიერო სემინარიაში შესულიყო. შე-  
ვიდა კიდევ, მაგრამ მალე გაუგეს, რომ

ის ცოლიანი იყო და სემინარიიდან და-  
ითხოვეს. ის იძულებული გახდა სოფლის  
მღვდლათ კურთხეულიყო. მის ოჯახში  
მოიპოვებოდა თითქმის ყველა იმ დროინ-  
დელი ჟურნალ-გაზეთი, ბელეტრისტული  
და ისტორიული თხზულებანი, მამა ათა-  
ნასე შემოიკრებდა ხოლმე თავის მეზობ-  
ლებს და უკითხავდა წიგნებს. ათანასეს  
ჰყავდა რვა შვილი, ხუთი ვაჟი და სამი  
ქალი, რომელთაგან ნინო ყველას უმც-  
როსი იყო. სწავლის წყურვილით ისე  
გატაცებული ადამიანი, როგორც ათა-  
ნასე იყო, რა თქმა უნდა, შვილებს უს-  
უსწავლელთ არ დასტოვებდა, ძნელი იყო  
იმ დროს ყმაწვილის აღზრდა. მართო  
ერთი გურიიდან თფილისს მზავრობა რა-  
და ღირდა! გურიიდან თფილისამდი იმ  
დროს თუთხმეტ დღეს უნდებოდენ. ვინც  
იქ გაემგზავრებოდა, ტირილითა და ვაი-  
ვიშით ცოლ-შვილს ეთხოვებოდა, უკან  
დაბრუნების იმედი არა ჰქონდა. მიუხე-  
დავით ასეთი სიძნელისა მ. ათანასემ ორი  
უფროსი შვილი, 10—12 წლისანი თფი-  
ლისს, სასულიერო სემინარიაში გაისტუმ-  
რა. უმცროსი სემინარიაშივე ყვავილმა  
იმსხვერპლა, უფროსმა კი, მიხეილმა, სე-  
მინარია ჩინებულათ დაასრულა და შემ-  
დეგ კიევის სასულიერო აკადემია. ეს მე-  
ტად სპეტაკი ზნეობის ადამიანი დიდი  
მეგობარი იყო გაბრიელ ეპისკოპოსის და  
მისი მაღალი იდეების თანამოზიარე. და-  
ბრუნდა თუ არა მიხეილი რუსეთიდან,  
მან იკისრა უმცროსი ძმებისა და დების  
პატრონობა. მაშინ ნინო ასე 8—9 წლი-

სა იქნებოდა. ქართული წერა-კითხვა მას პატარაობაშივე მამისაგან ჰქონდა ნასწავლი. ხუცური ისე კარგათ იცოდა, რომ ხშირათ ეხმარებოდა მამას ეკლესიაში: კითხულობდა სამოციქულოს, დავითნს, ლოცვანს...

თავის „ყმაწვილობის მოგონებაში“ \*) ნინო ასე აგვიწერს, თუ როგორ ისწავლა მან რუსული წერა-კითხვა: „მე იმ დროს მამაჩემი დიდი მცოდნე კაცი მეგონა და ვერ წარმომედგინა, თუ რუსული ენაც მან ძლიერ კარგათ არ იცოდა. 7—8 წლისა ვიქნებოდი, რომ ერთ საღამოს აუტყდი მამას უსათუოდ რუსული წერა-კითხვაც მასწავლე მეთქი. მეორე დღესვე მიყიდა მან იმ დროს ძალიან გავრცელებული ქართულ-რუსული ანბანი— „Букварь“ ისარლიშვილისა. ამ ანბანში ერთ გვერდზე რომ ქართული ასოები იყო, მეორეზე რუსული მიყვებოდა, შემდეგ—ამოსაღები (склады), მერე ლოცვები: მარცხენა გვერდზე ქართული ტექსტი, მარჯვენაზე—რუსული. ასეთი დაწყობილობა ძალიან უადვილებდა ქართული კითხვის კარგად მცოდნე ბავშვს რუსული კითხვის დასწავლას. ამიტომაც ერთ საღამოს უკვე დამასწავლა მამამ რუსული კითხვა. მეორე საღამოს ლოცვების კითხვაზე მიმაყენა. წინდაწინ ამიხსნა, რომ რუსებისა და ჩვენი სჯული ერთი და იგივეა, ლოცვებიც ქართული და რუსული ერთი შინაარსიანია და, რაც ქართულ „მამა ჩვენო“-ში სიტყვებია, რუსულშიაც სწორეთ იგივეა. ამას შემდეგ თითოეული სიტყვა ქართულ „მამაო ჩვენო“-სი დაუ-

\*) ამ ბიოგრაფიის შედგენას დროს ვსარგებლობ ხსენებული „მოგონებით“, რომელიც ჩემი თხოვნით ქ-მამ ნინომ დამითმო.

პირდაპირე რუსულს და დიდი ხალისით ჩავედი იქამდი, სადაც რუსულში ეწერა სიტყვა: „ЯКО“. ამ სიტყვამ ძალიან გამაკვირვა და გატაცებულმა მამას მივმართე: „შენ რომ მეუბნებოდი, რუსული და ჩვენებური „მამაო ჩვენო“ ერთიანო, ქართულში ხომ იაკობი არაა, რუსულში კი ყოფილა აი ვილაც იაკობი—რატომ?

ამან დიდი სიცილი გამოიწვია და ძლივს დამარწმუნა, რომ „ЯКО“ ნიშნავს „ვითარცა“-ს...

თუ ერთი სიტყვის გაუგებრობამ ამდენი მწუხარება მომაყენა, ადვილათ წარმოსადგენია, რა ტანჯვა-წამებას განიცდიან და რანაირად იჩლუნებებიან გონებით ახლანდელი ჩვენი ბავშვები, როცა ქართული ენის დაუხმარებლათ რუსულ ენას სწავლობენ და ლოცვებს იზეპირებენ“!

პირველ ორ წელიწადს, შობა-აღდგომის დღესასწაულებზე და ზაფხულობით მიხეილი თვითონ ასწავლიდა თავის პატარა დას, ნინოს. იმ დროს ქუთაისში არსებობდა ოთხ კლასიანი საქალო სასწავლებელი „ზავედენიე“, მაგრამ მიხეილს არ მოსწონდა ეს სასწავლებელი და არ ისურვა თავისი დის იქ მიბარება. რადგან სხვა გზა არ იყო, ძმამ მიაბარა ნინო იმ დროს ქუთაისში „განათლებულ“ ოჯახათ ცნობილ ერთ რუსის ოჯახში, სადაც ის დარჩა 16 წლამდინ. „ამ ოჯახში—ვკითხულობთ ჩვენ „მოგონებაში“—ჩემი სწავლა-აღზრდა არაფერ სახარბიელოს არ წარმოადგენდა. ჩემი მასწავლებელი იყო მეტად უხასიათო, თავნება, მიზეზიანი და ძლიერ წვრილმანი ხასიათის ქალი. სწავლება სრულიად არ ეხერხებოდა და არც სწამდა, რომ ქალისთვის სწავლა საჭირო ყოფილიყო. ძალიან აგდებულათ და უგულოთ მასწავლიდა. ყოველ ჩემს ბავშვურ

ცნობის მოყვარეობას მიხზავდა შეუფერებელისა და უფიცი პასუხის მოცემით. ისეთ რასმე მასწავლიდა, რაც მე ძალიან ნაკლებათ მეხერხებოდა; ჭრა-კერვას, ქსოვას და იმასაც სუსტათ და ზერელე. ამ ოჯახში მე შევიძინე მხოლოდ რუსული ენის პრაქტიკული ცოდნა, ამ ენაზე ლაპარაკი. ამ ოჯახში ყოფნის დროიდან ერთადერთ სასიამოვნო მოსაგონათ ჩემთვის შეიქნა ის, რომ შემთხვევა მომეცა მენახა ქალაქი ადესა. ჩემი მასწავლებელი ქ. ადესიდან იყო და ყოველ ზაფხულს მიდიოდა იქ. ერთ ამ წასვლის დროს ჩემს ძმას ვსთხოვე ადესაში გავეშვი. მან მაშინვე სთხოვა. ჩემს მასწავლებელს და სახარჯო ფულიც მისცა“.

ქალაქ ადესისა და სხვა უცნობი ადგილების ნახვამ ნინო მეტად ასიამოვნა, მარა ეს სიამოვნება მალე ძთლად ჩაუშხამა მისმა მასწავლებელმა. იმ ზაფხულს ადესაში ჩამოსულან ნინოს მასწავლებლის ძმა პეტერბ. ფიზიკური აბსერვატორიის უფროსი და ბიძაშვილი, სტუდენტი, შემდეგში ცნობილი ჟურნალისტი და ჟურნალ „ГЕДНАЯ“-ს რედაქტორი ვასილ გაიდებუროვი. მასწავლებლის ძმა ფრანგულ ენას ასწავლიდა თავის უმცროს და-ძმათ. ნინოსაც დიდი სურვილი ადებრა ფრანგული ენის სწავლისა. ეს შეატყო მისი მასწავლებლის ძმამ და ნინოს უთხრა: ჩემს დასა სთხოვე ნება მოგცეს და მე უფასოთ გასწავლიო. ნინოს საუბედუროთ ერთ დავის დროს, რაც და-ძმას შორის ხშირათ ხდებოდა, ისინი ისე წაიჩხუბნენ, რომ დაეუბრენ კადეც ერთმანეთს. ბევრი ემუდარა ნინო თავის გულქვა მასწავლებელს, მაგრამ ის არას გზით არ დათანხმდა. „რაც შენთვის საჭიროა, მეც გასწავლი, ფრანგული კი შენთვის არაფერი საჭიროა. მე ნებას არ მოგცემ რომ ჩემმა

მტერმა შენ გასწავლოსო“. ამის შემდეგ ნინო ძლიერ ავათ გახდა და ოც დღეს ლოგინიდან არ წამომდგარა.

ნინო 17 წლისა იყო, როცა მასზე ჯვარი დაიწერა იმ დროს ცნობილმა მოღვაწემ პედაგოგმა, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა, გერასიმე სიმონის ძე კალანდარიშვილმა. მაგრამ ეს ქორწინება მეტად ხანმოკლე გამოდგა, მეორე წლის გასულს გერასიმე გარდაიცვალა და ნინო იმავე წელს მასწავლებლათ მიიწვია ქ. ახალციხეში იმ დროს საუკეთესო მოღვაწე ქალმა, ანნა ბესარიონ ლოლობერიძის ასულმა მუსხელიშვილისამ (ნიკოლოზ ლოლობერიძის დამ), რომელსაც ერთი წლით ადრე იქ დაეარსებინა უფასო საქალო სასწავლებელი. ნინომ ამ თხოვნაზე მუსხელიშვილის ქალს უარი შეუთვალა: „მე იმდენათ მოუმზადებლათ ვგრძნობ ჩემს თავს, რომ ვერ ვბედავ მასწავლებლის მძიმე და პასუხსაგებ მოვალეობის ხელის მოკიდებასო“. მაგრამ ლოლობერიძის ქალი დაჟინებით სთხოვდა, რომ დათანხმებულიყო. ნინოც დათანხმდა, მაგრამ იმ პირობით, რომ ანნა მას დახმარებოდა და ხელმძღვანელობა გაეწია. დათანხმდა მხოლოდ ერთი წლით სასინჯათ. თუ გამოდგებოდა, მასწავლებლათ დარჩებოდა, თუ არა და მასწავლებლობისათვის თავი უნდა გაენებებინა და სხვა რამე ხელობა შეესწავლა. თავისი ძმების ყოფილი მასწავლებლის, მიხეილის და აწ განსვენებულის მოსეს დახმარებით და მუსხელიშვილის ქალის ხელმძღვანელობით ნინომ საქმე ჩინებულათ წაიყვანა და გადასწყვიტა სამუდამოდ მასწავლებლის უღელში შებმა. 1874 წლის პირველ ენკენისთვიდან დაიწყო მან მასწავლებლობა ახალციხის საქალო სკოლაში, სადაც ორ წელს მასწავლებლობდა და შემდეგ თავი-

სი ბიძის, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სურვილით გადავიდა გურიაში, ს. ბახეში, გაბრიელის სამშობლო სოფელში მის მიერ დაარსებულ სკოლაში. ამ სკოლაში მუშაობა მაშინ მეტად ძნელი საქმე იყო. იმ დროს გურიაში სკოლა ძლიერ ცოტა იყო, სწავლის წყურვილი კი ხალხში იმ თავითვე მეტად დიდი სუფევდა.

სკოლას სწავლის მსურველი ასობით და ორასობით აწყდებოდა. ცოტათი რომ მაინც დაეკმაყოფილებინათ სწავლის მსურველნი, იძულებულნი იყვნენ თითოეულ მასწავლებელს ასი ბავშვისათვის ესწავლებინა. ხშირათ პირველ განყოფილებაში ასზე მეტი მოსწავლეც იყო. აი ეს განყოფილება, რომლის მოვლა-სწავლება მასწავლებლის დიდ უნარსა და მოთმინებას ითხოვდა, თითქმის მუდამ ნინოს ხელში იყო.

მართლაც დიდი მოთმინება და საქმის სიყვარულია საჭირო, რომ 80—100 სრულიად მოუმზადებელსა და უცოდინარ სოფლის ბავშვს ერთმა მასწავლებელმა თავი გაართვას, ადამიანებს დაამსგავსოს, სწავლაში წაახალისოს და წერა-კითხვა დაასწავლოს. მაგრამ ერთგულებასა და საქმის სიყვარულს ყველაფერი შეუძლიან და ნინოს შეგირდებიც შედარებით ყოველთვის ბევრს ასწრობდნენ. როცა გაკვირვებული მნახველი ნინოს ჰკითხავდა: როგორ ახერხებთ ამ ბრბოს მოვლას და თან რისამე სწავლებასო, ის მხიარულათ უპასუხებდა: „მე ჩემებურათ ვასწავლი, უფრო ვართობ ბავშვებს, ვიდრე გაკვეთილებს ვაძლევ: ვათამაშებ, ზღაპრებსა და მოთხრობებს ვუკითხავ და მოვაცოლებ, სურათებს ვაჩვენებ, გამოცანებს ვათქმევინებ“.

მართლაც და თავისებურათ ასწავლიდა ნინო. მისი კლასი უფრო საყმაწვილო ბაღს წააგავდა, ვიდრე შაბლონურ კალაპოტში ჩასმულ ჩვეულებრივ მაშინდელ

კლასებს. ჩვეულებრივ დისციპლინასაც მის კლასში ნაკლები ყურადღება ექცეოდა, მისი ბავშვები მუდამ თავისუფლათ გრძობდნენ თავს. ჩვენს სკოლებში გამეფებული წესი მას იმდენათ არა სწამდა, რომ, მაგალითად, დახაზულ რვეულში წერის წინააღმდეგი იყო და საანბანო კლასის ბავშვებს თავიდანვე უხაზო რვეულებში აჩვენებდა წერას. ასეთ რვეულებში კიდევაც სწერდნენ, კიდევაც ხატავდნენ, რის დახატვასაც კი მოახერხებდნენ, იქვე სწავლობდნენ ციფირების წერასა და ანგარიშს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სწორეთ ასეთი „თავისუფალი“ წერა შემდეგ შემოიღეს მოსკოვის საქალაქო სამაგალითო სკოლებში. ნინოს ძლიერ ესამოვნა, როცა ასეთი „თავისუფალი“ წერის ნიმუშები ნახა დაბეჭდილი СВОЕДОНОЕ ВОСПИТАНИЕ“-ს ნომრებში. იქაც ბავშვის ყველა ნამუშავარი ერთ რვეულში იყო მოთავსებული: ნაწერი, ნახატი და ანგარიში, სწორეთ ისე, როგორც ნინოს შეგირდების რვეულებში. რუსული საუკეთესო ჟურნალი „СВОЕ. ВОСП.“ ძალიან იწონებდა მოსკოვის სკოლებში შემოდებულ ამ „თავისუფალ“ წერას.

ჩვენდა სამარცხვინოდ ზოგიერთ სკოლაში დღესაც გაბატონებულია ცემა-ტყეპა, ნინო კი იმ თავითვე დიდი წინააღმდეგი იყო ყმაწვილების ფიზიკურად დასჯისა. მას არა სწამდა, რომ ცემითა და სისასტიკით ყმაწვილმა სწავლა შეიყვაროს. პირიქით, მარტო მშვიდობიანა და ალერსიანი მოპყრობა მიაჩნდა მას სწავლებაში უმთავრეს იარაღათ.

გურიაში ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს იქაურმა ციებამ (МАЯРІЯ) ისე ცუდათ იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე, რომ ექიმების რჩევით იძულებული გახდა მის საყვარელ ბახვის სკოლას მოშორებოდა


და საცხოვრებლად უფრო სულ ჰავიანი ადგილი მოეძებნა. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა ის მაინც ხელს არ უშვებს თავის საყვარელ საქმეს და 1906 წელს ქ. მარიამ არჩილ ჩხეიძის ასულთან ერთად დ. ჭიათურაში ხსნის პირველ-დაწყებით საქლო სკოლას, რომელიც შემდეგ პროგიმნაზიით გადაკეთდა. ჭიათურაში ნინომ ხუთ წელს კიდევ იმასწავლებლა და 37 წლის შეუწყვეტელ მუშაობის შემდეგ დიდი შრომით დაღალუღმა 1911 წელს მასწავლებლობას თავი დაანება.

ნინოს ხასიათის ძირითად თვისებას შეადგენდა ბავშვების წრფელი, უზომო სიყვარული. აი ეს სიყვარული იყო ის დაუშრეტელი წყარო, რომელიც აძლევდა ძალასა და მოთმინებას მის აუტანელ მძიმე შრომაში. მისი ხასიათის უმთავრეს თვისებას შეადგენს აგრეთვე სრული უანგარობა. პირადი ინტერესის მიხედვით მოქმედებას ნინოს ვერავინ დასწამებს. ამ მხრით ის ხშირად უკიდურესობაშიც ვარდებოდა. ის თავის თავს ივიწყებდა, ოღონდ ცოტაოდენი სარგებლობა ვისმესთვის მოეტანა. ჩვენებური ანდაზა—სხვის შვილს აჭამე—შენსას შეერგებაო—ეს ნინოს დევიზი იყო. თავის მცირე ჯამაგირიდან ის მატერიალურ დახმარებას უწევდა ნიჭიერ ყმაწვილებს და სწავლას აგრძელებინებდა. აგრეთვე დახმარებას აძლევდა ღარიბ ავადმყოფებს ქინისა თუ სხვა წამლებით.

თავის პირად მოვალეობის გარდა ნინო. ენერგიულ მონაწილეობას იღებდა ყოველ საკეთილო საქმეში. იგი საღამოობით უკითხავდა გლეხებს სხვა და სხვა წიგნებს; სთარგმნიდა სახალხო და საყმაწვილო წიგნებს; მონაწილეობას იღებდა სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში; 1876—7 წლებში გაზ. „ივერიის“ კორესპონდენტათ იყო. აგრეთვე დიდი შრომა მიუძღვის მას გურიაში მეაბრეშუმეობის გავრცელებაში. როცა გურიაში პირველათ შემოვიდა პასტერის სისტემით გარჩეული ცულუღია-რული გრენა, ნინომ სპეციალურათ შეისწავლა აბრეშუმის ჭიის წესიერი მოვლა და გაიჩინა თავის სკოლაში სამაგალითო საყაჭე, სადაც თავის პატარა მოსწავლე ქალებს და მათ დედებს ასწავლიდა აბრეშუმის ჭიის მოვლას. მან შეისწავლა აგრეთვე მიკროსკოპით პასტერის სისტემით გრენის (თესლის) დამზადება და თავის დამზადებულ გრენას ურიგებდა სოფელში დედაკაცებს. მან შეადგინა წიგნაკი „ყაჭის მოვლა“, რომელიც თბილისის სამეურნეო გამოფენაზე მოწონებულ იქნა და მის ავტორს ჯილდო მიეცა. ეს წიგნაკი ორჯერ გამოიცა.

დღესაც ეს აძლენი ხნის ნაჯაფ-ნაშრომი, თითქმის სამოცი წლის მოხუცი, გულხელ დაკრეფილი არა ზის. საოჯახო საქმეების გარდა ის მხურვალე მონაწილეობას იღებს ჟურნალ „სასოფლო გაზეთში“, რომლის დაარსებიდანვე ერთი მთავარი თანამშრომელთაგანია.

ნარინი.



# თავ. გრიგოლ ორბელიანი

და

რომანტიული მიმართულება ქართულს ჰოეზიაში.

(გუბდენი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს თავ. კ. ნ. აფხაზს)

(გაგრძელება)

**რომანტიული ეროვნება.** პიროვნების თვითშეგნების განვითარებამ გამოიწვია ერთგულად თვითშეგნების განვითარებაც. პიროვნების საკითხის განმარტებამ გამოაკვია, თუ როგორ უნდა ეპრობოდექ ადამიანი უახლოეს წრეს, ერს, კაცობრიობას... როგორც თითოეულს პირს აქვს უფლებანი აწესებობისა და განვითარებისა, ისე თითოეულს ერს აქვს სხეულებრივი და სულიერი განვითარების უფლებანი: თითოეული ერთი არის ინდივიდუუმი, პიროვნება სხვა ერთა შორის... აქედან გაჩნდა თავისებური კულტი ერისა... ეს კია, რომ ნემეცთა რომანტიკოსნი უფრო დიდს უკადლებას აქცევენ „ძლიერ ერთა“ კულტს, — რომელნიც მათს აზრით ჰქმნიან ასტრონიას... მაგრამ ასეთი მათი აზრი, ჩვენის ფიქრით, შემცდარია... მათის აზრით გამოდის, რომ ბურთი და მოედანი ძლიერ ერებს რჩებათ, რომელთაც უნდა ჩაუღაპონ, შთანთქან გაუმაძღარს მუცელში სუსტი ერები. ეს მხარე მათის სწავლისა არაა კაცთმოყვარული; იგი გამოწვეულია ნემეც მწერალთა ნემეცების შესახებ გაზვიადებული წარმოდგენის მიერ... მაგრამ ჩამდვილათ სრული პოლიტიკური და ეროვნული თანასწორობა ყველა ერთა -- უნდა შეადგენდეს კაცობრიობის გონების მისწრაფებათა საბოლოო სანატრიონს:

„... სისხლის ღვრახე  
ჰფიქრობს დღემდის კაცად-კაცი,  
და, გვირგვინი ქმნილებისა  
ჯერეთ კიდევ არის მხეცი...  
მაგრამ თავის თავის დაცვა

წესი არის ბუნებისა:  
გიჟის მეტსა ყველას ხიბლავს  
სხივი თავისუფლებისა!!  
და რადგანაც ბრუნდათ ესმის  
ბევრს ეს წესი ბუნებისა,  
ამის გამო დღეს ბატონობს  
მცნება სუსტის დაჩაგვრისა.  
ნუ თუ სოფლად კაცის სისხლი  
მუდამ უნდა იღვრებოდეს,  
და უძლური ძლიერისგან  
უღვთოდ დაიტანჯებოდეს?!  
მაგრამ სხვისა ჩაგვრის მცნების  
სუფევაა წარმავალი,  
და ეკუთვნის დღეს დაჩაგვრულს  
სიმართლესა მომავალი,  
მომავალი, ოღეს იგი  
ქვეყანაზე გაეფდება  
და დაჩაგვრავს ბოროტს ისე,  
ვით დღეს თვითონ იჩაგრება.  
მაშინ ცხოვრების დროსაზე  
ეს სიტყვები ეწერება:  
„ძლიერს ღონით აღარა აქვს  
თვისზე სუსტის ჩაგვრის ნება \*“.

ზოგიერთს შეცნოეს არ მოსწონდა კულტი ძლიერ ერებისა. გერდერი პირდაპირ ამბობს, რომ ყველა ერებს თანასწორი უფლებანი აქვსთ... ის ჰპოება სულიერს სიმშვენიერეს ყველა ერებში, ყველა ენებზე, ყველა სახალხო კადმორეცემში. ის ბრძნულად ამბობდა: ყოველს ერს შეუძლიან თვისი წვლილი შეიტანოს კაცობრიობის სულიერს სადარბაში, — და ამის გამო ყოველი საღვთო შემოქმედება ჩვენის მხრით დიდი თანაგრძობის

\*) „კვალი 1895 წ. № 43. ილ. ჩხ—პირელი.

დიხსი უნდა იყოს. გერდერის აზრით „მთელი კაცობრიობა წარმოადგენს დიდს ქნარს, რომელიც ხელში უპყრია დიადს ხელოვანს; თითოეული ერი ამ ქნარის თავისებური ხმის გამომცემი სიმია,—და ყველანი გამოსცემენ საერთოდ ჰარმონიულად შეზავებულს ხმას“... როგორც გერმანიაში, ისე საფრანგეთში ინგლისში, და რუსეთშიც რომანტიკოსები აღმერთებდნენ წარსულს... მაგრამ წარსულისადმი ასეთი ტრფობა სრულიად არ ნიშნავდა უკანხევას და წინსვლის უარყოფას. რომანტიკოსებს სურდათ თანამედროვე ერგუნულს სხეულში შთაებრათ ძლიერი სული ხალხოსნობისა და ამის ხელი შეეწყობათ ერის გაძლიერებისათვის. რომანტიკოსები თავისი ერის ისტორიული ცხოვრების შუაგულში თხრიდნენ დრმა ჭას იმ იმედით, რომ წინაწლებდნენ ცხოველყოფილს წყაროს, რომლიდანაც შესაძლებელი გამხდარიყო ცხოვრების სულის ამოღება.

რომანტიული საერთო საკაცობრიო მოძღვრება. რომანტიკოსთა მოძღვრებით კაცობრიობის ისტორიაში დადგება ისეთი დრო, როდესაც განხორციელდება დაუსრულებელი იდეალი, როდესაც სიმართლე სძლიებს ბოროტებას... ამ ხანას უახლოვდებით თითოეულ პირის და თითოეულ კერძო ერის განვითარების შედეგით. ჯერ კიდევ ფილოსოფოსი კანტი ოცნებობდა ისეთი მომავალი საზოგადოების შესახებ, რომლის წევრნი დასტებებიან ადამიანის ყველა უფლების განხორციელების შედეგით. ფიხტეს აზრით დადგება ისეთი ხანა, როდესაც პირივეებს ექნება უფლები სახსარი თავისუფალი თვითგანვითარებისათვის. შელლინგიც იმ აზრის იყო, რომ ოდესმე იდეალური და რეალური მოვლენანი გაერთდებიან, შესისხლხორცდებიან, მოვა დრო სულის ბატონობისა, იდეალის გამეფებისა, და დადგება ხანა კაცობრიობის საერთო ბედნიერებისა. გუგელის აზრით, კერძო

ერები ემსახურებიან კაცობრიობის ცხოვრებაში სიკეთის სრულს განხორციელებას. რომანტიული სკოლის საუკეთესო წარმომადგენლები შესტრფოდნენ საერთო საკაცობრიო ბედნიერებას, (კოსმოპოლიტიზმს), მაგრამ თანაც დასძინდნენ: კაცობრიობა მაშინ იქნება ბედნიერი, როდესაც თითოეული ერი (ნაცია), თავის ძალების და საშუალებათა მიხედვით, განხორციელებს მსოფლიო იდეალს ქვეყნარტებისას, სიკეთისას და მიშენიერებისას. რომანტიკოსებს სწამდათ მსოფლიო ბედნიერება, მაგრამ თანაც სწამდათ თითოეული ერის უფლებანი, თავისებურებანი, ბედნიერება... რომანტიული მოძღვრება შორს იდგა სოციალისტთა ოცნებათაგან... სოციალიზმი გვერდს უხვევს პირივეებათა სხვა და სხვაობას და სცდილობს პირივეება დაუმორჩილეს შეერთებულს შთელს ანუ საზოგადოების მასსას... პირივეების საღმრთო უფლებათა განსავითარებად საჭიროა, -- არა პირივეულ თავისებურებათა შელახვა, არამედ ისეთი საზოგადოება, რომლის შუაგულში პირივეება ვითარდება და დიდი ყურადღება აქვს მიქცეული თითოეულს ადამიანს, მის ბედნიერ ფოფას. ასეთს საზოგადოებაში ყველანი პატივით მოქცევიან ერთს, თუ ეს ერთი მადლა იდგება ყველასზე თავისი პირადი ნიჭით და ძალებით, -- ხელთ ერთი პატივის სცემს ყველას, თანხმად მათის პირადი ღირსებისა, თუნდაც ყველანი დაბლა იდგნენ მასზე... საერთო საკაცობრიო ბედნიერების მოახლოებას ხელს შეუწყობენ უფრო ძლიერი ერები და ძლიერნი პირივეებიანი... უკანასკნელნი უნდა სცდილობდნენ თავის სურსტს მოძიებებს მიანიჭონ, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია, ბედნიერება. თანასწორობა არაა არც ერებში, არც კერძო პირივეებებში, -- მხოლოდ არსებობს დაუსრულებელი მიახლოება ამ იდეალური თანასწორობისადმი, რამეულსაც ხელს უწყობენ ძლიერნი ერნი თავისი სულიერი ძალებით და კერძო დიდბუნებოვანნი



გვამნი. ერთსა და იმავე დროს რომანტიკოსებს ანტირესებდათ ჩვენი აჩსებობის საკითხები. ვინაა კაცი? რა მოკლის მას? რა არს სიკვდილი? რა არს მიზეზი ჩვენი გაჩენისა? რა არს ჩვენი სიცოცხლე? და სხვა... რომანტიული ჰიპოთეზა სტრილობდა ამ საკითხების გადაწყვეტას... ამის გამო ჰიპოთეზა „ზეკაცად“, წინასწარმეტყველად, ღვთის შვილად ითვლებოდა. ის მოგვეჩინა იყო იმ მიზნით, რომ ეუწყებინა კაცობრიობისთვის ციური საიდუმლოებანი... „ჰიპოთეზა მოაქვს ადამიანებთან გამოცხადება... ის მოდის შორიდან—ცადან... ის ოცნებობს საუკეთესო, უფრო ბედნიერი კაცობრიობის შესახებ.

რომანტიკოსთა სოფლისმეცნიერება უფრო ნათლად გამოიხატა ვერტერის, კარლს შორის, დონ-კარლოსის, ერნანის ჩაილდ-ჰაროლდის (გიორგი, ჰეიქტორ-იუგო, შილერი, ბაირონი) და სხვათა ცხოვრების ჰიპოთეზის დახასიათებაში. ესენი წარმოადგენენ იმ ძლიერ პიროვნებათა, რომელნიც წინააღმდეგენ ცხოვრების დამუყუბელს და დრომტყველ ფორმებს და მოძღვრებდნენ ახალს საზოგადოებრიობას, აღსავსეს თავისუფლებით, ჭეშმარიტებით, შვენიერებით. შიშვალდი კაცობრიობის, მეობადი მსოფლიო ბედნიერების თავყანისცემას ჩვენ ვხედავთ ამ პირთა სიტყვებში... ისინი ნატრობენ და მოკლიან ახალს სარწმუნოებას, ახალს მეცნიერებას, ახალს ოჯახს, ახალს კაცობრიულს საზოგადოებას, რომელთაც უნდა დაიჭირონ ადგილი ძველის ნაცვლად...

ინგლისის ჰიპოთეზა ბერნი (1759 — 1796 წ.წ.) ძლიერი თავყანისმცემელია პიროვნული თავისუფლებისა, სპირადო ღირსებისა... ის ამბობს: „ადამიანი, ვინც გინდ იყოს იგი, მანც ადამიანია; გლეხსაც შეუძლიან აზნაურის სწორი იყოს. არიან ადამიანები ბუნებით კეთილშობილნი—და ეს კეთილშობილება ერთადერთი ჭეშმარიტია; ტანისამოსი—თერძის საქვა, ტიტული, წოდება—განცეკარიისგან

მოცემულია, —ერთად ერთი უეტყო მოწმობა ადამიანის ჰატივისა არის, რომელსაც პირდაპირ აძლევენ მას შემოქმედი“. რამდენად თავყანს სცემდა თავისუფლებას ბერნი, სჩანს მისი ლექსებიდან: „მინდერის ყვაილს“ და „მინდერის თავგს“ (უყანასკული ჩვენ ვთარგმნეთ ქართულად)... რომანტიკოსნი ჰქადაგებდნენ ადამიანის აზრის თავისუფლებას, რომელიც არის უოველივე წინსრობლის წარმომშობი. აი რას ამბობს ჩაილდ-ჰაროლდი ბაირონისა:

„აზრი — ჩვენი უფლებაა და ჩვენი საქმე“...

მაგრამ რადა შორს წასვლა გვიჩნდა პიროვნების თავისუფლების შესახებ ჰიპოთეზა მარგალიტების საძებნელად, რომელსაც ჩვენმა ჰიპოთეზის ფილოსოფოსმა, მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა სწორუბოვარმა მკლანმა ილია ჭავჭავაძემ საუცხოოდ დაგვიხატა იდეის თავისუფლებისა და მისი მიმზიდველობა:

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნაღთ საყუდარი, შენ ხარ ჩაგრულის, წვალბულის წმინდა საფარი, შენ ხარ მშვიდობა და სიმრთელე ამა ქვეყნისა, შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა. მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული, ხე ცნობადისა, ედემს რაული, შენი ხე იყო; მაგრამ სამოთხეც, ყოველისფრით აღსავსე სრული, პირველ კაცთათვის უშენოთა არა რა იყო...

რალად ღვრის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი? რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვენდა და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირ სისხლიანი?“

ძიება თავისუფლებისა — რომანტიკოსთა უმთავრესი მოძღვრება იყო. ეს მოძღვრება ქართულმა ჰიპოთეზამ უნაკლულად შეიფარეს... ისინი წინააღმდეგენ იუვენ ჩავგრისა და ძალ-მომრეობისა... ისინი ჰქადაგებდნენ ერთს სოფლიდრობას, დასტიროდნენ არა თუ თავისი ღვიძლი მოძმეთა ბედს, —არამედ მუხობელთა შავბედსაც (აღ. ჭავჭავაძე: „გოგჩის ტბა“ — ში — სომეხთა წარსულს იგონებს); ქარ-

თველი ჰოეტები მოკლებულნი იყვნენ შოკი-ნიზმს... ისინი ჭადაგებდნენ კეთილშობილურს აზრებს, რომელთა განხორციელებას მნიშვნელობა აქვს არა თუ მხოლოდ ქართველთა, არამედ სხვა ერთათვისაც... ხმა ძმობისა, სიუვარულისა და თანასწორობისა შედგნად გაისმა მცირე რიცხვან ებრაელთა ერში ძველად... ებრაელთა შორის აღმოცენებულმა მოძღვრებამ—ქრისტიანობამ მთელი მსოფლიო დაიმარცხა... მცირე რიცხვანს ქართველს ერში მთელს მეცხრამეტე საუკუნეში შედგნადვე გაისმოდა ძმობის, ერთობის და სიუვარულის დადდისი... მთელი ჩვენის ერის ჰოეზიის შინაარსის გაცნობა, ჩვენთა ჰოეტთა იდეალების გათვალისწინება უცნოთა მიერ — თანაგრძობის და ჰატვიის ცემას შესძენს ქართველებს... რად ღირს თუნდა იმავე ილია ჭავჭავაძის წინასწარმეტყველური სიტყვები, რომლითაც იგი მიმართავს შრომის შვილს:

„... მყობადი მხოლოდ შენია...  
 შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი  
 ძლივე მოსილის ამ საუკუნის, (მე-19 საუკ.)  
 კაცთა ლელვისა დიადი ზვირთი  
 მაგ ახსნისათვის მეღვრადა იბრძვის...  
 შრომის სუფევა მოვა...  
 ჭეშმარიტების მის ძლიერებით...  
 მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან

ძმობა, ერთობა, თავისუფლება,  
 ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან  
 კაცთ მოყვარება და სათნობა.  
 მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,  
 წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,  
 სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,  
 არც ვის ემოწვი და არც იმოწმებ“.

შემდეგს წერილებში, როდესაც კი შემთხვევა მოგვეცემა, დავამტკიცებთ, რომ ქართული ჰოეზია სარკვას ქართველი ერის საუკეთესო შეიღთა მიერ შემუშავებულის და შემკვიდრებით გარდამოცემულის კეთილშობილური იდეალებისა. რომლითაც კი შეუძლიან იამაყოს კაცობრიობას... ჩვენი მგონების უმეტესობა საკმაოდ განათლებული იყო: მათ იცოდნენ ისტორია, ფილოსოფია, ეთიკა, უცნო ერთა ჰოეზია... ისინი ისეთს აზრებს გვიმოძღვრებდნენ და ისეთს გრძობებს დაგვასურათხატებდნენ, რომელნიც ღრმა კვალს სტავებენ ადამიანის შეგნებაში. ბუმბერაზ ქართველ მგონებთან შედარებით ჩვენი დღევანდელი **მგონსუკები** (თრიოდეს გარდა) თვისი აზრთა სიღარიბის მხრით მარტოოდენ სიბრადულის ღირსად გვეჩვენებიან...

ილ. ფერაძე.

(შემდეგი იქნება)

## რეაქციონური ნაბიჯი

(ქალ. ქუთაისის თვითმმართველობის საყურადღებოდ)

**ყ**ველა კავკასიის ქალაქებ შორის ერთად ერთი სწორი და ჭეშმარიტი პოზიცია სკოლის საკითხის საქმეში ეჭირა ქუთაისის თვითმმართველობის ორგანოს.

ბევრჯერ შეეცადა სახალხო სკოლების ღირეკცია თავზე მოეხვია ქალაქისათვის ეგრედ წოდებული „პოსობიე“ დახმარება, მაგრამ ყოველთვის ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ქალაქმა დახმარება არ მიიღო.

„არც ერთი კაპეიკი სამინისტრო კასიდან! სჯობს სკოლები მთელი ჩვენი ხარჯით შევიანხოთ და უფრო მეტი იურიდიული უფლება გვექნება სამშობლო ენის დაცვის საქმეშიო“. ასე მსჯელობდა ქალაქის გამგეობასთან არსებული სასკოლო კომისია და ამ საკითხს სვლას არ აძლევდა...

სწორეთ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ქალაქის გამგეობას სასწავლო მთავრო-

ბასთან ბრძოლაში და ბრძოლიდან გამარჯვებული გამოიყვანა. არა პრესამ, არა სათათბიროში შეკითხვის შიშმა, არამედ **უფლებამ** იურიდიულმა და ფაქტიურმა უფლებამ მოუპოვა გამარჯვება ქალაქს და ღირექციის მიერ სასწავლებლიდან დათხოვილი მასწავლებლები თავიანთ ადგილებზე დააბრუნებინა. ოლქის მზრუნველმა კარგად იცოდა, რომ სენატამდი მივიდოდა საქმე, უთუოდ გამარჯვებული ქალაქი დარჩებოდა. სენატში არა ერთი და არა ორი გარჩეულა ასეთი საქმე და ყოველთვის გამტყუნებული სასწავლო უწყების წარმომადგენელი გამოსულა. „ვინ ინახავს სკოლას? ვინ აძლევს მასწავლებლებს ჯამაგირებს? აძლევს თუ არა ქალაქს სამინისტრო სკოლის შესანახად რაიმე დახმარებას, შემწეობას?.. აი ის კითხვები, რომელსაც სენატი აძლევდა სამინისტროს წარმომადგენლებს და როცა გამოირკვეოდა, რომ სკოლას მთელი თავისი ხარჯით ქალაქი ინახავს,—სენატი ამართლებდა თვითმმართველობის ორგანოს... კერძო სკოლათა დებულებაში პირდაპირ ნაჩვენებია, რომ სკოლის შემნახველნი იწვევენ და ნიშნავენ მასწავლებლებს, რომელთაც, რასაკვირველია, სათანადო დოკუმენტები უნდა ჰქონდეთ ხელთ... სულ მცირე ლოლიკური მოსაზრებაა საკმარისი, რომ გავითვალისწინოთ ის **შედგეგი**, რომელიც აუცილებლად მოჰყვება თან სახალხო განათლების უწყების წარმომადგენელთა ჩაჩხირვას თვითმმართველობათა სკოლების სამეურნეო სფეროში; რომელი უფლების ძალით შეუძლიან ქალაქის თვითმმართველობის ორგანოს ღირექციასთან ბრძოლა ადმინისტრაციული უფლებების შესანარჩუნებლათ? სკოლას ნახევრად თუ მეტად არა ინახავს სამინისტრო; მასწავლებელთა ჯამაგირები, პენსია სამინისტროს ხელშია, რომ საჩივარზე მიდგეს საქმე, სენატი იმავე კითხვას დასვამს: ვინ ინახავს სკოლას? პასუხი: ქალაქის თვითმმართველობა და სამინისტრო. ვინ აძლევს პენსიას მასწავლებლებს? პასუხი: სამინისტრო. მაშ რა უფლების ძალით ისაკუთრებს ქალაქი ადმინისტრაციულ ფუნქციებს, როცა ეს ფუნქციები ნახევრად სამინისტროსაც უნდა ეკუთვნოდეს, როგორც სკოლის ნახევრად შემნახველს...

სწორედ ეს კარგად ჰქონდათ აწონილ-დაწონილი სამინისტროს მოხელეებს, როდესაც საყოველთაო სწავლის შემოღების კანონ-პროექტი გამოსცეს და იქ სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის გიორგივესკის კარნახით ერთი მუხლი (§ 10) შეაპარეს: „სამინისტროსაგან ფულით დახმარების მიღება არ ართმევს ქალაქის თვითმმართველობის ორგანოს იმ უფლებებს, რომლითაც დღემდე სარგებლობდნენ“.

ეს მუხლი მოსატყუილებლათ, ქალაქის თვითმმართველობათა ორგანოების დასაბრმავებლათ იყო შეტანილი, სადაც დაადასტურა თავისი უკანასკნელი ცირკულიარით კასსომ. ერთმა ღირექტორმა გულუბრყვილოთ წამოისროლა: „პოსობიეს“ მიტომ ვაჩრით ქალაქის ორგანოებს, რომ მასწავლებლების დანიშვნის უფლება ჩავიგდოთ ხელშიო“...

ბევრი საერო დაწესებულება ნანობს დღეს, რომ მასწავლებლები გამოსწერეს თავიანთი საპენსიო კასიდან და სამინისტრო კასაში ჩასწერეს, ბევრი სწუხს, რომ დახმარება მიიღო ღირექციებისაგან, მაგრამ ეხლა გვიან არის.

შესცდა თბილისი, შესცდა ბათუმი, ბაქო, მაგრამ არ უნდა შესცდეს ქუთაისი. ქუთაისმა უნდა განაგრძოს იმავე გზით მსვლელობა და არასგზით არ უნდა დას-

თანხმდეს მთავრობისაგან დახმარების მიღებაზე. სასკოლო კომისია შემცდარია, იგი რეაქციონურ გზაზე დამდგარა...

სჩანს დავიწყებია გუშინდელი ომი და მისი ისტორია...

აქ საჭიროა თვით ქალაქის მასწავლებელთა კორპორაციის აზრი, აზრი წინააღმდეგი სასკოლო კომისიის განზრახვასურვილისა და არა დამადასტურებელი. საჭიროა ქართულმა პრესამ ხმა ამოიღოს, ურჩიოს ქალაქის საბჭოს არ დაადასტუროს სასკოლო კომისიის გადაწყვეტილება...

„სახალხო გაზეთმა“ უკვე გამოსთქვა თავისი აზრი ამ საგნის შესახებ, გაზეთი

წინააღმდეგია სამინისტროსაგან დახმარების მიღებისა...

ვიმეორებ, ქალაქმა თუ გუშინდელ ომში გაიმარჯვა, ამის მიზეზი ის არის მხოლოდ, რომ სკოლების მთელი ხარჯი ქალაქის კასას აწვა კისერზე. როცა „პოსობიეს“ მიიღებს ქალაქი, მას ეს მტკიცე ნიადაგი ფეხებიდან გამოეცლება და მაშინ, თუ კიდევ საჩივარზე მიდგა საქმე, ველარ გაიმეორებს სტასიულევიჩის სიტყვებს: „მაშ, რას ფიქრობდა ღირეცკია, სკოლებს მთელი ჩვენი ხარჯით ვინახავთ, და უფლებას მას დაუთმობდითო“!..

ვ. ობჩელი.

## განგაზი

საერობო სკოლების გარშემო

რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მეორის განმათავისუფლებელ აქტების რიცხვით შორის ამ ორმოცდა ათი წლის წინად გამოცემულ იქმნა 14 ივლისის 1861 წ. „ღებულებანი პირველ-დაწყებითი სახალხო სასწავლებლების“ შესახებ. მაშინ რუსეთის ერობებმა პირველად გამოიღეს საჭირო თანხა საერობო სახალხო სკოლების დასაარსებლად. ძველი სისტემა „სახაზინო“ სასწავლებელთა უგარგისად იცნო თვითონ მთავრობამ და დავით ის. მთავრობამ შეიგნო, რომ საზოგადოებათა ძალების დაუხმარებლად ის მარტო ვერ შესძლებდა სახალხო სკოლის დიდი მიზნის შესრულებას და ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დააყენებდა კულტურულ თარაზის მრავალ მილიონიანი რუსეთის ხალხისას. „ღებულებათა“ პროექტის შემდგენელი ძვირად აფასებდნენ საზოგადოებათა თვითმოქმედებას სასკოლო საქმეში. 1864 წელში პროექტის

წადგენისათხავე სახელმწიფო საბჭოში სახალხო განათლების მინისტრი გოლოვინი სწერდა მაშინ, რომ საფუძვლად ამ „ღებულებას“ უნდა დაედოს მთავრობის სკოლების გახსნის დროს წაქეზება და დახმარება საზოგადო დაწესებულებათა, კერძო პირთა და სასულიერო წოდებათა. უურადღების დიროსია ის გარემოება, რომ 50 წლის წინად, როდესაც განხილულ იქმნა საბჭოში ეს პროექტი, ზოგი წევრთაგანი იმ აზრის იყო, რომ სკოლების მართვა-გამგეობა გადაეცეს მთლად ხელში საერობო დაწესებულებას. საზოგადოებას ამ „ღებულებით“ შეძლება მიეცა აქტიური მონაწილეობა მიუღო სახალხო განათლების საქმის გამგეობაში მით, რომ სამოსწავლო საბჭოების სხდომებს ესწრებოდენ ერობებიდან წარმომადგენლები და განსაკუთრებით მზრუნველები. ამ გვარად 64 წ. ღებულებას უმთავრეს მიზნად ჰქონდა დასახული: 1) მღე

2. На припечатанiе объявленiй о регистрацiи общества въ сенатскихъ объявленiяхъ 3 р. 20 к. и въ губернскихъ (областныхъ) вѣдомостяхъ (или въ вѣдомостяхъ градоначальства) 1 рубль.

Годъ, мѣсяць число. Подпись (званiе, имя, отчество и фамилия каждаго). Подписи должны быть засвидѣтельствованы нотарiусомъ.



# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

(წერილი მეოთხე)

მცენარენი და ცხოველნი

მეცნიერების დევანდელი თვალსაზრისით. 21 სურათით

შედგენილი ვ. ი. რცხილაძის მიერ

(გაგრძელება)

... „არც სახელწოდება, არც საწმუნოება, არც სისხლი თვით წინაშართა ან ჰქმნიან ადამიანს მიეკიდრედ ამა თუ იმ ეროვნებისა. ადამიანის სულში უნდა ვეძებდეთ მის ამა თუ იმ ერისადმი კუთვნილებას. რით განისაზღვრება სულით კუთვნილება? აზრით. ვინც რა ენით ფიქრობს, იმავე ენის ერს ეკუთვნის“ (დალი).

ესე იგი მითხარი რა ენაზე ფიქრობ, აზროვნებ და შენც მთელი შენის არსებით სულით და გულით იმ ეროვნებას ეკუთვნი. ასე აგვიხსნის ცნობილი რუსის მწერალი ვ. დალი...

ჰო და ვეუფა ჩვენი მწერლები, მეტი ნაწილი მაინც, ანამ თუ რუსულად ფიქრობენ და აზროვნებენ, სიზმარსაც კი რუსულ ენაზე ხედევენ. სწორედ ამ ჯურა ინტელიგენტს ეკუთვნის ამ წიგნის „მცენარენი და ცხოველნი“-ს ავტორიც. ამას ამუღავნებს მისი დრამა რუსული ქართული ასობით დაწერილი. „ხეხილისაგან იცნობებისა“... მაგრამ ეს განავისი ბრალა!? ჩვენი უკუდმართი დრო ასეთ შვილებს უზრდის ჩვენს სამშობლოს, ასეთი მესვეურები ჰყავს დღეს საქართველოს...

ჩვენ მაინც იმის გამორკვევა გვინდოდა: რისთვის არის ეს წიგნი დაწერილი? ვისთვის, რა მიზნით არის გამოცემული?.. მივმართეთ წინასიტყვაობას... თურმე ავტორს აზრად აქვს საქართველოში დაცემული მეურნეობა ამ წიგნით ადადგინოს. კარგი და პატიოსანი. მერე და ამ წიგნიდან რა უნდა ისარგებლოს

გაიგოს ჩვენმა მეურნეებმა? ან რომელი სტატია არის აქ მართლად გამოსადეგი პრაქტიკულ ცხოვრებაში? დამისხველეთ.

სამეცნიერო, პრაქტიკულად გამოსადეგი სსსარკებლო წიგნები ასე კონსპექტის თუ პროგრამის სახით. კი არ იწერება! თანაც ასეთ გაუგებარ ენაზედ კი არა სწერენ პოპულარულ წიგნებს, თუ გინდა ძლიერ მშვენიერ მდაბიო ქართულითაც იფოს დაწერილი. მე აქ არა ვხედავ რომელი სტატია არის მეურნეობისთვის გამოსადეგი! \*)

დაიდ, ბატონებო, მერე კი ვზივით ქართულს წიგნებს არავინ კითხულობს.

მაგრამ განვავტოთ ისევ ჩხრეკა სიტყვა-ტერმინებისა:

21) მეტრი ჩვენებურად აღლია.

22) „ზღვიდან მდინარე წყლებში თევზები გადადიან გასამრავლებლად“... აქ ქართულიც უხერხულია და შემეცნებაც, ქართულად ასე იქნება: „ზღვიდან თევზი აღის მდინარე წყლებში ქვირილის დასაყრელად ახუ როგორც ვაჟაფშაველა სწერს: „თხრის დროს (როცა ქვირილს აბნევენ). ჩვენ უნდა ხალხისაგან ვისწავლოთ მართებული ქართული, თორემ ხალხს ჩვენ ქართულს ვერ ვასწავლით. ეოვ

\*) თითქმის ჩვენს მეურნეს იქამდე კარგად აქვს შესწავლული მინერალოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ფიზიოლოგიური ქიმია და სხვ. რომ ახლა მხოლოდ ის და აკლია კონსპექტი მივაწოდოთ „მეცნიერების დევანდელი თვალსაზრისით“.



ლის დონის ძიებით ერთდეთ ბატონებმ მრავ-  
ლობითს რიცხვს, თევზები კი არ აღიან ქვი-  
რითის სახეგად, არამედ თევზი აღის. სკვ.  
ხომ ვერ ვიტყვი: „მთიდან ცხვრები ჩა-  
მოვიდნენ“ არამედ ცხვარი ჩამოვიდა და სხვ.

აბა ერთი მიბძახეთ ეს სადაური ქართუ-  
ლის:

„სიცოცხლით მოქმედება ორგანიზმი-  
ებისა გამოიხატება: 1) ცოცხალი ორგანიზ-  
მნი საზრდლობენ, 3) მოძრაობენ და 4)  
მრავლდებიან. საზრდობის დროს ორგანიზ-  
მნი ბუნებიდან იღებენ ერთგვარ ნივთიერე-  
ბებს და ანთავისუფლებენ, უბრუნებენ ბუნე-  
ბას მეორე გვარებს. ეს გაცვლა-გამოცვლა  
ნივთიერებებისა ხდება საჭმლის სახარში  
ორგანიზმების და სუნთქვის ორგანიზმების შემ-  
წობით“ (გვ. 12).

ჰო და აბა ახლა ამ „ებებს და ებისებს“  
თავი დაანებეთ და მხოლოდობითი რიცხვი  
იხმარეთ... აი ნამდვილი ქართული მამან იქ-  
ნება და გავიგებთ კიდეც სადა ქართულს. ეს  
კიდეც რა: თითო იმისთანა რუსიციზმებია  
მთლად წიგნში, რომ „დმერთა დაგვიხსენ“!

23) მკვლარი ბუნება, მეცნიერულის თვალ-  
საზრისით, არ არსებობს, არის მხოლოდ  
უორგანო ბუნება, неорганический миръ,  
რომელიც (ესეც) თავისებურად სცხოვრობს.  
ავიღოთ მაგალითად კრისტალების განსაკუთ-  
რებული ბუნებრივი ხასიათი—მოძრაობა და  
შედგება კრისტალთა ნამცეცებისა და სხვ.  
აბა ვინ ასწავლა მთაში ნაზარდ ბროლს ან  
აღმასს დაკუთხვის კანონი, ბუნებრივი თა-  
ვისებური დაკუთხვა.

ზოგი მკითხველისათვის ვიცი საინტერესო  
იქნება მოვასხენო, რომ უოველ გვარ მინერა-  
ლისთვის ბუნებას უსწავლებია განსაკუთრებუ-  
ლი ფორმით დაკუთხვა, გაბროლება.

ამ გვარად უოველ პირველ ქმნილს მინე-  
რალს, თავისი ბუნება აქვს, უწევებულ კანონს  
ემორჩილება გაბროლების დროს—ზოგი ოთხ

კუთხად (საჭმელი მარლი) ბროლდება, ზოგი  
პრაზმად, ქვეს-კუთხად, რომად და სხვ. მა-  
გალითად გახსენით ცხელ წყალში რომელიმე  
გაბროლებული მინერალი, თუნდ ერთი კოვზი  
და მერე ნულა შეაწებებთ ორიოდ დღეს. ჰო  
და რამდენი კუთხიანიც იყო თქვენი კრისტა-  
ლი, კვლავ და კიდეც იმისთანა დაკუთხულს  
მიიღებთ. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ხელი  
შეუშალოთ, მაგრამ ვერას გზით კი ვერ შეუ-  
ძლებთ ოთხკუთხიანს ობობანთ რვა კუთხეთ  
დაბროლდეს, ანუ რომის ვასწავლოთ პრაზმად  
დაბროლება, ამაზედ მთელი მეცნიერება კრის-  
ტალოგრაფია (ბერძნ.) სუფიკს, რომელიც  
შეისწავებს და იგვლავს კრისტალთა ცხოვრე-  
ბა-ვითარებას.

ან კიდეც ქიმიამი ვინ დაჰბადა გადაუვალი  
კანონი ელემენტების შეერთების დროს—სიმ-  
პატია, ანტიპატია?..

24) გამოწოწვნა. სჯობს ითქვას გამო-  
წოწვნა—წოწნის და არა წოწვნის.

25) უოველ მცენარის თესლი როდი ჰქარ-  
გავს აღმოცენების ძალას, როცა ფრინველები  
ან ცხოველები გადაუვლავენ ხალმე. ავიღოთ  
მაგალითად კურკა (თესლი) შინდისა, ქლიავი-  
სა, ალუბლისა და სხვ. მისთანანი. პირ იქით  
ეს მცენარევი განკებ ცდილობენ, რომ ფრინ-  
ველებმა თუ პირუტყვებმა (პირმეტყველმაც)  
აქა იქა დაქსაქსონ, ჩასთესონ მათი კურკა-  
თესლი და სხვ.

26) სიმბიოზა. ამ საინტერესო საგანზე  
სულ რაღაც 7—8 სტრატონია დაწერილი  
და მაგალითის მოყვანაც უკეთესი შეიძლებო-  
და.

27) ბებერა, паукъ. ამას ობობა ჰქვია.

28) ცუნა Ванючка. ქართულად მყრა-  
ლთა დაერქვა ამ ცხოველს. თანაც რიდასთვის  
დახატოთ თუ კი ტექსტში ამ ცხოველზე ერთ  
სიტყვასაც არ იტყოდით, ტუილად უბრალოდ  
რისთვის შემოვიანეთ ყურთა სმენა. მერეც  
ეს მაგ უკაცრულ სახელს მდაბიონი უწოდებ-

დებენ ერთგვარ სოკოს (გულაფშუტას). ახალ ტერმინებს რომ იგონებთ ე ლექსიკონებში მაინც ჩაიხედეთ ხოლმე, რა ხათაბალა ხალხი ხართ!

29) ფერი და სანახაობა (გვ. 80) სჯობს ითქვას ფერი და გარეგნობა (ანუ გარეგანი სხე). ასეთი სათაური უფრო შეეფერება.

30) მტერი არ ეკარება. უნდა იყოს მტერი არ ეკარება. ეს კორექტურული შეცდომა თუა.

31) განსაზოგადოებრიული (გვ. 81) საშინელება! კაცი ენას მოიტყავს. დავიჯერო სამაგიერო სიტყვა ვედარა მოიძებნა-რა ქართულს ლექსისონში. ან განა საკმაო არ იყო გოთქვათ: ზოგისთვის კი საზოგადოებრივი ცხოვრება მიენიჭებია... აგრეთვე შეეფერება სიტყვა: საზიარო. იქნება ნემეცურ კნას ძლიერაც უხდება სამ-ოთხ სრთაუდიანი სიტყვები, მაგრამ ქართული კი მახინჯდება.

32) სწველიან უ. ი. სწველიამენ.

33) მოწველვა უ. ი. მოწველა.

34) ბუხრის ჭია—*тараканъ*. ამას ქართულად ფურნის ჭიას ეძახიან. უნდა ბატონებო ხალხს უკდოთ უური. მართლადაც ბუხარში ამ ჭიას ვერ ნახავთ და ფურნე-კი უფელთვის სასესა. უფართ „წლიტასთანაც“ ცხოვრება.

35) უშველებელელებელი (გვ. 95) უნდა იყოს უშველებელი.

36) მჟავე—*Кислота*. ჯერ ერთი რომ მჟავე რუსულად არის *Кислый*, მეორეც ესა ვისაც ჩემოდენად უმუშავნია ქიმიურ ტერმინების თარგმანში, უკვლა დამეთანხმება, რომ ქიმიურ რთულ სხეულის აღსანიშნავად აუცილებელი საჭიროებაა ვიხმაროთ ტერმინი მჟავა. ეს ტერმინი ქართულ ენის ბუნებასაც

ეთანხმება \*) და სხეულის ქიმიურ ბუნებასაც. მაგალითად 98 გვ. ჩვენ ვითტყოდით:

კოკირდმჟავა მარილები,  
ნახშირმჟავა მარილები,  
ფორფორმჟავა მარილები და სხვ...

37) თესლის გაღვიება. ეს დიდი შეცდომაა: — ცომი ღვივდება, თესლი კი ღვივდება\*\*).

38) ერთიერთმანეთზედ (108 გვ.) სჯობს ერთი ერთმანეთიდგან არიან დამოკიდებულნი.

39) გამოჟვენავს, შეუჟვენავს—ეს ზრტვინციალიზში თუა. ქართულად ითქმის გამოჟონავს, შეუჟონავს რადგან, ჟონავს და არა თუ ჟვენავს.

40) კუჭიდან ისუტება სხეულში (გვ. 115) ძლიერ მახერხებული ტერმინია, თუ რომ ქართულს ეთანხმება. მაგალ. საბას უწერია: სუტნა ამოწოვა არისო, მაგრამ იქნება სჯობდეს ითქვას: კუჭიდან ჟონავს, იჟონება სხეულში.

41) ტოპრებს უ. ი. თოფრებს ანუ ტომარებს. არის კიდევ ერთი სიტყვა ტომარაკი.


**ილ. ალხაზიშვილი.**

(დასასრული იქნება)

\*) მაგალითად: ფერა-ფერა, ჭია-ფერა, ცულის პირა, ჩიტის თვალა, ხარის თვალა, შავ-ბალახა, პილილა, ვაშლ-ატამა, მჭადა, რძიანა, სავარცხელა, ღვინა-ღვინა და ათასი სხვ...

\*\*) ცომის შემჟავება არის გაღვიება. აგრეთვე, შეიძლება ცეცხლის, ნაკვერცხლის გაღვიება, ხოლო თესლზე, მარცვალზე ითქმის აღივება—*пускать ростки*.

რედაქტორ-გამომცემელი  
**ლ. გ. ბოცვაძე.**



# სნობები

ქ. შ. წერს-პითხვის გამავრსელებ.  
საზოგადოების მოქმედებისა.

ზუგდიდის განყოფილების 1913 წლის ანგარიში.  
(დასასრული)

გ) 1913 წლის, 7 ივლისში, გამგეობამ გამართა განყოფილების სასარგებლოთ საჯარო სეირნობა ბედის კასრით, რომლისთვისაც წინდაწინ მოაგროვა სხვადასხვა პირთაგან ნივთები შემოწირულებად. იმავე დღეს, საღამოთი გამართა ეგრედ წოდებული „ჩითის საღამო“. სეირნობამ, ბედის კასრმა და „ჩითის საღამო“-მ ერთად მოგვცა წმინდა შემოსავალი 150 მ. 88 კ. ამასთან გაუსაღებელი ნივთები დაგვრჩა ვარაუდით 10 მან. 25 კ-ისა.

დ) 1913 წლის განმავლობაში, განყოფილებას (იმის გარდა რაც სეირნობის დროს შემოწირულება მივიღეთ) ფულად შემოსწირეს:

ზუგდიდის ურთერთთა შორის ნდობის საზ.	100—
ქ. თბილისიდან სავაჭრო სახ აფრიკიანისამ	50—
ბ-ნ თეიმურაზ ცხადაიამ	10—
„ ევგენი ფიფიამ	6—
„ ანდრია ფიფიამ	6—
„ ასნარი ფიფიამ	5—
„ ივლონ ფიფიამ	5—
„ მაქსიმე ფიფიამ	5—
„ ერმინე ქანთარამ	5—
„ ვლადიმერ კეშილავამ	5—
„ იონა ბუკიამ	1—
„ ილიკო თაყაიშვილმა	1—
„ იოსებ გაბუნიამ	1—
„ გრიშა გიგინეიშვილმა	1—
და № №	— 13
„ კაჭარავა	1—

სრულიად გამგეობამ 1913 წლის განმავლობაში ფულად შემოწირულება მოაგროვა 202 მან. და 13 კაპ.

## 2. სსხაჯხო წიგნსაცავ-სამკითხველთა განსნა.

საანგარიშო 1913 წლის 1 იანვრისათვის ზუგდიდის განყოფილების მზრუნველობაში იმყოფებოდა მხოლოდ ერთი დ. ზუგდიდის აკაკის სახელობის წიგნსაცავი სამკითხველო. წლის ბოლოში გამგეობამ დაადგინა განსნას ორი სხვა წიგნსაცავი-სამკითხველო: ერთი დ. ხობში—ილია ქავჭავაძის სახელოზე და მეორე ს. ქვალონში—არჩილ ჯორჯაძის სახელობაზე. წესდების თანახმად ამის შესახებ შეამდგომლობა უკვე აღძრულია მთავრობის წინაშე და ნებართვას ყოველ დღე მოველით.

## 3. წ-საცავ სამკითხველთა წამოებაზე ზრუნვა.

საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობის ყოველი წევრი თვალ-ყურს ადევნებდა წიგნ-საცავ სამკითხველოს საქმიერებს. ამის გარდა, გამგეობამ თავის წევრთა შორის აირჩია ცალკე კომისია, რომელმაც წიგნ-საცავ სამკითხველოს გაუკეთა რევიზია და აღმოაჩინა, რომ ზუგდიდის წიგნ-საცავ სამკითხველოს საქმიერებით რიგიანად მიდის; სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ საკითხავად წიგნები ძალიან ცოტა გააქვთ და ვისაც მიაქვს, ისიც თვეობით არ აბრუნებს უკან. გამგეობას აზრად აქვს მომავლისათვის ეცადოს, რომ როგორმე საზოგადოებას გაუღვიძროს წიგნების კითხვის ინტერესი, რადგან დარწმუნებულია, რომ მარტო გაზეთების კითხვა იმდენად ნაყოფიერი არ არის ხალხის კულტურულად აღზრდა-განვითარებისათვის.

## 4. წიგნ-საცავ სამკითხველთათვის ნივთიერი დახმარება.

1913 წლის განმავლობაში განყოფილებას ზუგდიდის წიგნ-საცავ სამკითხველოსათვის ნივთიერი დახმარება არ მიუცია იმის გარდა, რომ მოწოდება გაუგზავნა მთავარ გამგეობას და სხვადასხვა პირთ, ზუგდიდის სამკითხველოსათვის გამოეგზავნათ თითო ცალი თავიანთი გამოცემისა და მიიღო მთავარ გამგეობისაგან გამოგზავნილი, ბ-ნი კ. დგებუაძისაგან შემოწირული 144 ცალი რუსულ-ქართული წიგნები, რომელნიც გადაეცა დანიშნულებისამებრ ზუგდიდის სამკითხველოს. ვამბობთ: სხვა დახმარება არ მიგვიციაო ამის მიზეზი ის არის. რომ ერთი წიგნ-საცავ სამკითხველოს ცალკე თავისი წევრები და გამგეობა ყავს, რომელიც განყოფილებასთან ერთად ზრუნავენ სამკითხველოსათვის; მეორე—განყოფილებას 1913 წელში ძალიან ცოტა თანხა ჰქონდა და ისიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ განზრახული იყო მოხმარებოდა შკოლის საქმიერს, რასაც 24 მაისის საზოგადო კრებაც გვავალებდა.

## 5. შკოლის განსნის საქმიერ.

შკოლის განსნა, გამგეობას თავიდან აინტერესებდა და აინტერესებს დღესაც. ზუგდიდის მაზრაში არ არის არც ერთი შკოლა, სადაც ქართული ენის სწავლება

რიგიანად იყოს დაყენებული, ამიტომ გამგეობა აუცილებელ საჭიროებად რაცხდა სხვაგან თუ არა ზუგდიდში მაინც გაეხსნა რომელიმე ტიპის ქართული შკოლა. მაგრამ ის თანხა, რომელიც გამგეობის ხელში იყო საანგარიშო წელს, არამც თუ შკოლის ყოველივე ხარჯებს ვერ გაასწორებდა, სადგომის ქირა და რამოდენიმე მაგიდების ყიდვას არ აუვიდოდა. გამგეობა იძულებული იყო სხვა რამე წყარო აღმოეჩინა შკოლის გახსნისათვის. ამიტომ საანგარიშო წლის პირველ ხანებშივე გამგეობამ თხოვნით მიმართა მთავარ გამგეობას, აუწყა მას ზუგდიდში სკოლის გახსნის საჭიროება და სთხოვა შემწეობა. მთავარ გამგეობამ კეთილ ინება და დაგვირდა მასწავლებლის გამოგზავნა, თუკი შენობა და სხვა ხარჯებს ჩვენ ვიკისრებდით. აღმოჩნდა რომ ეს დახმარებაც არ კმარა, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენის თანხით სადგომს და წვრილ ხარჯებს ვერ დაეფარავდით. ამიტომ შკოლის საკითხი უნებლიედ დრომდე გადავდეთ და იმის ცდაში ვიყავით, რომ თანხა ვაგვეძლიერებია. როდესაც მთავრობამ ზუგდიდის საეპარქიო საქალბო შკოლა დახურა და მისი შენობა კუთვნილებისამებრ მათ უგანათ. პრინციესას უნდა დაბრუნებოდა, ჩვენც სკოლისათვის სადგომის შოვნის იმედი მოგვეცა და განვიძრახეთ მათ უგანათლებულესობა პრინციესასაგან გვეთხოვა ეგ შენობა. ამის გამო მთავარ გამგეობას ხელმეორედ ვსთხოვეთ, რომ მთავარ გამგეობის თავმჯდომარე თ-დი ყაზბეგს პრინციესისათვის წერილი მიეწერა, რათა ჩვენს თხოვნას მეტი ყურადღება დაემსახურებია პრინციესას წინაშე. წერილიც გამზადებული იყო და შესაძლებელია ნაყოფიც მოეტანა, რომ პრინციესა არ გადაცვლილიყო, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ პრინციესა გადაიცვალა. საეპარქიო სკოლაც მთავრობამ რაღაც მიზეზების გამო დროებით ისევ ზუგდიდში დასტოვა და ჩვენი სკოლის საკითხი დღემდე საკითხად დარჩა. საანგარიშო წლის 20 დეკემბერს გამგეობამ განცხადება მიიღო ერთი პატივცემული პირისაგან, რომელიც უსასყიდლოდ მასწავლებლობას გვპირდებოდა, მაგრამ ზემო მოყვანილ მიზეზებმა აქაც შეგვაჩერა. სკოლის გახსნის საკითხი უკვე კარგა ხანია მომწიფებულია და თვით სკოლაც ნამეტანი საჭირო არის, მაგრამ მასთან ეგ საქმე მეტად რთულია და ჩვენს თანხასთან შედარებით დიდ ხარჯს იწვევს. თუ სკოლას გავხსნით (და ეგ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს)—რიგიან საფუძველზე და უზრუნველ ყოფილი უნდა იქმნეს, თორემ ერთჯერ გახსნილი სკოლა, რამოდენიმე ხნის შემდეგ უსახსრობის გამო, ისევ რო დაიხუროს; ამას, არ გახსნა სჯობია. ამიტომ არის, რომ ეგ საკითხი დღემდე ვერ გადაგვიწყვეტია და შემოგვაქვს საზოგადო კრებაში, რომ ამ რთულ საკითხში საზოგადო კრებაც დაგვეხმაროს.

#### IV. 1914. წლის სავარაუდო შემოსავალი.

1914 მდგომარე წელს, გამგეობა მოელის შემოსავალს:		
1914 წლის საწევრო ფულს 3 მ. X 102	—	306 მან.
წინა წლების შემოუტ. საწ. 3 მ. X 23	—	69 —
წარმოდგენა, შემოწირულება და სხვა წყარ	—	250 —
სრულიად 1914 წ-ს შემოსავალს მოველით	—	600 მან.

### V. სავარაუდო 1914 წლის ხარჯთაღრიცხვა.

1914 წელს მოველით შემდეგ ხარჯებს:				
1913 წლის ანგარიში და კრებისათვის მოსაწვევი ბარათები და ოქმის წიგნის დაბეჭდვა	—	—	—	20 მ.
კანცელარიისათვის შკაფის შესაძენად	—	—	—	10 —
ღებუშებისათვის	—	—	—	10 —
ფოშტის ხარჯები	—	—	—	3 —
ღერბის მარკები გუბერნატორთან თხოვნებზე:	—	—	—	7 —
მოულოდნელი ხარჯებისათვის	—	—	—	50 —
სრულიად 1914 წლის ხარჯებისათვის				<u>100 მ.</u>

### VI. მომავალი მოქმედების გეგმა.

1914 წლის განმავლობაში გამგეობას განზრახვა აქვს რაც შეიძლება გაამრავლოს განყოფილების წევრთა რიცხვი, წარმოდგენები, სეირნობა და სხვა გამართული გასართობებით გააძლიეროს განყოფილების თანხა, გახსნას, უკვე ნებაართვა აღძრული ხობი და ქვალონის სამკითხველოების გარდა, ორი სხვა წიგნ-საცავი სამკითხველოები: ერთი ანაკლიასა და ერთიც წალენჯიხაში და რაც თავი და თავი არის გახსნას 1914 წლის 1 სექტემბრიდან დ. ზუგდიდში ქართული სკოლა:

### VII. სარევიზიო კომისიის მოხსენება.

1914 წლის იანვრის 9-სა, სარევიზიო კომისიის წევრებმა განვიხილეთ რა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ზუგდიდის განყოფილების დღიური თავი და საკვიტანციო წიგნები, მასთან შევასწორეთ რა შემოსავალ-გასავალის ჯამი; მათი გასამართლებელი საბუთებით ყოველივე ვსცანით სწორათ.

მოქმედება გამგეობისა გასულის 1913 წ-სა ვნახეთ წარმატებულად, რომლისათვის მოგახსენებთ საზოგადოებას, რომ გამგეობა მადლობის ღირსია.

ვსთხოვეთ საზოგადო კრებას, გამგეობის მიერ წარმოდგენილი 1913 წ. ანგარიში და 1914 წ. სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვა დაამტკიცოს.

ამასთან ვუერთდებით: ჩვენ, სარევიზიო კომისიის წევრნი გამგეობის მოხსენებას, სკოლის გახსნის საკითხში. სარევიზიო კომისიის წევრნი: ფარნაოზ ნ. ფიჩხაია, აპოლონ ჯიქია, ალექსანდრე გ. გაბუნია.

გამგეობის თავმჯდომარე: **აქვსენტი ფალავა.**

თავმჯდომარის ამხანაგი: **კლემენტი ლორთქიფანიძე.**

გამგეობის წევრნი: { გიორგი ხერხეულიძე.  
კატო კელია.  
სოკრათი კეშილავა.

გამგეობის წ-მდივანი **ნიკო ს. ბუკია.**



1913 წლის ანგარიში ზუგდიდის გან.

შემოსავალი:

1. 1913 წ. დამდგენ განყოფილებას ჰქონდა	7—50
1913 წ. განმავლობაში შემოვიდა:	
2. საწევრო ფული 1912 წლისა	3—00
3. საწევრო ფული 1913 წლისა	240—00
4. სეირნობა და საღამოდან შემოსავალი	150—88
5. შემოწირულება ზუგდიდის ბანკისა	100—00
6. შემოწირულება საეაქ. სახ. აფრიკიანისა	50—00
7. შემოწირულება სხვა და სხვა პირთაგან	52—13
8. ფულის სარგებელი საამხ. შემნახ. კას.	4—99
	<hr/> 608—50

გასავალი:

1. შტემპელები: 1 ქართ. და 1 რუს.	4—50
2. ბეჭდები: 1 ქართ. და 1 რუს. წარწ.	3—00
3. 42 საკვიტანციო წიგნაკების დაბეჭ.	7—35
4. მისალოცი ღებეშები	2—50
5. ფოსტის ხარჯები	90
6. გერბის მარკები თხოვნებზე გუბერნატ.	3—
7. კანცელარიის ხარჯი: მელან-ქაღ. და სხვა	2—25
8. ანბანებზე დაწყობილი საწევრო წიგ.	—45
9. სახაზავი და სხვა წვრილი ხარჯი	1—55
	<hr/> 25—50
საფოსტო კასაში ინახება	583—00
	<hr/> 608—50

გამგეობის თავმჯდომარე აქვსენტი ფაღავა.  
გამგეობის ხაზინადარი გიორგი ხერხეულიძე.

მ ქ მ ი

ზუგდიდის განყოფილების საგანგებო კრების 1913 წ. 24 მაისს.

კრება გაიხსნა საღამოს 6-ს საათზე ადგილობრივ საკრებულო დარბაზში ქ. შ. წ. კ. გ. ს. ზუგდიდის განყოფილების თავმჯდომარე თ-დ აქვსენტი ფაღავას თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრენ შემდეგი ხმის მქონი საზოგადოების წევრნი 1) თ-დ ლ. ჩიჩუა, 2) კ. ლორთქიფანიძე, 3) ფ. ფიჩხაია, 4) ნ. დავითაია, 5) მ.

ფიფია, 6) ა. ჯიქია, 7) ა. ადამია, 8) ი. მუჯირი, 9) მარ. ჟორდანი, 10) გ. რეიკინი, 11) ნ. ბერიძე, 12) ეკატ. კელია, 13) აქ, ფალავა და 14) ალ. გაბუნია. კრება, რადგან მას დაესწრენ მეოთხედზე მეტი საერთო წევრთა რიცხვის თანახმად IV-17 მუხლისა, ჩაითვალა შემდგარად. კრების გახსნისთანავე, თავმჯდომარემ სთხოვა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულ არჩილ ი. ჯორჯაძისათვის, რაც საზოგადოებამ სიამოვნებით შეასრულა. შემდეგ ამისა, თავმჯდომარემ მოკლედ აუხსნა საზოგადოებას, რომ დღევანდელი საგანგებო კრება გამოიწვია მთავარ გამგეობისგან ამა წლის 15 მაისიდან № 233 მიღებულ წინადადებათ, რომელშიაც ნათქვამია, რომ 2 მარტში მომხდარი ჩვენი განყოფილების საზოგადო კრება უკანონოდ იქმნა ცნობილი და საჭიროა ხელ-ახალი კრების დანიშვნა იმავე საკითხის გადასაწყვეტად, ასე რომ დღევანდელი ჩვენი მსჯელობის საგანს შეადგენს შემდეგი: 1) ახალი წევრების მიღება, 2) წასული წლის შემოსავალ-გასავლის და მდგომარე წლის სავარაუდო ხარჯების განხილვა, 3) არჩევა ორი გამგეობის წევრისა: ერთი ბ. პატარაიას მაგიერ, რომელმაც, სამსახურის გამო (გამგეობაზე), გამგეობის წევრობაზე წერილობითი უარი განაცხადა და მეორე ახალი შეექვსე წევრის, რადგან ხუთი წევრი არ კმარა გამგეობაში, რომ საქმე რიგიანათ წავიდეს, 4) სამი კანდიდატის, 5) სამი სარევიზიო კომისიის წევრის არჩევა და 6) თუ რა უნდა გავაკეთოთ მიმდინარე წელს. ეს რიგი ვასარჩევი საგნებისა მოწონებულ იქმნა კრების მიერ. მერე მდივანმა წაიკითხა სია ქ. შ. წ. კ. გ. ს. წევრობის მსურველთა: 1) ნეკო ბუკია, 2) კნენა ესმა ფალავასი, 3) ნინო მუჯირისა, 4) თ-დ გრ. დადიანი, 5) პავლე ნადირაძე, 6) ზინაიდა ჟორდანი, 7) ანასტასია შუშანია, 8) გიორგი ხერხეულიძე, 9) მარიამ გოგობია, 10) ფედოსია კობახიძე, 11) ანა თოდუასი, 12) დიომიდე კეკელიძე, 13) გრ. ჯიქია, 14) იუსტინე კობახიძისა, 15) ივანე ოსიძე, 16) აპოლნარია მაკალათია, 17) ივანე ჯაფარიძე და 18) ი. კახაძე. ცოტა ხნის თათბირის შემდეგ, კრებამ, ყველა მოხსენებული წევრობის მსურველნი, სიამოვნებით ერთხმად მიიღო და მიიწვია ისინი მიეღოთ მონაწილეობა დანარჩენ კითხვების გარჩევაში. ამიტომ ზოგიერთი ახლად არჩეულნი წევრნი შეუერთდენ დამსწრე წევრებს, სახელდობ: კნ. ესმა ფალავასი, კობახიძე, ჯაფარიძე, ხერხეულიძე, გოგობია, კობახიძისა, მუჯირისა, შუშანია, კახიძე, ასე რომ დანარჩენ კითხვების გარჩევაში მონაწილეობას ღებულობდენ მთელად 23 საზოგადოების წევრი. შემდეგ ამისა თავმჯდომარემ მოახსენა კრებას წასული წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. აღმოჩნდა, რომ მთლად საზოგადოებას ყოლია წარსულ წელს 23 წევრი, რომელთაგან საწევრო ფული შემოსულა 99 მანეთი. ამ ფულებიდან მთავარ გამგეობაში გაგზავნილა 90 მანეთი და ღერბის მარკებში დახარჯულა ერთი მანეთი 50 კაპ., საზოგადოებას დარჩენია წმინდა შემოსავალი 7 მანეთი 50 კაპ. ეს ანგარიში, გასული 1912 წლის შემოსავალ-გასავლისა, კრებამ ერთხმად დაამტკიცა და გამოთქვა სურვილი, როგორც ეს მორჩენილი ფული და აგრეთვე მომავალში შემოსული — ინახებოდეს ადგილობრივ ფოსტის სახელმწიფო კასაში ადგილობრივი ქ. შ. წ. კ. გ. ს. სახელზე. მერე თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, თუ რამდენს მოელის გამგეობა ვარაუდად



შემოსავალს და რამდენი სავარაუდო ხარჯის გადადება არის საჭირო. რაც შეეხება გამგეობას იმედი აქვს, რომ შემოვა არა ნაკლებ სამასი მანეთისა (300 მან.), ხოლო ხარჯად: წიგნების, ბეჭდების, ქაღალდების, მოსალოდნელ მისალოც დებეშების და მოულოდნელი ხარჯებისათვის დასჭირდება არა ნაკლებ 70 მანეთისა. კრებამ ერთხმად დაადგინა მიეცეს გამგეობას მდგომარე წლისათვის სავარაუდო ხარჯად 70 მ. ამის შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა კრებას დახურული ბარათებით ორი გამგეობის წევრი, სამი მათი კანდიდატი და სამი სარევიზიო კომისიის წევრი აერჩიათ. როცა ბარათები გახსნეს და ხმები დაითვალა თავმჯდომარემ და მდივანმა გამგეობის წევრობაზე მოუვიდა 19 თეთრი 4-ის წინააღმდეგ თ-დ ხერხეულიძეს; 17 თეთრი 6-ის წინააღმდეგ ნიკო ბუკიას. გამგეობის წევრის კანდიდატობაზე მიიღეს: კლ. ლორთქიფანიძემ 15 თეთრი, იუსტინე კობახიძისამ 11 თეთრი და რეიკინმა 10 თეთრი. სარევიზიო კომისიის წევრობაზე ფიჩხაიამ ათი თეთრი, ა. გაბუნია 9 თეთრი და აპოლონ ჯიქიამ 7 თეთრი. ამ რიგათ გამგეობის წევრად არჩეულ იქმნენ: ხერხეულიძე და ბუკია. გამგეობის წევრების კანდიდატებად: ლორთქიფანიძე, ი. კობახიძისა და რეიკინი. ახალ სარევიზიო კომისიის წევრებად: ფარ. ფიჩხაია, ალ. გაბუნია და ა. ჯიქია. ბოლოს კრებამ მსჯელობა იქონია იმის შესახებ თუ რა უნდა გაეკეთებიათ მიმდინარე წელს. ზოგიერთმა გამოსთქვა სურვილი სკოლის გახსნისა, ზოგმა ბიბლიოთეკისათვის წიგნების გამოწერისა. ბ. ჯაფარიძემ გამოსთქვა ის აზრი, რომ საზოგადოება ნორჩია, არაერთაზრი ქონება არ აქვს, რომ საფუძვლიანი რამე გააკეთოს, ამისათვის ჯერ საჭიროა შევეცადოთ, რომ მოვარიგოთ შემოსავლის წყაროები, მოვაგროვოთ საკმაო თანხა და იმის მიხედვით, თუ რა გვექნება წლის ბოლოს, რის გაკეთებასაც შევსძლებთ, საქმეც დავიწყოთ. ეს აზრი ყველას მოეწონა და კრებამ გადასწყვიტა პირველ ყოვლისა შეეცადოს წარმოდგენებით და სეირნობის გამართვით, წევრთა რიცხვის გამრავლებით მოაკროვოს საკმაო თანხა და მერე თუ რას უნდა მოახმაროს ეს ფული ამაზე მსჯელობა იქონიოს წლის ბოლოს. კრება დაიხურა საღამოს 12 საათზე. თავმჯდომარე აქ. ფალავა, მდივანი ეკატერინე კელია, ი. ჯაფარიძე, ესმა ფალავა, მარუსია გოგოხია, კახაძე ილარიონ, თ-დ ლევან ჩიჩუა, ფედოსია კობახიძე, აკაკი ადამია, ა. ჯიქია, ი. მუჯირი, ნინა მუჯირის, ფ. ფიჩხაია, ალ. გაბუნია, ი. კობახიძისა, ნიკო ბერიძე, მ. ჟორდანია, გრ. რეიკინი, გ. ხერხეულიძე, მათე ფიფია, ნესტორ დავითაია და ა. შუშანია.

ნამდვილთან სწორია გამ. თავ. აქ. ფალავა.

მდივანი ნ. ს. ბუკია.



## ს ი ა

## ზუგდიდის განყოფილების წევრთა

ადამია აკაკი, ალშიბაია, ვლადიმერ.

ბერიძე ალექსი, ბერიძე ნიკო, ბერიძეივანე, ზიგვავა თევდორე, ბოჯგუა ჩაგუ, ბუკია ნიკოლოზ.

გაბუნია ალექსანდრე, გამრეკელი ვეგენი, გეგელია ნინო, გვაჯავა გრიგორი გლუშაკოვი ვლადიმერ, გოგოხია მარიამ.

დადიანი მიხეილ, დადიანი გიორგი, დადიანი დავით, დარასელია ლუბა, დგებუაძე სევერიან, დავითაია ნესტორ, დავითაია დავით.

თვალთვაძე სამსონ, თვალთვაძე თეოდოსია, თოდუასი ანნა.

იოსავა მიხა,

კალანდია პეტრე, კახაძე ილარიონ, კედია კატო, კედია პეტრე, კეკელიძე დიომიდე, კეშილავა სოკრატ, კვარაცხელია ყარამანი, კვიტაშვილი ასლან, კიბორძანიძე პარმენ, კატია დოროთე, კობახიძე კალისტრატე, კობახიძისა იუსტინა, კობახიძე თეოდოსია, კორტავა თენგიზ, კოსტავა ივანე, კუხალაშვილი ილარიონ, კუტალია ვასილ,

ლორთქიფანიძე კლიმენტი.

მაკალათია აპოლინარია, მარგველაშვილი ქეთევან, მალლაკელიძე სარდიონ, მიქელაძე ილარიონ, მუჯირი იასონ, მუჯირისა ნინო, მუჟვანაძე გრიგორი.

ნადირაძე პავლე, ნიჟარაძე სპირიდონ, ნოდია ალექსი.

ოგანეზოვი გაბრიელ, ოსიძე ივანე.

პატარაია ანდრია, პატარაია მიხეილ, პაჭკორია ბიკტორ, პაჭკორია ერასტო.

ჟვანია დიმიტრი, ჟვანია ბიჭია, ჟორდანია ზინაიდა, ჟორდანია მარიამ.

რეიკინი გრიგორი, რეკვავა მუხრანი.

საბახტარაშვილი ლავრენტი, სამელია გრიგორი, სიჯინავა ვეგენი.

ტოგონიძე ილარიონ, ტყებუჩავა ვლადიმერ.

ფალავა აქვსენტი, ფალავასი ესმა, ფიფია ათანასე, ფილიპე ივლონ, ფიჩხაია ფარნაოზ.

ქუჩულორია ესტატე.

შანავა იოსები, შანავა გრიგორი, შელია პავლე, შირინ-ოლლი ხუსეინ-დურ-სუნ-ალა, შუშანია ანასტასია,


ჩიჩუა ლევან, ჩიქოვანი გვანჯი.

ცანავა ნესტორ, ცინდავა ვლადიმერ, ცქირია პავლე.

ჭაჭია გრიგორი, ჭელიასი ეკატერინა, ჭოჭუა ბარდლუ.

ხაბურზანია ანტონ, ხარჩილავა პავლე, ხარშილავა თომა, ხერხეულიძე გიორგი, ხოჭოლავა კალისტრატე, ხუბუა ქუტუ, ხუბულავა სპირიდონ.

ჯალაციანი ივანე, ჯაფარიძე ივანე, ჯიქია სოლომონ, ჯიქია აპოლონ, ჯიქია გრიგორი. სულ 102.



# ო ქ მ ი

ზუგდიდის განყოფილების მორიგი საზოგადო კრების 1914 წ. 15 მარტს.

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე ადგილობრივ საკრებულო დარბაზში ქ. შ. წ.-კ. გ. ს. ზუგდიდის განყოფილების თავმჯდომარე თ-დი აქვსენტი ფალავას თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრენ შემდეგი ხმის მქონი საზოგადოების წევრნი: 1) აქ. ფალავა, 2) კატო კედია, 3) კლ. ლორთქიფანიძე, 4) სოკ. კეშილავა, 5) კნ. ესმა ფალავასი, 6) ვ. ოსიძე, 7) ა. პატარაია, 8) ნ. გეგელია, 9) ლ. დარასელია, 10) პ. ნადირაძე, 11) ზ. ჟორდანი, 12) გრ. რეიკინი, 13) ა. ჯიქია, 14) პ. კედია, 15) მ. პატარაია, 16) ან. ხაბურზანია, 17) გ. ხერხეულიძე, 18) მ. ჟორდანი, 19) ა. მაკალათია, 20) მ. გოგობია, 21) სევ. დგებუაძე და 22) ნესტორი დავითაია. კრება, თანახმად წესდების მე-17 მუხლისა, კანონიერად ჩაითვალა, რადგანაც მას დაესწრენ მეოთხედზე მეტი საერთო ხმის მქონი წევრთა რიცხვისა. მოწონებულ და მიღებულ იქმნა გამგეობის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რიგი განსახილავ საგნებისა: 1) ახალი წევრების მიღება, 2) წარსულ 1913 შემოსავალ-გასავლის ანგარიშის დამტკიცება, 3) მომავალი წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის მიღება. 4) დ. ზუგდიდში ქართული სკოლის გახსნის საკითხის განხილვა და 5) განხილვა წინადადების იმის შესახებ, რომ აღძრულ იქმნას მთავარ გამგეობის წინაშე თხოვნა, რათა არ მოგვეთხოვონ წელს წმინდა შემოსავლის 20%.

ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა სია იმ პირთა, რომლებმაც სურვილი განაცხადეს ქ. შ. წ.-კ. გ. ს. წევრობისა. ამისთანები აღმოჩნდნენ: ივანე ქავთარაძე, ნესტორი ცანავა, ბლალ. სამ. თათარიშვილი, ბლალ. ევ. შენგელია, ბაგრატი უგულავა, ლავრენტი საბახტარიშვილი, ქეთევან ხერხეულიძისა, ნადეჟდა ტყეშელაშვილი, ნინა მღერჩიშვილი, იოსები კვიციანი, ალექსი ბერიძე, ივანე ბერიძე, თევდორე ზიგვაია, ჩაგუ ბოჯგუა, ევგენი გამრეკელი, გრიგორი გვაჯავა, დავით დადიანი, დავით დავითაია, ბლალ. სამსონ თვალთვაძე, ფეოდოსია თვალთვაძე, მიხა იოსავა, პეტრე კალანდია, ყარამანი კვარაცხელია, პარმენ კობორძანიძე, პელაგია ლორთქიფანიძისა, დოროჩე კიტია, ანტონი ალანია, თენგიზი კორტავა, ილარიონ კუხალაშვილი, ვასილი კუტალია, ქეთევან მარგველაშვილი, გრიგორი მყავანაძე, ალექსა ნოდია, გაბრიელ ოგანეზოვი, ბიკტორი პაჭკორია, ერასტო პაჭკორია, ბიჭია ჟვანია, მუხრანი რეკვაია, გრიგოლი სამელია, ევგენი სიჭინავა, ილარიონ ტოლონიძე, ათანასე ფიფია, ივლონ ფილიპია, ესტატე ქუჩულორია, იოსები შანავა, გრიგორი შანავა, შავლე შელია, შირონ-ოლლი ხუსეინ-დურსუნ-ალა, გვანჯი ჩიქოვანი, ვლადიმერი ცინდავა, პავლე ცქირია, გრიგორი ქაჭია, ეკატერინა ქელიასი, ბარდლუ ჟოჭუა, პავლე ხარჩნლავა, თომა ხარჩილავა, სპირიდონ ხუხულავა, ივანე ჯალაციანი, ლუკა გვასალიძე, სანდრო მესხია, იაგორ სანიკაძე, ილია პირტახია, მიხა საჯაია, დავითი მოლარეშვილი, ვარლამ ანჩაბაძე, ანტონ ჩიჩუა, ალექსი დვისაძე, ტრიფონ ტოზაძე, რაჟდენ ზაქარაია, ვლადიმერ

წულეისკირი, ბათუ წულეისკირი, ალექსანდრე სიხარულიძე, ალექსანდრე მეფი-  
შვილი, ყათრან კიკიანი, ვლადიმერ მეცხულაძე, ილარიონ ბიგვავა და ესტატე  
კანკავა. სულ 77.

კრებამ ყველა ზემოხსენებული პირები სიამოვნებით და ერთხმა მიიღო წევ-  
რებად და ვინც იმათგანი კრებაზე აღმოჩნდა მიიწვია მონაწიეობა მიეღოთ დანარ-  
ჩენ კითხვების გარჩევაში. ამრიგად ახალი წევრების მიწვევის შემდეგ კრებაში  
მონაწილეობას ღებულობდა სულ 32 პირი, სახელდობრ: აქვ. ფაღავა, კატო კე-  
ღია, კლ. ლორთქიფანიძე, სოკ. კეშილავა, კნ. ესმა ფაღავასი, ვ. ოსიძე, ა. პა-  
ტარაია, ნ. გეგელია, ლ. დარასელია, პ. ნადირაძე, ზ. ჟორდანიას; გრ. რეიკინი,  
ა. ჯიქია, პ. კეღია, მ. პატარაია, ან. ხაბურზანია, გ. ხერხეულიძე, მ. ჟორდა-  
ნია, აპ. მაკალათია, მ. გოგოხია, ს. დგებუაძე, ივ. ქავთარაძე, ნ. ცანავა, ბლალ-  
სამ. თათარიშვილი, ბლ. ევ. შენგელია, ბაგრატ უგულავა, ლავ. საბახტარიშვი-  
ლი, ქეთ. ხერხეულიძისა, ნ. ტყეშელაშვილი, ნ. მღებრიშვილი, ი. კეღია ნ.  
დავითაია. სულ 32 პირი.

შემდეგ კრებას მოხსენდა წარსული წლის შემოსავალ გასავლის ანგარიში.  
აღმოჩნდა რომ წარსულ წელს განყოფილებას ყოლია 102 წევრი, ხოლო მათ-  
გან საწევრო ფული შემოსულა სულ 243 მან., ზუგდიდის ბანკს შემოუწირავს  
100 მან., გამგეობის მიერ გამართულ სეირნობა-სალამოდან შემოსულა 150 მ.  
88 კ., აფრიკიანის სავაჭრო სახლს შემოუწირავს 50 მან., სხვა და სხვა პირე-  
ბისგან შემოსულა 52 მ. 13 კ., ხაზინიდან ფულის სარგებელი ყოფილა 4 მან.  
99 კ. და 1912 წლის დარჩენილა 7 მ. 50 კ. სულ შემოსულა 608 მ. 50 კ.,  
დახარჯულა კი წლის განმავლობაში მხოლოდ 25 მ. 50 კ. ასე რომ განყოფი-  
ლებას ეხლა ქონია კასაში ნაღდათ 583 მანეთი. ეს ანგარიში კრებამ ერთხმად  
დაამტკიცა. ამ დამტკიცებასთან ერთად ბ. პ. კეღიამ შემოიტანა წინადადება, რომ  
ფულებს საფოსტო კასიდან გადატანილ იქმნას შესანახად წვრილი კრედიტის სა-  
ამხანაგო ბანკში, ვინაიდან ეს განყოფილებისათვის უფრო ხელსაყრელია და  
წვრილ-კრედიტის ამხანაგობასაც კი სარგებლობას მოუტანს; მაგრამ ამის გადაწყ-  
ვეტა კრებამ განყოფილების გამგეობას მიანდო.

რაც შეეხება მიმდინარე წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვას კრებამ ერთ-  
ხმად გადასწყვიტა მიეცეს გამგეობას სხვა და სხვა საჭიროებისათვის სავარაუდო  
ხარჯად ასი მანეთი. ამის შემდეგ ბ. სოკ. კეშილავას მიერ წაკითხულ იქმნა გამ-  
გეობის მინდობილობით შედგენილი მოხსენება ზუგდიდის მაზრის სახალხო სკო-  
ლებში ქართული ენის უმწეო მდგომარეობის და დ. ზუგდიდში ქართულ სკო-  
ლის უეჭველად გახსნის საჭიროების შესახებ. კრებამ მოისმინა რა დასაბუთებუ-  
თებული მოხსენება და აგრეთვე კრებაზე მყოფ განგებ ამ კრებისათვის თბილისი-  
დგან მოწვეულ ქართულ სკოლების ზედამხედველ ბ. გრიგოლ ბურჭულაძის გან-  
განმარტება, ერთხმად გადასწყვიტა ყოველი ღონე ილონოს, რომ მომავალი ენკე-  
ნისთვისათვის გახსნას დ. ზუგდიდში პირველ-დაწყებითი ქართული სკოლა, ხოლო  
პრაქტიკულად ამ საქმის ასრულება მიენდოს განყოფილების გამგეობას, რომელ-  
საც მიემატოს ორი ახალი წევრი. მაგრამ რადგანაც განყოფილების თანხა ძლი-

ერ ცოტაა ამ დიდი საქმის ასასრულებლად, მით უმეტეს თუ ამ თანხას გამოაკლდა 20%, რომელიც წესდების ძალით უნდა გაეგზავნოს მთავარ გამგეობას, კრებამ დაადგინა თხოვოს მთავარ გამგეობას:

1) არ გამოაღებოს წელს ზუგდიდის განყოფილებას 20% წმინდა შემოსავლისა და 2) საჭირო დახმარება აღმოუჩინოს განყოფილებას სკოლის გახსნის საკითხში.

შემდეგ ამისა თავმჯდომარემ სთხოვა დამსწრეთ დახურული კენჭის ყრით აერჩიათ 1) სარევიზიო კომისიის ერთი წევრი, ნაცვლად ბ. ფარნა ფიჩხაიასი, რომელიც სამსახურის გამო გადაყვანილ იქმნა დ. ოჩამჩირეში და 2) გამგეობის ორი ახალი წევრი. კენჭის დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ექიმი ა. პატარაია (28 თეთრით) და მასწავლებელი ბაგრატი უგულაშა (12 თეთრით), ხოლო სარევიზიო კომისიის წევრად ბ. ივანე ქავთარაძე (17 თეთრით).

ბოლოს ბ. გრიგოლ ბურჭულაძის მიერ გამოითქვა სურვილი, რომ განყოფილებას ჰქონდეს თავისი ხელუხლებელი ძირითადი თანხა, რასაც კრება დიდი სიამოვნებით დაეთანხმა და გადაწყვიტა წელს შენახულ იქმნას წმინდა თანხად ის 20% შემოსავლისა, რომელიც უნდა გაიგზავნოს თბილისს, თუ კი მთავარ გამგეობამ ეგ ფულები დაუტოვა განყოფილებას. შემდეგში კი ყოველ წლიურად გადაიდევას ხელუხლბელ თანხად 10 ჰროც. წმინა წლიურ შემოსავლისა. კრება დაიხურა სრულ 11 საათზე.

თავმჯდომარე აქვსენტი ფალავა.

მდივანი სოკრათი კეშილავა.



### საზოგადო დახასიათება

მაჩხანის განყოფილების გამგეობის მუშაობისა 1913 წ.

ამ განყოფილების გამგეობამ დაიწყო თვისი მოქმედება 1913 წ. 15 აგვისტოდან. მას ჰქონდა დავალებული საზოგადო კრებიდგან: გახსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა სოფლებ ქვემო მაჩხანში და ჯუგაანში, გამართვა სასწავლო ნივთების საწყობისა და მოწყობა სახალხო კითხვებისა.

პირველი და მეორე დავალება გამგეობამ შეასრულა: სოფლებ ქვემო მაჩხანში და ჯუგაანში უკვე მოწყობილია წიგნთ-საცავ-სამკითხველოები და ქვემო მაჩხანში გამართულია სასწავლო ნივთების საწყობი მოთავსებულია საწყობი ნიკოკორაშვილის მალაზიაში, რომელმაც უფასოდ იკისრა ვაჭრობა ამ საწყობის ნივთებით განყოფილების სასარგებლოთ. მხოლოდ, რადგან გამგეობამ გვიან დაიწყო

მოქმედება, სასწავლო წიგნების მიღება დაგვიგვიანდა 1913 წლის სასწავლო წლის დასაწყისშივე, და ამისთვის ზოგი წიგნები გაუყიდველი დაგვრჩა. დროზედ რომ მიგველო წიგნები, უეჭველად სულ გავყიდლით, რადგან წინდაწინვე სიტყვა გვექონდა მოცემული სახალხო სკოლების მასწავლებლებისაგან, რომ წიგნებს ჩვენგან იყიდდნენ თავიანთი სკოლებისათვის.

საზოგადოების განყოფილების დავალება სახალხო კითხვების მოწყობაზედ, გამგეობამ ვერ შეასრულა, რადგან ასეთი კითხვების გასამართავად ადგილობრივი ინტელიგენცია მოუშადადებელი აღმოსნდა. იმედი გვაქვს სახალხო საკითხავები მოვაწყოთ ზაფხულში, როდესაც ადგილობრივი ინტელიგენცია და ახალგაზრდობა სააგარაკოთ ქალაქებიდან სოფლებში ბრუნდება მაინც, უზაფხულოდაც, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ვეცდებით ამ საქმის მოწყობას.

მომავალ წელში იმედი გვაქვს მოვაწყოთ რამდენიმე წარმოდგენა განყოფილების სასარგებლოთ. მხოლოდ ძალიან გვაბრკოლებს უთეატრობა—საზოგადო შენობის უქონლობა. ამისთვის ამ საქმეს დიდ ყურადღებას ვაქცევთ და ცალკე თანხას ვავროვებთ თეატრის ასაშენებლად. ცოტა კიდევ გვაქვს ფული და სხვა-საც გვპირდებიან. განყოფილებამ შეიძინა ხუთი ყულაბი, რომლებიც დავდგით სხვა და სხვა ადგილებზედ ფულის მოსაგროვებლად. რადგან ახალი დადგმულებია, ჯერ არ გაგვიხსნია.

იმედი გვაქვს მომავალი წელისთვის უკეთ მოვაწყობთ განყოფილების საქმეს.

გამგეობის თავმჯდომარე მღვ. კონდრატე ნინიკაშვილი.

## მაჩხანის განყოფილების მოქმედების 1913 წ. ანგარიში

### გამგეობის შედგენილება:

თავმჯდომარე — მღვ. კონდრატე ნინიკაშვილი, მდივანი — დიმიტრი გონაშვილი, ხაზინდარი — სოლომონ კურცხალია.

წევრები: მიხეილ მათიაშვილი, იაკობ მენტეშაშვილი.

სარევიზიო კომისიის წევრები: 1) ნადეჟდა გრიგორის ასული ჯანყარაშვილი-სა, 2) ელენე ილიას ასული შანშიაშვილი, 3) ალექსანდრე ვასილის ძე ნადირაშვილი.

გამგეობამ დაიწყო მოქმედება 1913 წ. მარტისთვის 15-დან. ჰქონდა 5 სხდომა და გაარჩია რვა საქმე.

საზოგადო კრება მოხდა 1913 წლის განმავლობაში ერთხელ.

1913 წელს განყოფილებას ჰყავდა 64 წევრი.

განყოფილებას ჰქონდა 1913 წლის განმავლობაში ორი ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

განყოფილების თავმჯდომარე მღვ. კონდრატე ნინიკაშვილი.

## ო ქ მ ი

საზოგადო კრებისა მახხანის განყოფილებისა 1913 წ.

1913 წ. მაისის 5-ში, საზოგადოების ქ. მახხანის განყოფილების თავმჯდომარის მღ. ეგნატე მენტეშაშვილისგან მოწყვეულ იქმნა ამ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. კრებაზედ გამოსცხადდა წევრთა კანონიერი რიცხვი.

თავმჯდომარემ კრება გახსნა ნაშუადღევის ოთხ საათზედ ქ. მახხანის სკოლის დარბაზში. საზოგადოებას სთხოვა თავმჯდომარემ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ილია ჭავჭავაძის, არჩილ ჯორჯაძის და განსვენებული მღ. იოსებ ტუკუშაშვილის ხსოვნისათვის.— მღ. იოსებ ტუკუშაშვილმა საზოგადოებას შემოსწირა 7000 მან. ღირებული სახლი. კრებამ ფეხზედ ადგომით პატივი სცა მათ ხსოვნას. შემდეგ კრებამ განიხილა შემდეგი საგნები:

1) საზოგადოების თავმჯდომარემ მღ. ბენტეშაშვილმა და გამგეობის წევრმა მღ. ლუკა ნაცვლიშვილმა განუცხადეს საზოგადოებას წერილობითი, რო ოჯახურ გარემოებათა გამო ისინი თავს აწებებენ პირველი საზოგადოების თავმჯდომარეობას და მეორე გამგეობის წევრობას. კრებამ საპატიოთ ჩასთვალა მათი განცხადება და ამის გამო მოახდინა ახალი არჩევნები საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.

კრებამ აგრეთვე დაადგინა აირჩიოს სარევიზიო კომისიის სამი წევრი.

მოხდა არჩევნები, რომლითაც საზოგადოების თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს მღ. კონდრატე დავითის ძე ნინიკაშვილი; გამგეობის წევრებად ერთხმად აირჩიეს: პროვიზორი სოლომონ კურცხალია, დიმიტრი მიხეილის ძე გონაშვილი, იაკობ დავითის ძე მენტეშაშვილი, მიხეილ მატიაშვილი; მათ კანდიდატებათ: მღ. მიხეილ მენტეშაშვილი, ვასილი იაგორის ძე ალულიშვილი და ვასილ ალადაშვილი.

სარევიზიო კომისიის წევრებად ერთხმად არჩეულ იქმნენ: ნადეჟდა გრიგორის ასული ჯანყარაშვილისა, ელენე ილიას ასული შანშიაშვილი და ალექსანდრე ვასილის ძე ნადირაშვილი.

კრებამ გადასწყვიტა: დაარსოს ს. ს. ქ. მახხასა და ჯუგაანში წიგნთ საცავ სამკითველოები და დაავალა გამგეობას ეხლავე იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს ამაზედ. პასუხის მგებელ გამგეებად განყოფილების გამგეობამ ამოირჩია: ს. ქ. მახხანიდან მასწავლებელი ილია იოსების ძე შანშიაშვილი.

განყოფილების ბინა დაარსდეს ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულების სადგომში, რომელიც დათმობილ იქმნა ამ დაწესებულების გამგეობის მიერ დროებით უსასყიდლოთ.

მოეწყოს სახალხო კითხვები, გამგეობა მოიწვევს ლექტორებს, როდესაც დაინახავს ამას საჭიროდ.

კრებამ მიიღო წინადადება: კერძო შემოწირულებათაგან დაარსდეს სახალხო

სახლის ასაშენებლად ფონდი, რომელსაც არავითარი კავშირი არ ექნება განყოფილების შესავალ-გასავალთან.

დაარსდეს სოფელ ქ. მაჩხაანში სახელმძღვანელოების და სასწავლო ნივთების საწყობი.

განყოფილების თავმჯდომარე მდ. კონდრაქტე ნინიკაშვილი.

### 1914 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.

შემოსავალი:

1. 1914 წელში მოველით შემოსავალს ნამდვილ წევ. 150 მ.	
2. წარმოდგენებიდგან და ლატარიებიდგან . . . . .	150
3. სასწავლო ნივთების საწყობიდან . . . . .	100
4. კერძო შემოწირულება . . . . .	70
	<hr/>
სულ . . . . .	470

გასავალი:

1. განყოფილების ბინის ქირა, გათბობა და განათება 35 მ.	
2. კანცელიარიის ხარჯი . . . . .	10
3. მოსამსახურე . . . . .	15
4. მთავარ გამგეობას პროცენტები . . . . .	80
5. ბიბლიოთეკების დახმარება . . . . .	150
6. მოულოდნელი ხარჯი . . . . .	50
	<hr/>
სულ . . . . .	340

განყოფილების თავმჯდომარე მღვდელი კონდრაქტე ნინიკაშვილი.

## ს ი ა

### მაჩხაანის განყოფილების წევრთა

მღვდელი ეგნატე მენტეშაშვილი, ვასილ ნადირაშვილი, მღვ. მიხეილ მენტეშაშვილი. ალექსანდრე ნადირაშვილი, მღვ. ივანე მენტეშაშვილი, იაკობ მენტეშაშვილი, ალექსანდრა მიხეილის ასული მკვდელიშვილი, ოლღა მალხაზის ასული ნატრაშვილი, ნიკოლოზ მელექსიშვილი, რაჟდენ ჯალიაშვილი, სოლომონ კურცხალია, ნადეჟდა გიორგის ასული ჯანყარაშვილი, ივლიტა მიხეილის ასული მენტეშაშვილი, ნიკოლოზ კორაშვილი, გიორგი ბერძნიშვილი, მიხეილ ჯანყარაშვილი, გიგო ლაბიაშვილი, სიკო ჯანყარაშვილი, ნიკოლოზ მენტეშაშვილი, მოსე ჯალიაშვილი, ვასილ ალადაშვილი, ზაქარია ფაშალიშვილი, კოტე ნასრაშვილი,



მიხეილ ნასიძე, ელენე ილიას ასული შანშიაშვილი, ილია მენტეშაშვილი, ნიკოლოზ ნადირაშვილი, №№ (არ ისურვა გვარის გამოცხადება), ელენე ბოსტაშვილი, ტასო გიორგის ასული ზაალიშვილი, მღვდელი მიხეილ ბენაშვილი, ზაქარია ყიასაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, თამარ კირილეს ასული ღვთისავარიშვილი, ბლალოჩინი მღვ. კირილე ღვთისავარიშვილი, ელენე ვასილის ასული კობიაშვილი, დიმიტრი გონაშვილი, ალექსანდრე ინაშვილი, ნიკო პოპიაშვილი, გიორგი პაიჭაძე, ივანე გომელაური, პართენ გონაშვილი, ვასილ ალუღიშვილი, ათანასე ბებურიშვილი, აბრამ მატიაშვილი, მიხეილ ზედელაშვილი, მიტო მატიაშვილი, რაჭდენ კიკილაშვილი, სიმონ კიკილაშვილი, მარიამ ჭუჭულაშვილი, მღვ. ილია ბანძიაშვილი, ფიფო ალადაშვილი, მღვდელი ვლადიმერ ქოქიაშვილი, მიხეილ მატიაშვილი, ალექსანდრე ჯავშანაშვილი, ალექსანდრე თათარაშვილი, იოსებ ქადაგიძე, მღვდელი კონდრატე ნინიაშვილი, ხირსის მონასტრის ილუმენი დიმიტრი, ლევან კობიაშვილი, მღვდელი არჩილ ალადაშვილი, გრიგოლ მირიანაშვილი, რომანოზ მჭედლიშვილი, ოლღა ჩიკვაძე. სულ 64.

განყოფილების თავმჯდომარე მღვდელი კონდრატე ნინიაშვილი.



## განცხადება

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება აცხადებს, რომ წელს, ნ. ლოლობერიძის სახელობის თანხის სარგებლიდან დანიშნულია პრემიათ 300 მანეთი.**

1. პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოადგენს საკონკურსო საუკეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოს შესახებ. ლოლობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას. ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქმნას რუსულსა, ან რომელიმე ევროპიულ ენაზედაც.

2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენის უცხო ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, ე) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ვ) უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი; ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წარსულის ცხოვრებისა ან რომლი-

სამე მის ეპოქისა; ბ) სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომლისამე ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრული, ისე რომლისამე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია; ე) იურისპრუდენცია, ვ) მითოლოგია.

4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ქართული მწერლობის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლობის ერთ-ერთი დარგის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, გ) რომლისამე ერთის ან რავდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივი შესწავლა და გამოკვლევა; დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომლისამე კერძო ეპოქისა; ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

5. თხზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა; ბ) ლეგროვება და შესწავლა ან და გამოყენება უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენის სხვა და სხვა კილოკავებიდგან, ხალხურ სიტყვიერებიდგან, ტრუმორწმუნოებიდგან, ზნეჩვეულებებიდგან, ფიზიკურ აგებულებებიდგან და სხვა და სხვა დარგებიდგან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა—გამოსარკვევად: ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულობისა დანარჩენ მის ნაწილებთან, 2) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამომავლობისა სხვა ერთა შორის.

**ენიშვნა:** საკმარისია, თუ მკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ ზემოხსენებულ დარგიდგან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. თხზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) გამოკვლევა წარმართდროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგი ქართული მუსიკისა; გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკამ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარმოდგენილი წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში 1-ლ იანვრამდე 1915 წლისა...

8. საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერით და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1911 წელზე ადრე გამოცემული.



უოველ-დღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

# „ს ზ რ ი“

(წელიწადი პირველი)

გაზეთი წლიურად ღირს 7 მან. ნახევარი წლით—4 მან. სამი თვით—2 მ. 50 კ. თვიურად ქუთაისში—4 აბაზი. ქუთაისის გარედ—90 კაპ. საზღვარ გარედ 14 მან.

## თითო ნომერი ერთი შაური

განცხადების ფასი ჩვეულებრივია

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობა 60 კ., მოსწავლე ახალგაზ-  
დობას კი 50 კაპეკათ.

რედაქცია იმყოფება: პუშკინის ქ. სახლი ქეიშვილისა № 12.

ფულის გამოსაგზავნი მისამართა: Кутаись, Пушкинская ул. Андрею Чейшвили

უოველ-დღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო

# „ს ა ხ ა ლ ხ რ ბ ა ზ ე თ ი“

(წელიწადი მეხუთე)

უოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეულ

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებებისათ: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს  
8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეკი.  
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის  
2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1914 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ სამ წიგნს: 1) „ქართველი მწერლე-  
ბი“, 2) „უცხოეთის მწერლები“. 3) „სამეცნიერო კრებული“.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს  
ფოსტით სამი საშრეშიო წიგნი.

Тифлисъ, редакция „Сахалхо газети“.

გამოვა 1914 წ. საშმაწვილო შურნალი

# ნაკადული

(წელიწადი მეათე)

ხელის მოწერა მიიღება შურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში.

კოფოინის პრესპექტზე ზუბალაშვილის სახლში № 8. და წერაკითხვის გამავრც. საზო-  
გოკადალების მდარზიაში, თავ. აზნ. ქარვასლა)

1914 წლის 1-ლ იანვრიდან 1915 წლის 1-ლ იანვრამდე წლიური ხელის-მომ-  
წერლებს მიეცემა: მოზრდილთათვის 12 წიგნი 3 მან. მცირე წლოვანთათვის 24 წიგ-  
ნი 3 მან. ნახევარი წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად—3 მან.

სახუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს შეეძლება წიგნი: „მიწის ძვრა და  
ცეცხლის მფრქვეველი მთები“, (მრავალი სურათით) გიორგი ანთელიძისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძისა. გამომცემელი თ. პ. ი. თუმანიშვილი.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

# „განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთვის.

(წელიწადი მეშვიდე)

1914 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ-თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორისთვისა. ჟურნალში იბეჭ-დება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეც-ნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მე-ცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ 6 მან. 1914 წ. ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: **ილია ჭავჭავაძის, პეტალოცის, უშინსკის, რუსოს და კომენსკის სურათებს**. ალბომს ი. გედევანიშვილის პიესის „სინათლისას“ და „პატარა მურია“ სიტყვები აკაკისა, ნოტებზე დალაგებული ნ. ა. ყარაშვილის მიერ.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველ-გვარის ცნობები ქ. შ. წერს-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რე-დაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან**. **ქუთაისში** ისიდორე კვიციანიძესთან, **ბათუმში** ტრ. ინსარაძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, ამ ორ ადგილას ზ. სამტრედიის იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ. სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტებს.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან კასანუძობესებლად.

**მისამართი**: Тифлисъ. Дворянская Грузинская  
Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე**.